ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დღე-მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% სახელმწიფო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 4 მაისი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 101 (2144)

დღიური

— ამანულა ხანი ჩავიდა მოსკოვში.
— შვეციის პროფკავშირთა ცენტრ. კომიტეტი მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ.
— გერმანიის მთავრობის პასუხი ამერიკის წინადადებაზე ომის „აკრძალვის" შესახებ.
— ინგლისელ მემადაროეთა აუტანელი მდგომარეობა.
— საპროტესტო დემონსტრაციები ტოკიოში.
— დეტერდინგი ბერლინში.—მოლაპარაკება გერმანელ ფირმებთან.
— ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის პროტესტი.

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა მაისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

საპარლამენტო არჩევნების შედეგები საფრანგეთში

ეხლახან დამთავრებული საპარლამენტო არჩევნები საფრანგეთში მრავალ მხრივაა საგულისხმო. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ არჩევნებმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მემარჯვენე ელემენტებს, პუანკარისტებს, დიდი გამარჯვება არგუნეს. მათ დეპუტატთა პალატაში ეყოლებათ მტკიცე უმრავლესობა. არჩევნების ასეთი შედეგი მეტ წილად განსაზღვრა ყოფილ „მემარცხენე" ბლოკის მთელმა პოლიტიკამ და „მოღვაწეობამ".

მემარცხენე ბლოკის პარტიებმა, რომელთაც 1924 წ. არჩევნებში დაამხვეს პუანკარე და ხელისუფლებას ჩაუდგენ სათავეში, ვერც ერთი თავისი საარჩევნო დაპირება ვერ შეასრულეს. მსხვილი კაპიტალის დაბეგვრა, ფრანკის კურსის განმტკიცება, მილიტარიზმის ტვირთის შემცირება და მრავალი სხვა სიკეთე, რაც მათ აღუთქვეს ამომრჩევლებს, მხოლოდ საარჩევნო, მასსების მოსატყუებელი ფანდი გამოდგა. ბოლოს, მემარცხენე ბლოკმა უკვე საჯაროდ, ოფიციალურად აღიარა თავისი გაკოტრება, როცა ძალა-უფლება კვლავ პუანკარეს გადასცა.

პუანკარემ შესძლო ფრანკის სტაბილიზაციის განხორციელება. ცხადია, მან ეს გაატარა მშრომელთა ფართე მასსების ხარჯზე,—პირდაპირი თუ არა პირდაპირი გადასახადებით მათი ზედმეტი დატვირთვის გზით. მაგრამ წვრილ ბურჟუაზიულ მასას ასეთი სტაბილიზაცია ურჩევნია ფულის კურსის იმ კატასტროფიულ დაცემას, რასაც მანამდე ჰქონდა ადგილი. და მან, ყოფ. მემარცხენე ბლოკის ჯგუფებზე გულაცრუებულმა, თავისი დიდი ნაწილით პუანკარეს გაუმაგრა ზურგი ეხლანდელ არჩევნებში. ეს მით უფრო, რომ, ჯერ ერთი, პუანკარე არა მარტო მის უშუალო მომხრეებს, არამედ ყველა ბურჟუაზიულ ფენების ხელმძღვანელ წრეებს გამოყავდათ ფრანკის მხსნელად, ისეთ კაცად, რომელსაც შეუძლია საფრანგეთის სამეურნეო-ფინანსიურ მდგომარეობის გაჯანსაღება; მეორე, პუანკარემ, ფაქტიურად განახორციელა რა ფრანკის სტაბილიზაცია, საკანონმდებლო გზით განზრახ არ დაადასტურა ის, რომ მძლავრი იარაღი შეენარჩუნებია ამომრჩეველთა დასაშინებლად. ამით მათ წინ დაუყენა პერსპექტივა ფრანკის მერყეობისა, თუ პუანკარეს არ დაუჭერდენ მხარს.

ამავე დროს გადამჭრელი როლი არჩევნების შედეგებზე იქონია ახალმა საარჩევნო სისტემამ. სიებით და დეპარტამენტების მიხედვით არჩევნების მაგიერად შემოიღეს პერსონალური არჩევნები ოლქების მიხედვით. ამასთან, ეს ოლქები ისე შეადგინეს, რომ, რამდენადაც მოსახერხებელი იყო, მუშებს რიცხვობრივი უმრავლესობა არ ჰქონოდათ დანარჩენ ფენებთან შედარებით—მუშათა უბნები გააერთიანეს წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებით დასახლებულ რაიონებთან. ამ ცვლილების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ, როცა ძველი სისტემის დროს, უმცირესობის წარმომადგენელ პარტიებსაც, საარჩევნო რაიონის შედარებითი სიდიდის გამო, უმეტეს შემთხვევაში შეეძლოთ ერთი დეპუტატის გასაყვანად საკმარისი ხმების რაოდენობა მაინც შეეგროვებიათ, ახალი სისტემით ეს შესაძლებლობა ისპობა. ამას მიუმატეთ, რომ დატოვებულ იქნა ის წესი, რომლის თანახმად პირველ კენჭის ყრის დროს საჭიროა ყველა ხმის რიცხვის აბსოლუტური უმრავლესობის მიღება, რომ დეპუტატად გახდე. თუ ეს წესი მიმართულია უმცირესობის განდევნისაკენ პოლიტიკურ ცხოვრებიდან, ახალი სისტემა ამ მხრივ შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს და კერძოდ მიზნად ისახავს რევოლიუციონურ პროლეტარიატის წარმომადგენლობას, კომუნისტების გარიყვას. ამის წყალობით მოხდა, რომ კომუნისტებმა, რომლებმაც პირველ ტურის დროს მილიონ ას ათას ხმამდე შეაგროვეს, ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანეს, მაშინ როცა, არჩევნების პროპორციონალური სისტემა რომ ყოფილიყო,—სოც. „დემოკრატიისათვის" თითქო სავალდებულო უნდა იყოს, კომუნისტებს პალატაში ეყოლებოდათ არა ნაკლებ 70 წარმომადგენლისა პირველ კენჭის ყრის შედეგად. ამ საარჩევნო სისტემის მთელი სიმახინჯე ჩანს იქიდანაც, რომ პირველი ტურის შემდეგ არჩეულ იქნა მხოლოდ 180 დეპუტატი 612-დან. სიმძიმის ცენტრი, მაშასადამე, გადატანილ იქნა ხელმეორე კენჭის ყრაზე, რომლის შედეგი განსაზღვრა არა ხალხის „ნებისყოფამ", არამედ იმ ვაჭრობამ, რომელიც გაიმართა პარტიებ შორის ხმების ერთმანეთისთვის დათმობის შესახებ. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ პირველი კენჭის ყრა გამოხატავდა ხალხის ნამდვილ ნებისყოფას, რამდენადაც ბურჟუაზია აქაც მასსების გაძლიერებას და მოტყუილებას ცდილობდა ათასგვარი ხრიკებით, მაგრამ ეს მახინჯიები უფრო ცხადად გამოჩნდა მეორე კენჭის ყრის დროს.

მთელი საარჩევნო კამპანია საფრანგეთში ჩატარდა ყველა ბურჟუაზიულ პარტიების და სოციალისტების ერთიანი ფრონტის ნიშნის ქვეშ კომუნისტების წინააღმდეგ. ბურჟუაზია ხმებს აძლევდა სოციალისტებს, იმ შემთხვევაში, როცა მოსალოდნელი იყო კომუნისტების გამარჯვება, სოციალისტები თავის მხრივ კომუნისტების გასაშავებლად თავის ხმებს რადიკალებს სთავაზობდენ. მათი ლოზუნგი იყო: არც ერთი კომუნისტი დეპუტატი პალატაში. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდენ. მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებების და სიძნელეთა, კომუნისტებმა 14 დეპუტატის გაყვანა მაინც მოახერხეს. ეს რიცხვი, საფრანგეთის კონსტიტუციის მიხედვით, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ პარლამენტის ტრიბუნიდან გაისმას მუშათა კლასის ჭეშმარიტ წარმომადგენელთა რევოლიუციონური სიტყვა.

მაგრამ კომპარტიის მთავარი გამარჯვება, რა თქმა უნდა, არა ამაში მდგომარეობს. მან შესძლო მასსების მობილიზაცია არჩევნების საშუალებით. ჩვენმა მოძმე პარტიამ შეაგროვა 200 ათასზე მეტი ხმა წინანდელ არჩევნებთან შედარებით. უდავო გახდა მისი ჰეგემონია მუშათა უმრავლეს ცენტრებში, სადაც სოციალისტების გავლენა თანდათან მცირდება. საყურადღებოა, რომ სოციალისტი მუშები, წინააღმდეგ თავისი ხელმძღვანელების მოწოდებისა, ბევრგან კომპარტიის კანდიდატებს აძლევდენ ხმას. ესაა საფრანგეთის კომპარტიის უდიდესი გამარჯვება. ამ მიღწევას ის გამოიყენებს მასსების შემდგომი დარაზმვისა და ფართე რევოლიუციონურ მოძრაობის გასაშლელად პუანკარეს რეაქციისა და მის დამქაშ სოციალისტების წინააღმდეგ.

ავღანისტანის ფადიშაჰის ჩამოსვლის გამო

საბჭოთა კავშირთან მკვიდრი მეგობრობით დაკავშირებულ სახელმწიფო ავღანისტანს, რომლის მეთაურსაც საბჭოთა მთავრობა უმართავს საზეიმო შეხვედრას, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველ ხმელეთზე. უხსოვარი დროიდან აზიის ამ ნაწილს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ყველა ხალხები და მთავრობები. ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ისტორიულ ძეგლებში, აზიის ეს ნაწილი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ატარებდა სხვადასხვა სახელებს და ეხლა შეადგენს ავღანისტანს, ხასიათდება, როგორც აზიის კონტინენტალური გზების კვანძი ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, — როგორც აზიის მსოფლიო გზების გამაგრებული კვანძი.

ამ თითქმის მიუვალ მთიან ქვეყანას მაინც აქვს რამდენიმე მოხერხებული გასავალი, რომლებზედაც უძველესი დროიდან სხვადასხვა მიმართულებით გადიოდა სავაჭრო გზები. ამავე დროს ამ გზების ძირითადი კვანძი დაცული იყო ბუნებრივი სიმაგრეებით, რომლებიც შექმნილი იყო ამ ქვეყნის მთაგრეხილებით. წინა აზიის ყველა, ერთი - ერთმანეთის მომდევნო კულტურები, აზიის ყველა მსოფლიო იმპერიები, იპყრობდნენ ეხლანდელ ავღანისტანს და მათ დასტოვეს იქ თავიანთი კვალი. ძველი სპარსეთის სამეფო, ელინისტური სახელმწიფოები, რომლებიც წარმოიშვენ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა წყალობით, სპარსეთის სასანიდების იმპერია და მთელი რიგი არაბული და თურქული ძლიერი სახელმწიფოები, მონღოლთა ლაშქრობანი და მათ მიერ შექმნილი იმპერიები — აზიის ისტორიის ყველა ეს ერთი-ერთმანეთის მომდევნო ეტაპები—თავის უშუალო გავლენის ქვეშ აქცევდნენ ეხლანდელ ავღანისტანს, როგორც თავისი ძალაუფლების ერთ-ერთ უმთავრეს პოზიციას. სწორედ ისე, როგორც რომელიმე დიდი ბრძოლის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიცია გადადის ხელიდან ხელში და წარმოადგენს ორივე მხარის უდიდეს ღონისძიებათა ობიექტს, სწორედ ასევე ათასეულ წლების განმავლობაში ეხლანდელი ავღანისტანი წარმოადგენდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ობიექტს დიდი ომებისათვის, ერთი მეორის მომდევნო ლაშქრობისათვის, რაც ანათლურებდა აზიის ხმელეთს.

საუკუნეების განმავლობაში შეუწყვეტლად წარმოებულ ომების შემდეგ, განსაკუთრებით მონღოლების გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ ამ ქვეყნის მრავალრიცხოვან, ძველად აყვავებულ მდგომარეობაში მყოფ ქალაქების მოსახლეობა, გადარჩენილი ბერძნულ და სპარსულ პერიოდებისაგან თითქმის სრულებით მოისპო. ასპარეზზე გამოვიდა მკაცრი, მაგარი მთიელი მოსახლეობა, რომელიც არასოდეს არ სტოვებდა თავის მიუვალ მთიან თავშესაფრებს და ათასეულ წლების განმავლობაში შეუწყვეტლად ინარჩუნებდა თავის მკაცრ სამხედრო თვისებებს. ამ მთიელთა სახით, რომლებიც არასოდეს არ დამარცხებულან, ავღანისტანის ხალხმა დაიცვა მთელი ეს ქვეყანა და საუკუნეებით გაგრძელებულ ბრძოლებში შექმნა ავღანისტანის სახელმწიფო. ნაპოლეონ პირველმა, რომელიც შესანიშნავი ალღოთი ითვისებდა პოლიტიკურ და ეთნოგრაფიულ ურთიერთობათა ყველა ფაქტებს, სერიოზული ყურადღება მიაქცია ავღანისტანს, როგორც ინდოეთის შესავალ კარს და ბუნებრივ ციხე - სიმაგრეს. მისი სტრატეგიული გეგმების გამო ინგლისმა პირველად მიაპყრო ყურადღება ავღანისტანის სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მეცხრამეტე საუკუნეში ავღანისტანს გადახდა რამოდენიმე გააფთრებული ომი ინგლისთან. ამ ომებს ავღანისტანის მხრივ ხელმძღვანელობდენ ემირი დოსტ-მაჰმად-ხანი და მისი მემკვიდრენი.

როდესაც ავღანისტანის სახელმწიფოს მეთაურად გახდა ფადიშაჰი ამანულა-ხანი, მისი პირველი ნაბიჯი იყო ავღანისტანის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადება. იარაღით ხელში, ხიშტის ძალით აიძულა მან ინგლისი ეცნო ავღანისტანის დამოუკიდებლობა. ჩრდილოეთის მეზობელთან — საბჭოთა რესპუბლიკასთან — მეგობრობამ შექმნა ისეთი საერთაშორისო მდგომარეობა, რომლის მეოხებით ფადიშაჰი ამანულა-ხანი ძლევამოსილი გამოვიდა ინგლისთან წარმოებულ შეიარაღებულ ბრძოლიდან და შეუდგა შინაურ რეფორმების გატარებას, რაც ამჟამად გრძელდება. ავღანისტანის ნორჩ სახელმწიფოებრივობას უდიდესად მნიშვნელოვანი ისტორიული მომავალი ელის. საბჭოთა კავშირის სტუმარი — ფადიშაჰი ამანულა-ხანი დიდებით შემოქმედებით მუშაობას აწარმოებს თავის ქვეყანაში. მშვიდობიანმა მუშაობამ შესცვალა მუდმივი ომები. ამ მუშაობის ერთ ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს ის მრავალმხრივი ურთიერთობა, რომელიც აკავშირებს ავღანისტანს საბჭოთა კავშირთან.

პოლიტიკური ურთიერთობა ჩვენს სახელმწიფოებს შორის სულ უფრო და უფრო მტკიცდება და ვაჭრობა სწრაფად ვითარდება. ავღანისტანის სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან ღრმა გავლენას იქონიებს ყველა ამ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებაზე ჩვენს სახელმწიფოებს შორის.

ჩვენ სრულიად გულწრფელად მივესალმებით დამოუკიდებელი ავღანისტანის მეთაურს, რომელმაც გადაშალა ავღანისტანის ისტორიის ახალი ბრწყინვალე ფურცელი, და გამოვთქვამთ რწმენას, რომ ფადიშაჰის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში განამტკიცებს წლობით ნაცად მეგობრობას ორივე ქვეყნის ხალხებს შორის და კიდევ უფრო ღრმად და ყოველმხრივ განავითარებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის.

გ. ჩიჩერინი.

„იზვესტია", 3 მაისი.

გერმანიის წითელ-ფრონტელთა კავშირი არ იქნება დაშლილი

ხიქსის და ბირკენხედის მუქარა ეგვიპტის მთავრობის მიმართ

ნანკინისა და ფინ-იუი-სიანის ჯარების შეტევა გრძელდება.—სამხრეთლები გადავიდნენ ყვითელ მდინარეზე

კეიდელის წინადადება დაუსაბუთებლად ცნეს

გერმანიის წითელფრონტელთა კავშირი არ იქნება დაშლილი

ბერლინი, 2 მაისი. ლეიპციგში გერმანიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა გერმანიის საოლქო მთავრობების პროექტები გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის კეიდელის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც შეეხება ფრონტელების წითელი კავშირის დაშლას მთელ გერმანიაში. უზენაესმა სასამართლომ საფუძვლიანად სცნო, რომ გერმანიის ცალკე სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს ფრონტელების წითელი კავშირის მოქმედების აკრძალვაზე, რადგან ასეთი აკრძალვისათვის კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტი

ხიქსის და ბირკენხედის მუქარა

ლონდონი, 2 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ეგვიპტის მთავრობის პასუხი ჩემბერლენის ნოტაზე გადაეცა უმაღლეს კომისარს ლორდ ლოიდს. პასუხში ნათქვამია:

„ცდილობს რა შეინარჩუნოს მშვიდობიანი ურთიერთობა ინგლისთან, ეგვიპტის მთავრობამ ინგლისის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ გააკეთა იმის მაქსიმუმი, რაც დაშვებულია კონსტიტუციით.

ლონდონი, 2 მაისი. ლონდონში სიტყვა წარმოსთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა ხიქსმა, რომელმაც ეგვიპტესთან კონფლიქტის შესახებ განაცხადა, რომ ეგვიპტის მთავრობა საშიშ ავანტიურის გზას დაადგა. „ეგვიპტის მთავრობამ, — განაცხადა ხიქსმა — გადასწყვიტა გამოსცადოს ჩვენი მოთმინება. ამის გამო მე გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ როცა ინგლისის მთავრობა უგზავნის ულტიმატუმს რომელიმე ქვეყნის მთავრობას, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მიერ მიღებულია გადაწყვეტილება და მთელი ინგლისი მხარს უჭერს მას".

ლონდონი, 2 მაისი. ბირკენხედმა ლონდონში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:

„ზომა, რომლითაც დაკმაყოფილდა ეგვიპტის მთავრობა, — კანონპროექტის განხილვის გადადება ნოემბრამდე, — სრულიად უსარგებლოა. ინგლისი არასოდეს არ დასთანხმდება ასეთ კანონმდებლობაზე არავითარ მთავრობის დროს". (ადს).

„სპეციალური დავალებებით"

ლონდონი, 2 მაისი. რეიტერი იუწყება: „მალტიდან მიღებულ ცნობებთან დაკავშირებით, თითქოს ზოგიერთმა გემებმა მიიღეს ბრძანება ეგვიპტის ნაპირებისაკენ გასვლის შესახებ, ინგლისის საზღვაო სამინისტრო აცხადებს, რომ მან არაფერი არ იცის ასეთი განკარგულებების შესახებ. მაგრამ საადმირალოს წრეებში აღნიშნავენ, რომ ხმელთაშუა ზღვის ესკადრის უფროსს უფლება აქვს გაგზავნოს გემები სპეციალური დავალებებით".

ჩემბერლენი ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის შესახებ

ლონდონი, 2 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„როგორც ჩემბერლენმა განაცხადა თემთა პალატაში, ინგლისის მთავრობამ ეგვიპტის უკანასკნელი ნოტის საპასუხოდ ეგვიპტის მთავრობას აცნობა, რომ იგი ესალმება მის გრძნობას, მაგრამ თუ კანონპროექტი საზოგადო კრებების შესახებ კვლავ იქნა აღდგენილი, ან პარლამენტში შეტანილ იქნება ამგვარი საკანონმდებლო ზომები, ინგლისი იძულებული გახდება ჩაერიოს. ინგლისი უარს აცხადებს ჩაერიოს დისკუსიაში, ინგლისის ცალმხრივი (1922 წლის) დეკლარაციის შესახებ, რომელიც ინგლისს ანიჭებს უფლებას დაიცვას ინგლისის და უცხოეთის მოქალაქენი ეგვიპტეში.

შემდეგ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინსტრუქციები ეგვიპტეში სამხედრო გემების გაგზავნის შესახებ, რომლებიც წინეთ აუცილებლად იყო ცნობილი, უკვე გაუქმდა". (ადს).

ინგლისელი მემადაროები შიმშილობენ

ლონდონი, 2 მაისი. დერგემის ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცნობების თანახმად, დერგემის მემადაროების სამუშაო ხელფასი 7 წლის განმავლობაში შემცირდა 50 პროცენტზე მეტით. დერგემის სამთა-მადნო მუშათა ასოციაციას მოჰყავს მრავალი შემთხვევები, როცა მემადაროები იძულებული იყვნენ დახმარებისათვის მიემართათ მზრუნველობის ადგილობრივ საბჭოებისათვის, ვინაიდან მათი სამუშაო ხელფასი არ უზრუნველყოფს თვით საარსებო მინიმუმსაც.

ლონდონი, 2 მაისი. თემთა პალატაში შრომის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს მუშათა პარტიის დეპუტატმა შინუელმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მინისტრისათვის ჯამაგირის წმინდა ფორმალურ შემცირებას. შეკითხვის შეტანის მიზეზია დისკუსიის გახსნა უმუშევრობის შესახებ, კერძოდ იმ ბიუროს მოქმედების შესახებ, რომელიც განაგებს მუშების გადაყვანის საქმეს მრეწველობის ერთი დარგიდან მეორე დარგში.

შინუელი მთავრობას ბრალს სდებდა იმაში, რომ იგი სავსებით გულგრილად ეპყრობა უმუშევართა ტანჯვას.

შინუელი აღნიშნავს, რომ უმუშევრად არის მეოთხედი მილიონი მემადაროე; სამხრეთ უელსიდან, სადაც არის 50.000 უმუშევარი მემადაროე, მხოლოდ 221 კაცი გაიგზავნა ცენტრებში, სადაც მუშების გადამზადება 12 თვის განმავლობაში სწარმოებს. შინუელმა შეიტანა წინადადება, რომ უმუშევრობის პრობლემის დასაწყვეტად დაარსდეს კომისია ყველა პარტიების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

შინუელის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა 227 ხმით, წინააღმდეგ 114 ხმისა (ადს).

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის საბოლოო შემადგენლობა

პარიზი, 2 მაისი. შინაგან საქმეთა მინისტრ საროს განცხადებით ახალი პალატის შემადგენლობა ასეთია: კონსერვატორი — 15, რესპუბლიკანურ-დემოკრატიული კავშირი — 145, მემარცხენე რესპუბლიკანელი — 106, ლუშერის ჯგუფი — 55, რადიკალი — 123, რესპუბლიკანელი სოციალისტი — 47, სოციალისტი — 101, კომუნისტი — 14, ფროსარის ჯგუფი — 2, ავტონომისტი — 3. ამას გარდა ჯერ მიღებული არ არის ცნობები გვადელუპაში მომხდარ არჩევნების შედეგების შესახებ. (ადს).

ვისი იმედი აქვს პუანკარეს

პარიზი, 2 მაისი. ჰავასის სააგენტო დაახლოებით ვარაუდობს უმრავლესობას, რომელზედაც შეიძლება დაეყრდნოს ახალ დეპუტატთა პალატაში პუანკარეს მთავრობა. ახლად არჩეულ დეპუტატების საარჩევნო პროგრამა, გაზეთის სიტყვით, მოწმობს, რომ 400 დეპუტატი პუანკარეს მთავრობის მომხრეა. პოლიტიკურ წრეებში სთვლიან, რომ მთავრობის უმრავლესობა ახალ დეპუტატთა პალატაში შემდეგი ჯგუფებისაგან შესდგება: რესპუბლიკანურ დემოკრატიული კავშირი — 145 დეპუტატი, მემარცხენე რესპუბლიკანელი — 106, ლუშერის ჯგუფი — 55, რესპუბლიკანელი - სოციალისტი — 47 და რადიკალების უმრავლესობა — 123 დეპუტატი. (ადს).

პრესა დეპუტატთა პალატის არჩევნების შესახებ

პარიზი, 2 მაისი. დეპუტატთა პალატის არჩევნების შედეგებს საფრანგეთის პრესა იხილავს, უმთავრესად, საპარლამენტო უმრავლესობის შექმნისა და მთავრობის შემადგენლობის შესაძლებელი ცვლილების თვალსაზრისით. ამასთანავე ერთად პრესა ყურადღებას აქცევს კომპარტიის დიდ გამარჯვებას და ავტონომისტების არჩევას ელზასში.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კომუნისტების 14 კანდიდატის ამორჩევამ, რომლებმაც მთლიანი ანტიკომუნისტური ფრონტის მიუხედავად ყველა პარტია დაამარცხეს. ბურჟუაზიული პრესა ცდილობს დასახოს არჩევნების შედეგები, როგორც კომპარტიის დამარცხება; იგი აღნიშნავს, რომ კომპარტიამ მანდატები დაკარგა წინანდელ პალატასთან შედარებით, და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ კომუნისტებმა წელს მეტი ხმა მიიღეს. უკიდურესი მემარჯვენე პრესა გულწრფელად არის შეშინებული და აღნიშნავს, რომ კომუნისტებმა იმიტომ გაიყვანეს თავისი დეპუტატები, რომ სოციალისტი ამომრჩევლები სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელების განკარგულებას არ დაემორჩილნენ. (ადს).

მენეტრიე თუ ბლიუმი?

პარიზი, 2 მაისი. მემარჯვენე გაზეთები მოითხოვენ, რომ გაუქმდეს არჩევნების შედეგი პარიზის გარეუბანს პიუტოში, სადაც ამორჩეულია კომუნისტი მენეტრიე. პრესა ამ მოთხოვნილებას იმით ასაბუთებს, მენეტრიე დამნაშავედ არის ცნობილი შპიონაჟში და წართმეული აქვს სამოქალაქო უფლებანი.

„იუმანიტეს" სიტყვით, ლეონ ბლიუმი, რომელიც არჩევნებში კომუნისტმა დიუკლომ დაამარცხა, აპირებს თავისი კანდიდატურის წამოყენებას იმ შემთხვევაში, თუ მენეტრიეს მანდატი გაუქმდება. „იუმანიტე" იმედს გამოსთქვამს, რომ თუ მენეტრიეს არჩევას გაუქმებულად გამოაცხადებენ, ის ხელახლა იქნება არჩეული. (ადს).

პუანკარეს „ახალი" კაბინეტი

პარიზი, 2 მაისი. „პარი მიდი"-ს ფურცლებზე პუანკარეს ახლობელი პირი მარსელ ლიუკენი იუწყება, რომ ფორმალური გადადგომის შემდეგ პუანკარე პალატას წარუდგენს ახალ მთავრობას; მთავრობაში შეცვლილი იქნება მხოლოდ შრომის მინისტრი ფალიერი, რომელიც გაშავდა არჩევნების დროს. „ტანი" იუწყება, რომ ფალიერის მოადგილედ იქნება ლუშერი. (ადს).

ბირჟა კმაყოფილია

პარიზი, 2 მაისი. მეორე ტურის შემდეგ ბირჟაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა საფრანგეთის წარმოებებისა და ბანკების აქციების ფასები.

ფინ-იუი-სიანის შეტევა გრძელდება

სამხრეთელთა სამხედრო ოპერაციები

შანხაი, 2 მაისი. შანდუნის ფრონტიდან მიღებულ ცნობებში ნათქვამია, რომ 24 აპრილს, ფინ-იუი-სიანის კავალერიამ დაიკავა ცზინანი, მაგრამ ჯარის ნაწილებმა ვერ შეინარჩუნეს ის.

ნანკინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, 30 აპრილს ცზინანი მეორეთ დაიკავეს პირველი და მეორე არმიის მთავარმა ძალებმა, რომლებისთვისაც წინააღმდეგობა არავის არ გაუწევია.

ნანკინის სააგენტო გომინი იუწყება, რომ ჩან-კაი-შის ბანაკი გადატანილ იქნება ცზინანში. შეწყდა მოძრაობა ხაიჩჟოუს რკ. გზაზე, რომელიც ცზინანს აერთებს ცინდაოსთან. მოძრაობის შეწყვეტა გამოწვეულია იმით, რომ გზა გადაჭრილია მინშუასთან და ჩან-ტიანთან.

იაპონელები იღებენ ზომებს მოძრაობის აღსადგენად.

ჩან-ძო-ლინის იმედები

პეკინი, 2 მაისი. „ნორტ ჩაინა სტანდარტ"-ის ცნობით, ჩან-ძო-ლინს საუბარი ჰქონდა ელჩთან მაკ მორეისთან, რომელსაც მან სხვათა შორის განუცხადა:

„ჩვენ გადავსწყვიტეთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს შევინარჩუნოთ ტერიტორია ჩინეთის დიდი კედლის ფარგლებში. მუკდენის ჯარები ხელუხლებელია და სრულიად ხელსაყრელ მდგომარეობაშია. უ-ცზუნ-შენი გაგზავნილია დონჩოუში და მე სავსებით დარწმუნებული ვარ იმ ჯარების ერთგულებაში და სიმტკიცეში, რომლებსაც უხელმძღვანელებს ასეთი სარდალი".

დასასრულ ჩან-ძო-ლინმა აღნიშნა, რომ შანდუნიდან უკან დახევა უბედურებაა, „მაგრამ მას თავისი კარგი მხარეებიც აქვს".

„პეკინ ლიდერ"-ის ცნობით უ-ცზუნ-შენმა უარი სთქვა დონჩოუს რაიონში მყოფ ჯარების სარდლობაზე და ურჩია ჩან-ძო-ლინს დანიშნოს ამ თანამდებობაზე სამხედრო მინისტრი ხო-ფინ-ლინი, თვითონ კი გაემგზავრა მუკდენში (ადს).

სამხრეთელებმა გადალახეს ყვითელი მდინარე

პეკინი, 2 მაისი. პეკინის გაზეთების ცნობით, სამხრეთელების ჯარები გადავიდნენ ყვითელ მდინარეზე ცზინანიდან ჩრდილოეთით.

რეიტერის ცნობით, სამხრეთელების ჯარებმა დაიკავეს კოშანი, რომელიც ჩანტიანთან დაკავშირებულია რკ. გზის ხაზით. (ადს).

წერილი პარიზიდან

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

22 აპრილს მთელ საფრანგეთში მოხდა საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს არჩევნები აშკარავებს საფრანგეთში გამეფებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ანარქიას. 30 სხვადასხვა მიმართულება იბრძოდა საპარლამენტო ხელისუფლებისათვის, ე. ი. 612 ადგილისათვის პარლამენტში. მხოლოდ 180 კანდიდატმა მიაღწია თავის მიზანს. 29 აპრილს დაახლოვებით 430 კანდიდატს ხელახლა უყრიან კენჭს. მემარცხენე ბლოკის გაკოტრებამ და კაპიტულიაციამ გამოიწვია მასსების უკმაყოფილების ზრდა. ამ მასსების შეუგნებელი ელემენტი, პუანკარეს მოსყიდულ პრესის გავლენით, მიემხრო მემარჯვენე პარტიებს, ხოლო შეგნებულმა ნაწილმა ხმა მისცა კომუნისტებს. პარიზის მუშათა უბნები წითელი დროშის ერთგული დარჩნენ. პოლიციის რეპრესიებმა და თეთრმა ტერორმა ადმინისტრატიული ზეგავლენის შერბილებული „კულტურული" ფორმით ვერ შეარყია ჩვენი რიგები. პროლეტარული ხმების რაოდენობა გაიზარდა. პარიზისა და განაპირა უბნების ამომრჩევ მოსახლეობის დაახლოვებით ერთმა მეოთხედმა ხმა მისცა სოციალურ რევოლიუციას.

მხოლოდ საარჩევნო ოლქების ხელოვნურ და შეიძლება ითქვას სკანდალური განაწილების წყალობით ჯერ-ჯერობით არც ერთი კომუნისტი არაა არჩეული, მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა ჩვენი ხმების რაოდენობა. მაგრამ ყველა მუშათა ოლქებში კომუნისტებს პირველი ადგილი უკავიათ. კომპარტიისათვის საარჩევნო შანსების წართმევის მიზნით, პუანკარეს მთავრობამ საპყრობილეში დასტოვა თითქმის ყველა ჩვენი ბელადები. მიუხედავად ამისა, ხელმეორე კენჭის ყრის დროს ყველა ისინი კვლავ იქნებიან არჩეული პალატაში. საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენი კანდიდატები ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ ისინი არ იბრძვიან ადგილებისათვის პარლამენტში, არამედ მთელ იმედებს ამყარებენ რევოლიუციაზე. არჩევნების შედეგებმა რამდენათმე გაამართლა ჩვენი იმედები, ვინაიდან გამოირკვა, რომ მუშათა მასსების მნიშვნელოვანი, ყველაზე მოწინავე ნაწილი, მიუხედავად ბრძოლის სიძნელეებისა, ჩვენთანაა. არ უნდა დავივიწყოთ, თუ როგორ დიდ როლს თამაშობს, განსაკუთრებით პროვინციაში, ბურჟუაზიული პრესა, რომელიც მთლიანად ჩვენი მტრების ხელშია.

აი, რამდენიმე ციფრი პარიზის შესახებ, რომლის მოსახლეობასაც, ბინების სიძვირის გამო, უმთავრესად ბურჟუაზიული ხასიათი აქვს. (მუშები განაპირა უბნებში ცხოვრობენ). მდიდარ პარიზში ნაციონალისტებმა მიიღეს დაახლოვებით 250.000 ხმა, რადიკალებმა — 65.000, სოციალისტებმა — 79.000, ხოლო კომუნისტებმა — 115.000 ხმა. რეაქციონურ პრესას მარტო ეს ფაქტი აუწერელ შიშს ჰგვრის. ის სწერს: „წარმოიდგინეთ, თვით პარიზში 115.000 პარიზელი აცხადებს, რომ ისინი ემხრობიან არა მარტო რევოლიუციას საერთოდ, არამედ დაჩქარებულ, ველურ და მთლიან რევოლიუციას! სისხლისღვრის 115.000 მომხრე! ეს ფაქტი შთამაგონებელია". ჩვენ სიტყვა-სიტყვით მოვიყვანეთ შერაზმელთა გააფთრებული გოდება.

არჩევნების შედეგების ხასიათი ზოგადათ ასეთია: უკვე არჩეულ 180 დეპუტატის უმრავლესობა რეაქციას ეკუთვნის. მემარცხენე რადიკალები სულ 16. თითქმის ამდენივეა სოციალისტებიც. ეს სრული გამარჯვებაა პუანკარესი, ამ ყველაზე უფრო საშიშ რეაქციონერის, რომელიც ბევრ რამეში მოგვაგონებს კომუნის სისხლიანი ჯალათის — ტიერის საბედისწერო ფიგურას. პასუხისმგებლობა მარჯვნივ გადახრისათვის ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ მოღალატე რადიკალებსა და მათ თანამშემწე „სოციალისტებს". ესაა ამომრჩეველთა მასების რეაქცია მემარცხენე პოლიტიკის დაპირების დამრღვევთა წინააღმდეგ, რომელთაც 1924 წ. ხმა მისცენ ამ მასებმა.

მომავალი პალატის შემადგენლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება დაჯგუფება ხელმეორე კენჭის ყრის დროს. სოციალისტები და რადიკალები, ალბათ, ყველგან დაეხმარებიან ერთმანეთს, ვინაიდან ყველა მათ საშიშროება მოელით; ბელადებს როგორიცაა: რადიკალების ბელადი დალადიე, სოციალისტების ბელადი ბლიუმი, რომელმაც გამოიჩინა სამწუხარო გამბედაობა გამოსულიყო იმ კომუნისტ ჟაკ დიუკლოს წინააღმდეგ, რომელსაც მისჯილი აქვს 38 წლით დაპატიმრება, კაზალი და სხვ. პარიზის მდიდარმა უბანმა აირჩია ფაშისტი ტეტენჟე და მეორე კენჭის ყრის ხელსაყრელ პირობებში ჩააყენა ფაშისტების ბელადი რენე.

რაც შეეხება კომუნისტებს, მათ ჯერ კიდევ პირველ ტურამდე გადასწყვიტეს გამოსულიყვნენ ყველგან „როგორც კლასი კლასის წინააღმდეგ", ე. ი. ყველა ბურჟუაზიულ და სოციალ-ბურჟუაზიულ პარტიებისა და ჯგუფების წინააღმდეგ. ისინი უპარტიო მასსებს მიმართავდენ წინადადებით შექმნათ მთლიანი ფრონტი ერთად-ერთ რევოლიუციონურ პარტიის გარშემო. ამ მოწოდების შედეგს ჩვენ 30 აპრილს გავიგებთ.

საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე კომუნისტური პროპაგანდის სიმძიმის ცენტრს წარმოადგენდა მოწოდება კლასობრივი ორგანიზაციისა და რევოლიუციონურ აქტივობისაკენ. საარჩევნო ლოზუნგებთან ერთად იყო საპირველმაისო ბრძოლის ლოზუნგებიც. კომუნისტების წინააღმდეგ წარმოებს გააფთრებული კამპანია. „მემარცხენე" პარტიების დამარცხება უდავოდ ქმნის ფაშისტურ ატმოსფერას. იმ საღამოს, როცა არჩევნების შედეგები გამოაქვეყნეს, პარტიის სახლის წინ, ლაფაიეტის ქუჩაზე, პოლიციელებმა უმიზეზოთ დაუწყეს ცემა კომუნისტებს. ჩვენ ფრანგ ამხანაგებს დიდი ბრძოლა მოუხდებათ. მაგრამ საფრანგეთის პროლეტარიატი, გამობრძმედილი რევოლიუციონურ ბრძოლებში, გაბედულად და იმედიანად შეჰყურებს თავის მომავალს.

ხ. რაპპოპორტ.

პარიზი, 23 აპრილი.

უკანასკნელი ცნობები

5 ტონა საბჭოთა ოქრო

ლონდონი, 3 აპრილი. დეპუტატმა დევისონმა (კონსერვატორმა) თემთა პალატაში შემდეგი შეკითხვა მისცა ხიქსს: იცის თუ არა მან, რომ დაახლოებით ხუთი ტონა ოქრო, რომელიც საბჭოთა მთავრობის საკუთრებას შეადგენს, გამოგზავნილია ლონდონში ინგლისურ გემით „მალსაგორით", და ღებულობს თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრო ზომებს, რომ ეს ოქრო და აგრეთვე ოქროს დანარჩენი პარტიები, რომელიც, შესაძლებელია გამოიგზავნოს საბჭოთა მთავრობის მიერ ინგლისში, გამოყენებულ იქნეს საბჭოთა მთავრობის ვალების დასაფარავად (ინგლისელ მოქალაქეების სასარგებლოდ). ამ შეკითხვის მიცემამდე, მუშათა პარტიის წევრი ტერტლი შეეკითხა პალატის თავმჯდომარეს, ეკადრება თუ არა დეპუტატს მთავრობას მისცეს ისეთი შეკითხვა, რომელიც მთავრობას შარა გზაზე ყაჩაღობის მადას უღვიძებს. დეპუტატებს ხიქსის მაგივრად უპასუხა ფინანს. მინისტრის ამხანაგმა სემიუელმა, რომელმაც განაცხადა,—არ მაქვს ცნობები დევისონის მიერ აღძრულ საკითხზეო. მაშინ დევისონი შეეკითხა, რატომ იჩენს ინგლისის მთავრობა ნაკლებ აქტივობას საფრანგეთ. მთავრობასთან შედარებით? კონსერვატორმა ხოლლმა ასეთი შეკითხვა შეიტანა: „განა სემიუელს არ წაუკითხავს გაზეთების ცნობა, იმის შესახებ, რომ 5 ტონა ოქრო უკვე მიღებულია ლონდონში? დეპუტატმა ტორნემ იკითხა: მართალია თუ არა, რომ მიღებული ოქრო გამოგზავნილია ინგლისში სავაჭრო ანგარიშების გასასწორებლად?

საკლატვალამ შეიტანა შეკითხვა—ხომ არ ფიქრობს სემიუელი დანიშნოს გამოძიება იმის გამოსარკვევად, გამოგზავნილია თუ არა ზემოხსენებული 5 ტონა ოქრო კომუნისტური კანდიდატების დასახმარებლად ინგლისის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

საკლატვალას შეკითხვა დარჩა უპასუხოთ. (ადს).

ოინები კომუნისტ დეპუტატების წინააღმდეგ

პარიზი, 3 მაისი. არჩევნების შემამოწმებელმა კომისიამ გაარჩია საკითხი, წესიერად არიან არჩეულნი თუ არა კომუნისტები—კლამამიუსი და მენეტრიე. რესპუბლიკანურ სოციალისტის რენოს (რომელმაც კლამამიუსზე ერთი ხმით ნაკლები მიიღო) მომხრეებმა კომისიას წარუდგინეს განცხადება, სადაც ისინი აღნიშნავდნენ ხმების არაწესიერ დათვლას. კომისიამ დაადგინა, საქმე გამოსარკვევად გადაუგზავნოს პარლამენტს. მენეტრიე-ზე კომისიის დადგენილება ამბობს შემდეგს: ჯაშუშობისათვის მენეტრიეს მისჯილი აქვს 8 წლის ციხე, 2000 ფრანკი ჯარიმა და აყრილი აქვს მოქალაქის უფლება 5 წლის ვადით.

მიუხედავად იმისა, რომ მენეტრიემ კასაციის წესით ეს დადგენილება გაასაჩივრა, კომისიას არ შეუძლია მენეტრიე არჩეულად ჩასთვალოს და საკითხს განსახილველად უგზავნის პარლამენტს.

უნგრეთის მთავრობა მოითხოვს ბელა-კუნს

ვენა, 3 მაისი. გუშინ ბუდაპეშტში დაიჭირეს ორი მამაკაცი და ერთი ქალი, რომელნიც, თითქოს „კომუნისტურ შეკრებებს" რაღაც ასრულებდენ. დღეს კიდევ დაიჭირეს რამოდენიმე კაცი. სულ დაჭერილია 22 კაცი. უნგრეთის მთავრობამ ავსტრიის მთავრობას მოსთხოვა ბელა-კუნის გაცემა თანახმად იმხელ შეკრულებისა, რომელიც ორივე მხარეს ავალებს სისხლის სამართლის დამნაშავეთა გაცემას. უნგრეთის მთავრობა ემყარება იმას, თითქოს ბელა-კუნმა მოკლა უკრაინელი ოფიცრები. (გამოტოვებულია).

ბელა-კუნის დაპატიმრების გამო

პრაღა, 2 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ც. კ.—მა გამოაქვეყნა საპროტესტო მოწოდება ბელაკუნის დაპატიმრების გამო. მოწოდება მიმართავს მუშათა კლასს, ენერგიული პროტესტი განაცხადოს ბელაკუნის დაპატიმრებისა და მისი შესაძლებელი გაცემის წინააღმდეგ. (ადს).

ამანულა-ხანი საბჭოთა კავშირში

ნეგორელოეში

ნეგორელოე, 3 მაისი. ავღანისტანის ფადიშაჰის შესახვედრად მოსკოვიდან ნეგორელოეში სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. **კარახანი** და ავღანისტანის ელჩი საბჭოთა კავშირში **მირზა მოჰამედ-ხანი**, ავღანისტანის მისიის მოხელეების თანხლებით. მინსკიდან საზღვარზე გაემგზავრენ ბელორუსიის ცაკის მდივანი ამხ. **ხაცკევიჩი** და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამხ. **კოზიურა**.

ფადიშაჰი ამანულა-ხანი ცოლით, ოჯახის წევრებით და ამალით ნეგორელოეში მოვიდა 2 მაისს 20 საათზე.

ბაქანზე დარაზმული იყო საპატიო ყარაული ორკესტრით, რომელიც მატარებელთან ასრულებდა ავღანისტანის ნაციონალურ ჰიმნს და ინტერნაციონალს. ფადიშაჰის მატარებლიდან გამოსვლის დროს ამხ. კარახანი მიესალმა მას საკავშირო მთავრობის სახელით და გადასცა მას ამხ. კალინინისაგან მიღებული დეპეშა. ამ დეპეშაში ამხ. კალინინი საბჭოთა კავშირის მთავრობის და თავის სახელით გამოსთქვამს რწმენას, რომ ფადიშაჰის ჩამოსვლა და საბჭოთა კავშირთან პირადად გაცნობა ხელს შეუწყობს გულწრფელი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ორ მოძმე ხალხს შორის და მათს კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას.

ფადიშაჰმა მხურვალე მადლობა გადაუხადა ამხ. კარახანს მისალმებისთვის და სიხარული გამოსთქვა მეგობრულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩამოსვლის გამო.

21 საათზე მატარებელი დაიძრა მინსკისაკენ.

მინსკში

მინსკი, 3 მაისი. მინსკის სადგურზე ამანულა-ხანის მატარებლის მოსვლის მომენტისათვის შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირის ცაკის და ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ჩერვიაკოვი**, ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გოლოდიდი**, მთავრობის სხვა წევრები და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის ჯარების უფროს ამხ. **ეგოროვის** მეთაურობით. ბელორუსიის მთავრობის სახელით ამანულა-ხანს მიესალმა ამხ. **ჩერვიაკოვი**. ფადიშაჰმა წარმოსთქვა საპასუხო მისასალმებელი სიტყვა, რის შემდეგ ამხ. **ჩერვიაკოვმა** გააცნო ფადიშაჰს მთავრობის წევრები.

22 საათზე მატარებელი დაიძრა მოსკოვისაკენ. მატარებლის გასვლის დროს ორკესტრი ასრულებდა ავღანისტანის ნაციონალურ ჰიმნს.

ამანულა ხანი

ფადიშაჰი ამანულას ჩამოსვლა მოსკოვში

მოსკოვი, 3 მაისი. 3 მაისს დილის 11 საათზე მოსკოვში ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშაჰი ამანულა-ხანი თავისი მეუღლით. სადგურზე ფადიშაჰს შეეგებენ: კალინინი, ლუნაჩარსკი, სემაშკო და სხვ. სადგურიდან ფადიშაჰი ამხ. კალინინთან და ამხ. კარახანთან ერთად ავტომობილით გაემართა საგარეო საქმეთა სახკომისარიატისაკენ. ნაშუადღევის ორ საათზე ფადიშაჰი ესტუმრა ამხ. კალინინს, კრემლიდან ფადიშაჰი მივიდა ლენინის მავზოლეუმში, სადაც მიიტანა ცოცხალი ყვავილების გვირგვინი. 8 საათზე ფადიშაჰი მიიღო მოსკოვის საბჭომ. (ადს).

ფადიშაჰ ამანულას შესახვედრად

მოსკოვი, 3 მაისი. მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის (ავღანისტანში) სტარკის ცოლი და სრულუფლებიან წარმომადგენლობის პირველი მდივანი რიკე—ავღანისტანის ფადიშაჰის შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად. ამხ. სტარკი და რიკე 28 აპრილს გამოფრინდნენ ქაბულიდან და იმავე დღეს 2 საათზე დაეშვენ ტაშკენტში, საიდანაც მატარებლით გამოემგზავრენ მოსკოვში. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ფადიშახი ამანულა მოსკოვში

მოსკოვი, 3 მაისი. დილის 11 საათზე მოსკოვში ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშახი ამანულა. ფადიშახი პოლონეთ - საბჭოთა კავშირის საზღვარიდან მოსკოვამდე მოგზაურობდა მისთვის სპეციალურად შედგენილ მატარებლით.

ფადიშახთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდა მისი ცოლი, ოჯახის წევრები და ამალა. ფადიშახი ჩამოაცილა მოსკოვში გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. **კარახანმა**, ავღანისტანის ელჩმა საბჭოთა კავშირში **მირზა-მაჰმუდ-ხანმა** და ავღანისტანის მისიის სხვა პასუხისმგებელ თანამშრომლებმა.

მოსკოვში ფადიშახი დაბინავდა გარეშე საქმეთა კომისარიატის ცალკე შენობაში სოფიისკო - ნაბერეჟნი ქუჩაზე. ცნობის მოყვარეობით სავსეა ის რაიონი, სადაც ამანულა გაჩერდა. ახლო ქუჩებში მრავლათ გამოჩნდა მოსკოვში მცხოვრები და მასთან ერთად ჩამოსული ავღანისტანელები. აღსანიშნავია, რომ ფადიშახის ჩამოსვლას დიდი წესრიგით შეხვდა მოსკოვის მოსახლეობა.

მოსკოვიდან ფადიშახი ამანულა გაემგზავრება ლენინგრადში. იქიდან დაბრუნებით გამოივლის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და გაემგზავრება თურქეთში. თურქეთიდან ამანულა კვლავ ეწვევა საბჭოთა კავშირს. ის ჩამოვა ბათომში და აქედან - კავკასიის რკინისგზებით თბილისში და ბაქოში გავლით გაემგზავრება სპარსეთში.

ავღანისტანის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია საუბარი რუსეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ამხ. ლეჟავასთან. პრესაში აგრეთვე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ავღანისტანის დღევანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის გაშუქებას. ამ საკითხებზე მოთავსებულია მთელ რიგ ეკონომისტების და პოლიტიკურ მოღვაწეთა წერილები. სხვათა შორის, მოსკოვის გაზეთებში მოყვანილია აწ გარდაცვლილ ნიჭიერ ლიტერატორი ქალის ლარისა რეისნერის მხატვრულად დაწერილი შთაბეჭდილებები ავღანისტანის შესახებ.

რა ლიტერატურას კითხულობს მოსახლეობა

მოსკოვი, 3 მაისი. პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე მხატვრული ლიტერატურის ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ავერბახი.

მომხსენებელმა თავის სიტყვაში მოიყვანა მეტად დამახასიათებელი ცნობები იმის შესახებ, თუ რა სახის მხატვრულ ლიტერატურას უფრო კითხულობს საბჭოთა ეხლანდელი მკითხველი.

ავერბახის სიტყვით პროლეტარულ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობენ 50 პროცენტის რაოდენობით, ახალ ლიტერატურას საზოგადოთ 25 პროცენტით, თანამგზავრთა ნაწარმოებებს 30 პროცენტით, კლასიკოსებს 15 პროცენტით და გლეხთა ლიტერატურას 18 პროცენტით.

სამაისო დღესასწაული მოსკოვში

მოსკოვი, 3 მაისი. პირველ მაისის დღესასწაულები მოსკოვში დიდი ზეიმით ჩატარდა. მუშათა ორგანიზაციებთან ერთად საპირველმაისო დღესასწაულში დიდი მონაწილეობა მიიღო მოსკოვის გარნიზონის ყველა ნაწილებმა. მწკრივებათ დარაზმულ მუშათა ორგანიზაციებმა და წითელ არმიამ გაიარა წითელ მოედანზე, სადაც ლენინის აკლდამიდან მათ ესალმებოდნენ ამხ. სტალინი, კალინინი, ბუხარინი, ვოროშილოვი, ტომსკი, მოლოტოვი, უგლანოვი, რუძუტაკი და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის პირველი მაისი თავისი წესრიგით და ორგანიზაციულობით იშვიათ მასიურ სანახაობას წარმოადგენდა. ლოთობას და ჩხუბს, როგორც ეს იყო აღდგომის დღეებში, სამაისო დღესასწაულზე ადგილი არ ჰქონია. „სასწრაფო დახმარების" სანიტარული ავტომანქანები ისე მუშაობდნენ, როგორც ჩვეულებრივ დღეებში.

ეროვნული

როგორ ჩატარდა პირველი მაისი

კაპიტალისტურ ქვეყნებში

ბერლინის მუშების საპირველმაისო დემონსტრაცია კომპარტიის ლოზუნგით ჩატარდა — 100.000 გაფიცული პარიზში. — შეტაკებები პარიზის გარეუბნებში. — ვარშავაში პეპეესოველების რაზმელები თავს დაესხნენ კომუნისტურ მიტინგს. — მოკლული და დაჭრილია მრავალი მუშა

პოლონეთში

სისხლისმღვრელი შეტაკება ვარშავაში.—პეპეესოველები თავს დაესხნენ მუშებს

ვარშავა, 2 მაისი. მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც 1 მაისს გაიმართა სათეატრო მოედანზე, დამთავრდა სისხლისმღვრელი შეტაკებით კომუნისტურ დემონსტრაციასა და პოლონეთის სოციალისტურ პარტიის რაზმელებს შორის. მოედანის ორი მესამედი ეკავათ კომუნისტებს, დანარჩენი პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მომხრეებს. კომუნისტურ დემონსტრაციაში მონაწილეობდა დაახლოვებით 12.000 კაცი, პოლონეთის სოციალისტურ პარტიის დემონსტრაციაში—4.000 კაცი. კომუნისტურ დემონსტრაციას ხელმძღვანელობდენ კომუნისტი დეპუტატები ვარსკი და სოპულა. კომუნისტი ორატორები გამოდიოდნენ სამ სახელდახელო ტრიბუნაზე. ვარსკის და სოპულას გამოსვლას და აგრეთვე ახალგაზრდობის და ქალთა წარმომადგენლების სიტყვებს ხალხი ენტუზიაზმით შეხვდა. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ორატორებს მიტინგის მონაწილენი სიტყვას აწყვეტინებდენ ყვირილით: „მკვლელებო, გამცემლებო".

ვინაიდან პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მომხრეთა მიტინგი მცირერიცხოვანი იყო, მათ გადასწყვიტეს არ დაეშვათ კომუნისტური მანიფესტაცია. როცა მუშები დაიწყვნენ რიგებად, საბარგო ავტომობილებიდან, რომელიც სავსე იყო რაზმელებით, დემონსტრანტებს აუტეხეს რევოლვერების სროლა. სროლა 5 წუთს გაგრძელდა. შემდეგ მუშები გაფანტა ცხენოსანმა პოლიციამ, რომელმაც მოიხმარა ცივი იარაღი. სროლის შედეგათ აღმოჩნდა 3 მოკლული და 50-ზე მეტი დაჭრილი, მათ შორის ზოგიერთები მძიმეთ. მსუბუქად დაიჭრა დეპუტატი ვარსკი. შემდეგ პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მომხრეებმა მოაწყვეს მსვლელობა, რომელიც სრულიად უხალისოდ და უფეროდ ჩატარდა. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მანიფესტაციაში მუშები თითქმის არ იღებდენ მონაწილეობას; ვინაიდან რაზმელების თავდასხმამ მათზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. პირველი შეტაკებები რაზმელებთან დაიწყო ჯერ კიდევ მახლობელ ქუჩებზე ფაბრიკებში. პოლიციის მონაწილეობა კომუნისტურ დემონსტრაციის გაფანტვაში უმნიშვნელო იყო, ვინაიდან ეს ამოცანა შეასრულეს შეიარაღებულმა რაზმელებმა.

პეპეესოველების მიერ მოკლული მუშები

ვარშავა, 2 მაისი. მოკლულ სამ მუშას გარდა გარდაიცვალა კომუნისტური დემონსტრაციის მონაწილე ორი მუშა, რომლებიც დაიჭრნენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელების მიერ ატეხილ სროლის დროს. ზოგიერთი მძიმედ დაჭრილი უიმედო მდგომარეობაშია. სულ მძიმედაა დაჭრილი 50 კაცი. დაშავებულთა საერთო რიცხვი 400 კაცს უდრის. პოლონეთის სოციალისტური პარტიის დემონსტრანტების მიერ თეატრალურ მოედანზე ატეხილ სროლის შემდეგ, პოლიცია თავს დაესხა ბუნდისა და „პოალეციონის" დემონსტრაციას და სასტიკად სცემა დემონსტრანტებს.

საავადმყოფოები სავსეა დაჭრილებით

ვარშავა, 2 მაისი. მთელი დღის განმავლობაში პოლონეთის სოციალისტური პარტიის რაზმელები თავს ესხმოდენ კომუნისტების ცალკე ჯგუფებს და ართმევდენ მათ დროშებს. ვარშავის საავადმყოფოები გავსებულია დაჭრილებით. თეატრალურ მოედანზე ატეხილ სროლით გამოწვეულ პანიკის დროს დაშავდა ბევრი ქალი და ბავში (ადს).

კომუნისტური მიტინგი ლვოვში

ვარშავა, 2 მაისი. ლვოვში 1 მაისს კომუნისტებმა დეპუტატ სოხაცკის (კომუნისტია) მეთაურობით მოაწყვეს მრავალრიცხოვანი მიტინგი. პოლიციამ სამჯერ მიიტანა იერიში იმ მოედანზე, სადაც მიტინგი იყო გამართული. არის დაჭრილები და დასახიჩრებულები.

დემონსტრაცია ლოძში

ვარშავა, 2 მაისი. ლოძში პოლიციამ გაფანტა კომუნისტების დემონსტრაცია, ზოგიერთები დაშავდა. დემონსტრაციის დროს კომუნისტებმა მოახერხეს მაგისტრატში შესვლა და იქ გამოჰკიდეს დროშა კომუნისტური ლოზუნგებით, პოლიციამ დროშა მოხსნა. (ადს).

შეტაკება პოლონეთის სოც. პარტიის წევრებსა და კომუნისტებს შორის.

ვარშავა, 2 მაისი. დრომბოვიჩში, ბორისლავში და სხ. ქალაქებში მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებს შორის. ბორისლავში სასტიკად სცემეს მემარცხენე „სელრობ"-ის დეპუტატს ვალნიცკის. (ადს).

ხელჩართული ბრძოლა სოსნოვიცაში

ვარშავა, 2 მაისი. სოსნოვიცაში კომუნისტებმა მოაწყვეს დიდი დემონსტრაცია. პოლიცია შეეცადა დემონსტრანტების გაფანტვას. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. პოლიციამ დემონსტრანტებს აუტეხა სროლა. დემონსტრანტებს შორის ბევრია დაჭრილი, ერთი მოკლულია ხიშტით. (ადს).

გერმანიაში

მენშევიკებმა უარჰყვეს ერთიანი ფრონტი

ბერლინი, 2 მაისი. გერმანიის კომპარტიამ ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ 1 მაისის დღესასწაული ჩატარებულიყო პროლეტარიატის მთლიანი ფრონტის ნიშნის ქვეშ. მცირე გამონაკლისის გარდა, პროფკავშირებმა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტების რეფორმისტულმა ბელადებმა უარყვეს კომუნისტების სათანადო წინადადებანი. საერთო დღესასწაული კლასობრივი ბრძოლის ნიშნის ქვეშ ჩატარდა მხოლოდ ზოგიერთ, უფრო მსხვილ ცენტრებში, სადაც პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანების ადგილობრივი კომიტეტები პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის ხელშია, როგორიც მაგალითად ზოლინგენში, ხანაუში და სხვ., აგრეთვე საქსონიაში, სადაც კომუნისტების გავლენამ და გამწვავებულმა ბრძოლამ სამუშაო ხელფასისათვის აიძულა რეფორმისტულ პროფკავშირების ხელმძღვანელები და სოციალ-დემოკრატები დათანხმებულიყვნენ 1 მაისის დღესასწაულის ერთად ჩატარებაზე (ადს).

კომპარტიის ლოზუნგებით

ბერლინი, 2 მაისი. ბერლინის არცერთი მსხვილი წარმოება, გარდა ქალაქის ტრანსპორტისა, არ მუშაობდა. პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების მიერ მოწყობილმა დემონსტრაციამ თავისი გრანდიოზულობით ბევრად გადააჭარბა შარშანდელს. თვალუწვდენმა მასებმა, როგორც ფიქრობენ, მილიონამდე კაცმა, გაიარა ქალაქის ქუჩებზე წითელი დროშებით. დროშების მეტი ნაწილი შემკული იყო რევოლუციონური ლოზუნგებით, რაც მსვლელობას აძლევდა მთლიანი ფრონტის რევოლუციონური დემონსტრაციის ხასიათს.

სჭარბობდა შემდეგი ლოზუნგები:—ძირს სამედიატორო სასამართლოს მახინაციები, გაუმარჯოს ბრძოლას რვა საათის სამუშაო დღისათვის, სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის, ძირს ბურჟუაზიული ბლოკი, ძირს კოალიციური პოლიტიკა, ძირს წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვა, გაუმარჯოს ბრძოლას ამნისტიისათვის, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად და სხვ.

პროფკავშირთა ორგანიზაციების ბევრ კოლონებს სათავეში უძღოდნენ წითელ ფრონტელების მრავალრიცხოვანი რაზმები ორკესტრებით და დროშებით. მრავალრიცხოვანი პლაკატები შეიცავდნენ მოწოდებას მომავალ არჩევნებზე კომპარტიისათვის ხმის მიცემის შესახებ და სხვ.

„რესპუბლიკანური დროშის" კავშირის ცალკე რაზმები და მცირერიცხოვანი რეფორმისტული ლოზუნგები სრულებით აღარ მოსჩანდნენ რევოლუციონურ დროშებისა და ლოზუნგების ზღვაში.

მანიფესტაციის საერთო ხასიათს სავსებით ეწინააღმდეგებოდა პროფკავშირების ლიდერ ჰოლცის მიერ წარმოთქმული სიტყვა.. პოლცმა პირველ რიგში წამოაყენა ჩვეულებრივი რეფორმისტული პაციფისტური ლოზუნგები: ომი ომს, გაუმარჯოს ხალხთა ძმობას და ბრძოლას დემოკრატიული რესპუბლიკის ნიადაგზე.

პოლცის სიტყვამ სრულებით ვერ შეასუსტა გრანდიოზულ დემონსტრაციის მებრძოლი კლასობრივი ხასიათი.

ნაშუადღევს კომპარტია მართავს დღესასწაულს დახურულ შენობებში, სოციალ-დემოკრატიული მართავენ მრავალრიცხოვან დახურულ კრებებს (ადს).

საფრანგეთში

პოლიციის მზადება. —გაფიცვები.— შეტაკებები პარიზის გარეუბნებში

პარიზი, 2 მაისი. „პტი პარიზენ"-ის ცნობით, 30 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრ საროს თათბირი ჰქონდა პარიზის პოლიციის პრეფექტ კიაპთან და დამცველი პოლიციის უფროს რუნართან. თათბირზე ირჩეოდა 1 მაისისათვის „წესრიგის და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის და აგრეთვე შრომის თავისუფლების უზრუნველყოფის საკითხი". ამ მიზნით პარიზში გაიწვიეს სამხედრო ნაწილები, რომლებიც დაბანაკდენ ქალაქის განაპირა უბნებში. მიუხედავად ამისა პირველი მაისის დღესასწაული მუშათა მასების დისციპლინის მეოხებით შედარებით მშვიდათ ჩატარდა.

„ჰუმანიტე"-ს ცნობით უფრო მნიშვნელოვან შეტაკებებს ჰქონდა ადგილი მენილის, მონტანის, კლიშის და იგრის განაპირა უბნებში. „ჰუმანიტე"-ს და „ტან"-ის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებით, პარიზში და მის მიდამოებში გაფიცული იყო სამშენებლო მრეწველობის მუშების უმრავლესობა, ტყავის მრეწველობა—მთლიანად, ლითონის მრეწველობაში 60-დან 90 პროცენტამდე. ტრამვაის, ავტობუსების და მეტროპოლიტენების მოძრაობა ძლიერ შემცირებული იყო.

„ტან"-ის ცნობით, შუადღემდე დააპატიმრეს 80 კაცი და დააკავეს დემონსტრაციის მონაწილეთა ავტომობილები და მოტოციკლეტები. დაპატიმრებულთა შორის არის ტრანსპორტის მუშათა კავშირის ორი მდივანი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სენ-ე-უაზის დეპარტამენტში გაიფიცა მუშების 50 პროცენტი.

ჰავასის ცნობით საფრანგეთის სამხრეთ ნაწილიდან 1 მაისის შუადღემდე მიღებული ცნობები მოწმობს, რომ სამხრეთ დეპარტამენტში დილა მშვიდობიანად ჩატარდა.

100.000 გაფიცული

პარიზი, 2 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, პარიზში და მის მახლობელ უბნებში 1 მაისს, გაიფიცნენ თამბაქოს, ასანთის, საკვების და ავეჯის მრეწველობის ყველა მუშები და სხვ. 92.000 მეტალისტიდან გაფიცული იყო 51.000. სულ გაიფიცა 100.000 მეტი მუშა.

„ლ'იუმანიტე" აღნიშნავს გაფიცვის საერთო წარმატებას. რევოლიუციონური პროფკავშირების მიერ მოწყობილი კრებები დიდის წარმატებით ჩატარდა. კრებებს აურაცხელი ხალხი დაესწრო. მენილ-მონტანის უბანის ქუჩებში პოლიციისა და მიტინგიდან დაბრუნებულ მუშებს შორის მოხდა შეტაკება. პოლიციის პრეფექტს უსტვინეს, რის შემდეგაც დააპატიმრეს 19 კაცი. კლიშის უბანში მიტინგის დამთავრების შემდეგ შენობაში დარჩენილ მუშებს თავს დაესხნენ ჟანდარმები; შეტაკების დროს ჟანდარმებმა ცემა დაუწყეს მუშებს. ინციდენტში ჩაერია კლიშის ქალაქის თავი, რომელმაც შეწყვიტა შეტაკება. პრეფექტურის ცნობებით, 1 მაისს დააპატიმრეს 165 კაცი.

ვერსალში გაიმართა უმუშევართა მიტინგი, რომელიც დიდი წარმატებით ჩატარდა.

მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები და მიტინგები გაიმართა პროვინციაში, კერძოდ ლიონში, მარსელში, ბორდოში, ტულუზაში, ნანტში, სენ-ეტიენში და სხვ. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიაში

40.000 კაცი კომინტერნის დროშის ქვეშ

პრაღა, 2 მაისი. საპირველმაისო კომუნისტური დემონსტრაციები მთელ ჩეხო-სლოვაკიაში თავისი სიძლიერით სჭარბობდა წარსულ წელში გამართულ დემონსტრაციებს. პრაღაში კომუნისტურ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 40.000 კაცმა, მაშინ როდესაც სოციალ-დემოკრატებმა შეაგროვეს სულ 8.000 მუშა. (ადს).

ამერიკაში

მიტინგი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 2 მაისი. 1 მაისს ნიუ-იორკში და საერთოდ მთელ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში და კანადაში გაიმართა მასიური კომუნისტური მიტინგები და დემონსტრაციები. ნიუ-იორკში მედისონ-სკვერ გარდენის უდიდეს საკრებულო დარბაზში შეიკრიბა—16.000 მუშა, რომელთა წინაშე სიტყვებს წარმოსთქვამდნენ კომპარტიის ბელადებმა. ნიუ-იორკში არავითარ ინციდენტს არ ჰქონია ადგილი. (ადს).

მექსიკაში

შეთანხმებლებმა ასიამოვნეს ამერიკის ელჩს

მექსიკო, 2 მაისი. მექსიკოში გაიმართა მუშათა აღლუმი, რომელიც ჩატარდა პრეზიდენტ კაიესის და დიპლომატიური კორპუსის, მათ შორის საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მაკარის და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ელჩის მოროუს თანდასწრებით. სრულიად არ სჩანდა ლოზუნგები ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რაიც შედეგი იყო იმ შეთანხმების, რომელიც მოხდა შეთანხმებლებსა და ამერიკის ელჩ მოროუს შორის.

მექსიკო, 2 მაისი. მექსიკის რეფორმისტულმა შრომის კონფედერაციამ უარჰყო დამოუკიდებელ პროფკავშირების და კომუნისტების წინადადება საერთო მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვის შესახებ 1 მაისს. დამოუკიდებელი პროფკავშირები და კომპარტია 1 მაისის დღესასწაულს მართავენ შრომის კონფედერაციისაგან დამოუკიდებლად (ადს).

ლატვიაში

მთლიანობის დემონსტრაცია

რიგა, 2 მაისი. ლატვიის პროლეტარიატმა 1 მაისის დღესასწაული გადააქცია მუშათა კლასის ერთიანობის დემონსტრაციათ, მოაწყო სოციალ-დემოკრატებისა, დამოუკიდებელ სოციალისტებისა, და პროფკავშირების მემარცხენე წევრების გაერთიანებული მსვლელობა. განსაკუთრებით დიდი დემონსტრაცია გაიმართა რიგაში, სადაც მონაწილეობა მიიღო 20.000 მუშამ. ბურჟუაზიული პრესა აღიარებს, რომ ეხლანდელმა დემონსტრაციებმა გადააჭარბა წინა წლებში გამართულ დემონსტრაციებს, ორატორები დემონსტრანტებს მოუწოდებდნენ საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ საერთაშორისო ბურჟუაზიის თავდასხმის ცდებისაგან. (ადს).

ჩინეთში

სამხედრო წესები შანხაიში

შანხაი, 2 მაისი. პირველ მაისს ქალაქში სრული სიმშვიდე იყო. შანხაიში გამოცხადდა სამხედრო წესები. მუშათა უბნებში თავი მოუყარეს პოლიციის ძლიერ რაზმებს ტანკებით და ტყვიამფრქვევლებით (ადს).

პეკინი

პეკინი, 2 მაისი. პეკინში და ტიანძინში 1 მაისის დღესასწაული მშვიდობიანათ ჩატარდა. მიტინგები და დემონსტრაციები არ ყოფილა. ჩინეთის ხელისუფლებამ აკრძალა გამოსვლა, რომელიც თეთრგვარდიელებს უნდა მოეწყოთ ტიანძინში. ტიანძინში საბჭოთა საელჩოს ეზოში ისროლეს ჩვარში გახვეული ქვა.

ბულგარეთში

ვენა, 2 მაისი. ბულგარეთში ყოველგვარი საპირველმაისო დემონსტრაციები აკრძალეს, მიზეზად მოიყვანეს მიწისძვრით გამოწვეული სამგლოვიარო განწყობილება. კონფისკაცია უყვეს მუშათა გაზეთის „ნოვინი"-ს საპირველმაისო ნომერს (ადს).

საბჭოთა კავშირში

ზეიმი მოსკოვში

მოსკოვი, 2 მაისი. 1 მაისს მოსკოვში შესდგა მოსკოვის გარნიზონის ჯარების აღლუმი და დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მრავალმა ათასმა კაცმა. გარნიზონის სხვადასხვა ნაწილები დილით ადრე გამოცხადდენ წითელ მოედანზე. სწორედ 10 საათზე საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ვოროშილოვმა** მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების უფროს ამხ. **შაპოშნიკოვის** თანხლებით ჩამოიარა ფრონტი და მიესალმა წითელ არმიელებს. შემდეგ ამხ. ვოროშილოვმა მიმართა წითელ არმიელებს მისასალმებელი სიტყვით.

„დღეს ჩვენ აღვნიშნავთ,—ამბობს ამხ. ვოროშილოვი—რომ არა თუ შესაძლებელია, არამედ ისტორიულად აუცილებელია პროლეტარიატის გამარჯვება მთელ მსოფლიოში. 1 მაისს, ისე, როგორც ჩვენ, დღესასწაულობენ ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატებიც. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ჩვენ ვდღესასწაულობთ, როგორც რევოლიუციონერები, ყველა ჯურის სოციალისტები კი ამ დღეს კმაყოფილდებიან „რევოლიუციონური" ლაყბობით და 1 მაისს დღესასწაულობენ, როგორც გამცემლები. 1 მაისისათვის ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ მთელი რიგი სამეურნეო, ყოფაცხოვრებითი და სხვა მიღწევები, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მუშურ გლეხურ წითელ არმიას. მართალია, უცხოეთში ჩვენ გვსაყვედურობენ, რომ ჩვენ შევქმენით არმია, რათა საფრთხე შევუქმნათ კაპიტალისტურ სამყაროს, მაგრამ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ჩვენი არმია შექმნილია იმიტომ, რომ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა გვაიძულეს გვეწარმოებია თავდაცვა. 10 წლის განმავლობაში წითელი არმია იცავს საბჭოთა კავშირის საზღვრებს და საშუალებას გვაძლევს მშვიდობიანად ვაშენოთ სოციალისტური მეურნეობა. ჩვენ მთელ კაპიტალისტურ სამყაროს მივეცით წინადადება განიარაღების შესახებ და გულწრფელად გვინდოდა დაგვეყარა იარაღი, მოგვესპო ყველა სამხედრო ქარხნები და დაგვეთხოვა არმია მშვიდობიან შრომის საწარმოებლად. მაგრამ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ჩვენი წინადადება უარჰყვეს. გასაგებია, რომ, თუ ჩვენი მეზობლები შეიარაღებული დარჩნენ, არც ჩვენ შეგვიძლია დავყაროთ იარაღი.

დღეს ჩვენ ერთხელ კიდევ ვუცხადებთ მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენ მზადა ვართ განვიარაღდეთ ურთიერთი კონტროლის პირობით. თუ კაპიტალისტური ქვეყნები არ გამოეხმაურებიან ჩვენს მოწოდებას, ჩვენ იძულებული ვიქნებით შევინარჩუნოთ ჩვენი არმია, რათა მას შეეძლოს საბჭოთა კავშირის დაცვა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ თავს დაგვესხნენ".

ამხ. ვოროშილოვის სიტყვის შემდეგ წითელ არმიელებმა მიიღეს საზეიმო ფიცი.

შემდეგ დაიწყო აღლუმი. მწყობრი რიგებით გაიარეს ჯარებმა—ტყვიამფრქვევლებმა, მესანგრეებმა, არტილერისტებმა. მოედანი ზანზარებს ვეებერთელა ტანკების და მსუბუქი და მძიმე არტილერიის დროს. განსაკუთრებით ბრწყინვალე შთაბეჭდილება მოახდინეს ცხენოსანი ჯარის ნაწილებმა, რომლებმაც შენებით ჩაიარეს მავზოლეის, ტრიბუნიდან წითელ არმიელებს მიესალმნენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და მთავრობის წევრები, მათ შორის ამხ. **სტალინი, ბუხარინი, კალინინი, მოლოტოვი, რუძუტაკი, უგლანოვი, ტომსკი** და სხვ. დღის 12 საათზე დაიწყო დემონსტრაცია. დემონსტრანტების კოლონებმა აავსო მთელი წითელი მოედანი, ვინაიდან ერთსა და იმავე დროს გაიარეს ყველა რაიონებმა. კოლონები ამშვენებდა დიდძალი პლაკატები, მოდელები და წარმოების ნიმუშები. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 700.000 კაცმა.

ლენინგრადში

აღლუმი და დემონსტრაცია

ლენინგრადი, 3 მაისი. პირველი მაისის დღესასწაული ლენინგრადში აღნიშნულ იქნა ყოველგვარი სახის სამხედრო ნაწილების აღლუმით ურიცკის მოედანზე და გრანდიოზული დემონსტრაციით. აღლუმის დაწყებამდე ფიცი მიიღეს ახალგაზრდა წითელარმიელებმა. აღლუმი მიიღო ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ამხ. კორკმა, ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კომაროვთან, საოლქო კომიტეტის მდივნებთან —ამხ. კიროვთან და ჩუდოვთან და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრ ამხ. საიკოვთან ერთად. თითქმის 2 საათის განმავლობაში გაგრძელდა სამხედრო ნაწილების საზეიმო მსვლელობა, რომლებსაც ენტუზიაზმით ესალმებოდნენ მოედანზე მყოფი მუშები. დემონსტრანტების გავლა ტრიბუნის გვერდზე დაიწყო 12 საათზე და დამთავრდა 4 ნახ. საათზე. საღამოთი ყველა ბაღებში, კლუბებში და მოედნებზე გაიმართა მუშათა სეირნობა, ცეკვა, კინო, რადიო და სხვ. (ადს).

უკრაინაში

დნეპროპეტროვსკში

დნეპროპეტროვსკი, 3 მაისი. საპირველმაისო დღესასწაული, რომელიც სამი დღე გაგრძელდა, დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 60.000 მშრომელმა. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო უკრაინის ცაკის თავმჯდომარემ პეტროვსკიმ, რომელმაც ფიცი მიაღებინა წითელარმიელებს. 1 მაისის დღეს პეტროვსკის და ლენინის სახელობის ქარხნების 100 კვალიფიცირებულმა მუშამ შეიტანა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ (ადს).

ხარკოვში

ხარკოვი, 3 მაისი. 1 მაისის დემონსტრაციამ მასიური სახალხო დღესასწაულის ხასიათი მიიღო, დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100.000-მდე კაცმა (ადს.)

1-ლი მაისის დღესასწაული თბილისში

პირველ მაისს ამინდი დადგა საზეიმო, ნამდვილი სამაისო. მხოლოდ დასავლეთის მხრიდან დრო-გამოშვებით ქროდა ქარი.

დილიდანვე დაცალიერებულ ქუჩებში ყოველგვარი მოძრაობა სრულიად შეწყვეტილია, არ დაქრიან ავტო-მანქანები, არ მოძრაობენ ტრამვაის ვაგონები, არ სჩანან ეტლები.

ზუსტად 10 საათზე ყველა რაიონების მუშა-მოსამსახურეები უკვე მოსული და ჩამწკრივებულნი არიან რუსთაველის პროსპექტზე ლენინის ქუჩის ბოლომდე.

როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, მუშათა მასებთან ერთად სადღესასწაულოდ გამოსულ ჯარის



ტრიბუნაზე

ნაწილები, რომლებსაც დაკავებული აქვთ რუსთაველის პროსპექტის და ლენინის ქუჩის მარჯვენა მხარე.

თერთმეტის ნახევრიდან იწყება მასების დემონსტრაციული მსვლელობა.

თუ გინდათ გაიგოთ რა აღელვებს, რა ამოძრავებს, რაზე ფიქრობს მშრომელთა ეს უთვალავი რაზმები, საკმარისია თვალი გადაავლოთ მრავალფეროვან პლაკატებს, რომელნიც აძლევენ განსაკუთრებულ აზრსა და შინაარსს პირველი მაისის წლევანდელ დღესასწაულს. პლაკატები მაჩვენებელი არიან იმის,

დემონსტრანტები სასახლის წინ.

თუ რა საფეხურზე იმყოფება დღეს მუშათა კლასი, რა აქვს წამოყენებული მას ამჟამად თავისი ბრძოლის და მუშაობის დღის წესრიგში.

— „იმპერიალისტები,—გვამცნობს ერთერთი პლაკატი,—ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას გვიმზადებენ, სოციალ-დემოკრატები ფარავენ ამ ბნელ საქმეს მშვიდობიანობაზე ლაყბობით; ძირს იმპერიალიზმი! ძირს კაპიტალიზმი და მათი ლაყბობა!—ერთა ლიგა ფარავს შეიარაღების ზრდას და ახალი ომებისათვის მზადებას, ძირს ერთა ლიგა! გაუმარჯოს საბჭოების ბრძოლას მშვიდობიანობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის"!

თბილისის მშრომელმა მასებმა კარგად იციან, რომ მსოფლიო ყაჩაღები ისევ ემზადებიან ახალი ეკონომიური ინტერვენციისათვის, მაგრამ ეს მათ არ აშინებს და დღეს—პირველ მაისს საქვეყნოდ აცხადებენ:

— „იმპერიალისტების სამხედრო ინტერვენცია სამარცხვინო მარცხით დამთავრდა,— ასეთივე მარცხით დამთავრდება ეკონომიური ინტერვენცია და მათ მიერ მოწყობილი კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულება".

საპირველმაისოდ გამოსულ მასებს მტკიცედ აქვთ შეგნებული, რომ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მტერია არა მარტო ჩარჩ-[illegible] გაბატონებული კლასი, არამედ თვით მუშათა კლასში არსებული ნაკლოვანებანი, ამიტომ—

— „ულმობელი ბრძოლა მექრთამეობას, უთავბოლობას, დაუდევრობას, ბიუროკრატიზმს, რუტინას".

„ყველა ჩვენს ნაკლს,—ამბობს შემდეგი პლაკატი—სახელმწიფოს მთელ მუშაობას მასებმა უნდა გაუწიონ კრიტიკა, გადასინჯონ და შეამოწმონ იგი. კრიტიკა ძლიერი იარაღია საბჭოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად, გამოიყენეთ ის იარაღი, იმის მიუხედავად, თუ რომელ პირთან გექნებათ საქმე".

ოქტომბრის მეათე წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლებამ წამოაყენა 7 საათის სამუშაო დღის ლოზუნგი.

საზეიმოდ გამოსულ პროლეტარიატს კარგად ესმის, რომ შეუძლებელია ამ ლოზუნგის განხორციელება, თუ არ მოხდა ჩვენი წარმოების რაციონალიზაცია, ამიტომ არის, რომ დღეს იგი მედგრად გაიძახის:

— „გაუმარჯოს სოციალისტურ რაციონალიზაციას—მუშათა კლასის მატერიალურ და კულტურული ამაღლების საფუძველს".

უკვე ორი წელიწადია, რაც საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია—მშრომელთა მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს, ამ ზეიმის დღესაც იგი გვერდს ვერ აუხვევს ლოზუნგს, რომელიც ამბობს:

— „გაუმარჯოს მეცნიერების და ტეხნიკის ყველა მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის".

— „გაუმარჯოს პროლეტარულ ინჟენერებსა და ტეხნიკოსების ახალ რაზმებს".

საერთო მხიარულების დღეს პროლეტარიატი არ ივიწყებს თავის ერთგულ მოკავშირეს—ღარიბ და საშუალო გლეხობას, რადგან დარწმუნებულია, რომ

— „მუშათა და გლეხთა კავშირი კულაკობისა და ნეპმანების წინააღმდეგ—არის გზა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისა".

„გლეხებო, წინ კოლექტიური მეურნეობისაკენ"—ასეთი პლაკატით მოუწოდებს მუშათა ერთი ჯგუფი თავის მოკავშირეს.

მრავალი ასეთი ლოზუნგები, რომელნიც წარმოშობილი არიან ჩვენი სამეურნეო განვითარების პროცესში, გაისმის ქუჩებზე გამოსულ პროლეტარიატის და ტრიბუნაზე შემდგარ მუშათა ბელადების პირიდან.

რაზმები რაზმებს მისდევენ—სამი საათის განმავლობაში.

მოაღწია ნაშუადღევის ორმა საათმა. მასების მოძრაობა დასასრულს უახლოვდება და ამ დროს პროსპექტზე გამოდიან ფიზკულტუროსანთა მწყობრი რაზმები, რომელნიც ნელი და რიტმიული ნაბიჯით მიიმართებიან დაახლოებით ორასი მეტრის სიგრძეზე.

მკლავ და მუხლ მაგარი, მკერდ განიერი სავარჯიშო ტანსაცმელში გამოწყობილნი მუშა ახალგაზრდობის რაზმები წარმტაც სანახაობას წარმოადგენდნენ.

ფიზკულტუროსნებს უკან მოსდევენ მოტოციკლეტები, ჯავშნოსან მანქანების მთელი რიგები და ასე გრძელდება ნაშუადღევის სამ საათამდე.

სამხედრო ორკესტრების, ზურნის, თარის, სანდარის ჰანგებში, ცოცხალ გაზეთების ხმაურში, მომღერალ გუნდების ჟრიამულში და რადიო-მაუწყებლების გუგუნში გახვეული ქალაქი სრულ სამ საათზე ამთავრებს გამარჯვებულ ხალხის მხიარულ ზეიმს.

რ—ი.

წითელი ფიცის მიღება

მოედანზე ვაკეში გამწკრივებულან ახალგაზრდა წითელარმიელები, რომელთაც დღეს უნდა მიიღონ წითელარმიელთა ფიცი.

ფიცს იღებენ ყველა სახის სამხედრო ნაწილების წითელარმიელები: აქ არის ქვეითი და ცხენოსანი ნაწილი, არტილერია და სხ.

დღის 11 საათზე მოედანზე გამოჩნდა არმიის სარდალი ამხ. **ლევანდოვსკი** და მეორე ქართული დივიზიის სარდალი ამხ. **გიორგაძე**.

ამხ. ლევანდოვსკიმ და გიორგაძემ ჩამოუარეს წითელარმიელთა რიგებს და მიესალმნენ მათ.

სარდლებთან ერთად ფიცის ტექსტის წასაკითხად მოვიდნენ ამხ. **მახარაძე, ჟულელი, კასიანი, გოლქვაძე, დოლიძე, მაჩაიძე** და **ქავთარაძე**.

წითელარმიელები ნაწილდებიან ჯარის სხვადასხვა ნაწილების მიხედვით და მკვეთრად გაისმის ფიცის სიტყვები:

„მე, მშრომელი ხალხის შვილი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, ვიღებ მუშურ-გლეხური არმიის ჯარისკაცის წოდებას" და სხვ.

ფიცის მიღება დამთავრდა. ფიცმიღებულთ ესალმებიან მთავრობის წევრები, რის პასუხად გაისმის მხურვალე და მქუხარე „ვაშა!"

ქ—ი.

პარტიული ცხოვრება

პარტიიდან გარიცხვა ფრაქციულ მუშაობისთვის

კიევი, 3 მაისი. კიევის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა გამორიცხოს პარტიის რიგებიდან კიევის ორგანიზაციის 5 წევრი, რომლებიც აწარმოებდნენ ფრაქციულ გამთიშველ მუშაობას პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ.

საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში შემოვიდა 25 განცხადება ოპოზიციის დატოვების და მასთან ყოველივე კავშირის გაწყვეტის შესახებ (ადს).

რა უნდა გამოსწორდეს

უჯრედების მუშაობის ერთერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მკაფიოდ არ არის გამიჯნული ფუნქციები ერთის მხრივ უჯრედის კომისიებს შორის და მეორეს მხრივ კომისიებსა და უჯრედის ბიუროს შორის. კომისიები ხშირად აკეთებენ არა თავის, არამედ სხვა კომისიების საქმეს (მაგალითად, საგიტაციო-საპროპაგანდო კომისია აწარმოებს უჯრედის აქტივის აღრიცხვას და ანაწილებს დატვირთვას, საორგანიზაციო კომისია იხილავს ნებაყოფლობითი საზოგადოებების ანგარიშებს და სხვ.); გარდა ამისა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საორგანიზაციო კომისიები ითვისებენ უჯრედის ბიუროს ფუნქციებს. არის შემთხვევები, როდესაც საორგანიზაციო კომისია იკვლევს საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ფრაქციების მუშაობას, თავის სხდომაზე ისმენს მათ ანგარიშს და გამოაქვს რეზოლიუცია და პრაქტიკული წინადადებები ანგარიშის გამო. ასეთ შემთხვევაში იჩრდილება უჯრედის ბიუროს ხელმძღვანელი როლი, ვინაიდან საორგანიზაციო კომისიის მიერ გარჩეული საკითხი უმეტეს ნაწილად სრულებით არ ისმება ბიუროს სხდომაზე და საქმე თავდება მით, რომ ბიურო ამტკიცებს საორგანიზაციო კომისიის პრაქტიკულ წინადადებებს.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს საერთო კრებებისა და სხდომების უწესრიგო არარაციონალური დაყენება. მთელ რიგ უჯრედებში კრების დაწყებიდან დამთავრებამდე ადგილი აქვს ხმაურობას, და საქმისათვის შეუსაბამო წამოძახილებს ადგილებიდან. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კრების თავმჯდომარის არჩევას, რადგან ხშირად განსახილველად დასმულ საკითხს უხეირო ხელმძღვანელობის გამო ეკარგება მთელი აზრი. თავმჯდომარის საქმე ხომ მარტო ის არ არის, რომ სიტყვა მისცეს მსურველებს, ის აგრეთვე მიმართულებას აძლევს საერთო კრებას და დამსწრეთა ყურადღებას მიაქცევს განსახილველად დასმულ საკითხის უმთავრეს მომენტებზე. იგი სათანადო მიმართულებას აძლევს კამათსაც. სიით არჩეული თავმჯდომარეები კი ხშირად უხეიროდ ხელმძღვანელობენ კრებას რის გამოც აუდიტორია იღლება და ზიანდება საკითხების საქმიანი გარჩევა.

დასახელებულ უჯრედის რაციონალიზატორული მუშაობის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია მისი მჭიდრო კავშირი მაღლამდგომ პარტორგანოებთან. უჯრედები ნათლად უნდა გარკვევენ იმ საკითხებში, რომლებიც უნდა გადიტანილ იქნეს რაიონულ კომიტეტებში; ასეთ შემთხვევებში უჯრედები არ უნდა დაკმაყოფილდენ მარტო ოქმების გადაგზავნით. ოქმები ხშირად ნათლად არ გამოხატავს კრებაზე გარჩეულ საკითხების დედა აზრს. მჭიდრო ცოცხალი ურთიერთობა რაიონულ კომიტეტთან, პირადი საუბარი მუშაკებთან, კერძოდ საინფორმაციო ქვეგანყოფილებასთან, მოიტანს მეტ ნაყოფს და გამოიწვევს მიწერ-მოწერის შემცირებას უჯრედსა და მაღლამდგომ ორგანოს შორის.

ა. ხეჩანიანი.

სამოსწავლო წლის დასასრულის წინ

მეტი ყურადღება გამოცდილებათა აღრიცხვას

მაისის თვეს დამლევს ამთავრებენ მუშაობას თითქმის ყველა სახის და საფეხურის პარტიული სკოლები. საქართველოს სხვადასხვა ჩამორჩენილი კუთხეებიც კი არ არის დარჩენილი, რომ იქ მოძრავი და სტაციონალური პარტიული სკოლა არ არსებობდეს.

პარტ-სკოლებმა დიდად გამოაფხიზლეს ჩვენი პარტიული მასა, ხელი შეუწყეს მისი მონაწილეობის გაძლიერებას, სხვადასხვა საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციების საქმიანობაში და ამით გაზარდა პარტორგანიზაციის როლი და ხვედრითი წონა სოციალისტურ მშენებლობაში.

წარსულ მუშაობას მრავალ მიღწევებთან ერთად ახლდა ნაკლოვანებები, მომავალში ამ ნაკლთა გამოსასწორებლად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ განვლილი მუშაობის აღრიცხვას.

პოლიტ-სკოლის თვითეულმა მსმენელმა საკუთარი აზრის გამოთქმით ხელი უნდა შეუწყოს ამ საქმეში.

ტ. მ—ძე.

პარტგანათლება გორის მაზრაში

1927-28 წელს პარტიული განათლების ქსელის მდგომარეობა გორის მაზრაში ასეთია: სასწავლო სტაციონარული სკოლაა 5— (162 მსმენელით); მოძრავი პ.-სკოლა—2—(112 მსმენელით), საღამოს პარტიული სკოლა—1— (28 მსმენელით), მიმდინარე პოლიტიკის წრე—4—(109 მსმენელით), პარტიულ პროგრამის და წესდების შემსწავლელი წრე—3—(169 მსმენელით); მსმენელთა შორის ქალებია—47, მამაკაცი—524.

მსმენელების პარტიული შემადგენლობა: კ. პ. (ბ) წევრი და კანდიდატი—310; კომკავშირელი—175; უპარტიო—86, სოციალური შემადგენლობა: 323 მუშა, 208 გლეხი და 40 მოსამსახურე.

მაზრაში არის გახსნილი შემოკლებული და ნორმალური სკოლები. სუსტია აგრეთვე ნებაყოფლობითი პარტგანათლების ქსელი.

დ. ო.

ჩვენი პოლიტსკოლის მუშაობა

(მთავარ სახელოსნოთა სამჭედლო სამქროში)

ჩვენი პოლიტსკოლის მეცადინეობა დაიწყო ა. წ. 13 ოქტომბერს. სკოლაში პირველ ხანებში ითვლებოდა 32 მსმენელი, მაგრამ შემდეგ გამოაკლდა ათი კაცი, დაგვრჩა 28. ამათ შიაც ზოგიერთნი ღამის მუშაობის ან ავადმყოფობის მიზეზით აცდენენ მეცადინეობას, რის გამოც კიდევ გამოირიცხა ექვსი მსმენელი. დარჩენილ 22 მსმენელიდან, ორი ქალია და ორიც უპარტიო. პოლიტსკოლის გამოცდა გვექნება მაისის საშუა. გამოცდას ჩაატარებს კომისია, რომელშიაც შევა თვით სკოლის ხელმძღვანელი, მამასახლისი და ერთიც რაიკომის წევრი.

რომ მომავალ ზამთრისთვის უფრო ნაყოფიერი იქნეს ჩვენი მეცადინეობა, საჭიროა სკოლების შედგენის დროს მხედველობაში მიღებულ იქნეს მსმენელთა მუშაობის პირობები (ღამის მუშაობა, ნარდი საქმე და სხვ.). ამ პირობების გაუთვალისწინებლობა მიმდინარე წლის დიდათ აფერხებდა პოლიტსკოლების საქმიანობას.

გოგია მეჩინგური.

ჩვენი ნაკლი და მიღწევა

(იუსტ. სახ. კომ. უჯრედი)

იუსტ. სახალხო კომისარიატის პარტუჯრედს ჰქონდა დაარსებული მეორე საფეხურის პ-გან. წრე. სულ წრეში მეცადინეობდა 23 კაცი, ამათგან პარტიული—12, კომკავშირელი—7, უპარტიო—4.

წრე დამთავრა 16 კაცმა, ოთხი კაცი კი დარჩა იმავე საფეხურში.

გამოშვების დროს გამოირკვა, რომ მთავარი ნაკლი წრის მუშაობაში იყო ეგრედწოდებული „მკვდარი სულების" არსებობა. ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგები არ ყოფილან კარგად დაკავშირებულნი აგიტ. კაბინეტებთან ლიტერატურის შეძენის მხრივ. მსმენელების საერთო აქტივობა დამაკმაყოფილებელი იყო, ვღებულობდით მონაწილეობას რეფერატების დამუშავებაში.

ბელიდი.

სკოლის გამოშვება

(იუსტ. სახ. კომის. ა. ლ. კ. კ. უჯრედი)

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ა. ლ. კ. კ. უჯრედთან დაარსებული იყო მე-2-რე საფეხურის პოლიტსკოლა, რომლის მეცადინეობა შეუფერხებლად მიმდინარეობდა.

პირველ ხანებში ადგილი ჰქონდა მსმენელების მასიურ დაკლებას, მაგრამ უჯრედის მიერ მიღებული ზომებით ეს ნაკლი მალე გამოსწორდა.

26 აპრილს მოხდა სკოლის გამოშვება. 12 მსმენელში სკოლა დამთავრა 8 მსმენელმა. სამი არ გამოცხადებულა გამოცდაზე, ერთი კი დატოვებულ იქნა სრული უცოდინარობის გამო.

არ. დემეტრაძე.

ქალაქის რაიონის აქტივზე

გუშინ, 3 მაისს შესდგა მეოთხე რაიონის აქტივის კრება.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკ. კ-ის პლენუმის შედეგებზე ვრცელი მოხსენებით გამოდის ამხ. რუბინი. იგი დაწვრილებით აშუქებს პლენუმის გადაწყვეტილებებს პურის დამზადებისა და შახტის კონტრ-რევოლიუციის საკითხების შესახებ.

მოხსენების გარშემო იმართება გაცხოველებული კამათი.

— ხშირად გამოაქვთ რეზოლიუციები და მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობენ. დროა ბოლო მოეღოთ რეზოლიუციების ასეთი ფორმით წერას. საჭიროა საქმიანი წინადადებები და არა შაბლონად გადაქცეული დადგენილებების მიღება—აღნიშნავს ამხ. ბატუხინი.

— რომელიმე მუშაკი მოხსნილია თანამდებობიდან რაიმე ბოროტმოქმედების გამო. გავა სულ მცირე დრო და უფრო საპასუხისმგებლო ადგილზე გამოიჭიმება. უნდა ვებრძოლოთ ასეთ დაუდევრობას. (რუდენკო).

— პური ბევრი გვაქვს, მის დამზადების საქმეში კი ამდენ შეცდომებს უშვებთ. საჭიროა ამ დეფექტების აღმოფხვრა—ამბობს შემდეგი ორატორი.

— მაღლა მდგომმა ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშათა კრიტიკას.

— დაწინაურების საქმეში მრავალი შეცდომები გვაქვს, ჯერ დაწინაურებენ მუშებს და მერე ე. წ. რაციონალიზაციის გატარებით შტატების შემცირებაში აყოლებენ.

— არის შემთხვევა, რომ თანამდებობის პირი დაითხოვეს, როგორც გამფლანგველი, მაგრამ მიიღეს, როგორც „სპეცი"—აღნიშნავენ კამათში გამოსული ორატორები.

საბოლოო სიტყვის შემდეგ კრება ღებულობს რეზოლიუციას.

ბიუროების გადარჩევა დაიწყო

ს.მ.უ.ს. უჯრედში

„ჩვენმა უჯრედებმა მცირე რიცხოვნობის გამო ვერ შესძლო საუჯრედო კომისიების შექმნა—ამბობს კომუჯრედის მდივანი ამხ. ქართველიშვილი.—ადგილკომთან გვაქვს კავშირი კომფრაქციის საშუალებით.

ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირება ჩვენს დაწესებულებაში გატარებულ იქნა 10 პროცენტით, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ხარჯები ისევ გაიზარდა. ამ გარემოებას ადმინისტრაცია ხსნის მუშაობის გაფართოებით და მაღალი კვალიფიკაციის მუშაკების საჭიროებით.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ვერ ვაწარმოეთ სათანადო ბრძოლა, ამ დარგში დავკმაყოფილდით მარტო საკანცელარიო მუშაობის რაციონალიზაციით.

ს.მ.უ. საბჭოში ადგილი აქვს „ნათლი მამობას", ხშირია თანამშრომლების მიღება „გავლენიან პირთა" ბარათების საფუძველზე. ზოგიერთი ჩვენი ადმინისტრატორები ხშირად ვერ ამოკლებენ ასეთი წესით მიღებულ პირებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად დაწესებულების ზედმეტ ბარგად არიან გადაქცეული".

ბიუროს ანგარიშის გარშემო იმართება კამათი.

— უჯრედის ბიურომ ვერ შეასრულა დირექტივა ადმ. სამ. ხარჯების შემცირების შესახებ. შემცირების ნაცვლად ხარჯები უფრო გაიზარდა. დაუშვებელია ასეთი მოქმედების ახსნა და თავის მართლება იმით, რომ ს.მ.უ. საბჭოს აქვს სპეციალური თანხები. მაშინ, როდესაც ჩვენთვის თვითეულ კაპეიკს დიდი მნიშვნელობა აქვს, საკითხის ასეთი დაყენება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს—აღნიშნავს პირველი ორატორი.

— რას ნიშნავს ასეთი დაუდევრობა, რომ „დიდმა კაცებმა" ბარათი გამოგზავნეს და დაწესებულებაში მიიღებიან სრულფლებით ზედმეტი პირები. განა ეს დასაშვებია? სად იყო და რას აკეთებდა ბიურო, რატომ არ ღებულობდა იგი პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ აშკარა პროტექციონიზმის წინააღმდეგ? (ორჯონიკიძე).

დამნაშავეა თვით დაწესებულების სათავეში მჯდომი პირები, რომელიც „დიდი კაცების" მოწერილი ბარათებით აწყობენ ადგილებზე. ეს დაუშვებელია; ბიურო უნდა ახლო კავშირში იყოს კომუნისტ ადმინისტრატორებთან და პასუხს სთხოვდეს მათ უმიზნო მოქმედებისათვის (საკიძე).

კამათის დასრულების შემდეგ უჯრედი ირჩევს ბიუროს ახალ შემადგენლობას.

პარტიული ორგანოები საღამოობით მუშაობენ

ა. წ. 1 მაისიდან პარტიის და კომკავშირის ორგანოები (თბილისის კომიტეტები და რაიკომები) კვირაში ორი დღეს — ორშაბათობით და ხუთშაბათობით მუშაობენ დილის 10 საათიდან, საღამოს 4 ნახ. საათამდე.

საქ. მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური გამგეობა
და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიურო
იუწყება, რომ ბეჭდვითი სიტყვის დღის გამო
საქართვ. მბეჭდავთა კავშირის ახალ მუშათა კლუბში
6 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგება
ამხ. ფილიპე მახარაძის
მოხსენება
ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ
მოხსენებაზე მოწვეულია დასახელებულ კავშირის აქტივი, ბეჭდვითი სიტყვის ყველა მუშაკნი, მუშკორები, სოფკორები და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები.
ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის
3—1 ბიუროს მდივანი ბიულუმიანი

თანამედროვე ავღანისტანი

ავღანისტანის ფადიშახის — ამმანულა ხანის ევროპაში მოგზაურობასა და მის მოსკოვში ჩასვლასთან დაკავშირებით ინტერეს მოკლებული არ იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავაცნოთ საბჭოთა კავშირის ეს მეზობელი სახელმწიფო, რომლის დამოუკიდებლობის მოპოვებაში უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ.

გეოგრაფიულ - ისტორიული მიმოხილვა

ავღანისტანი მდებარეობს აზიაში. დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მას საზღვრავს სპარსეთი, აღმოსავლეთიდან და სამხრეთ - აღმოსავლეთიდან—ინგლისის კოლონიები: ინდოეთი და ბელუჯისტანი, ჩრდილოეთიდან კი—საბჭოთა კავშირი. ავღანისტანი მთა-გორიანი ქვეყანაა, მისი ტერიტორიის ოთხმეხუთედი უჭირავს მთებს.

უძველეს დროში ავღანისტანი შეადგენდა სპარსეთის იმპერიის ნაწილს, შემდეგში—ინდოეთისას. მისი დამოუკიდებელი არსებობა იწყება მე-18-ე საუკუნის პირველი ნახევრის დამლევიდან, როცა ახლანდელ ავღანისტანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დურანის ტომმა შექმნა ძლიერი სამეფო.

ავღანისტანი დიდი ხანია, რაც იმპერიალისტების ყურადღების საგანს შეადგენს. პირველად ავღანისტანით დაინტერესდა ინგლისი, როცა უკანასკნელი ინდოეთის ტერიტორიის თანდათანობით დაპყრობის დროს მდ. ინდის სათავეებისაკენ გამოვიდა (მდ. ინდის სათავე სამხრეთ ტიბეტშია). აქ ის წააწყდა დურანების ძლიერ სახელმწიფოს, რომელშიც დაინახა საფრთხე თავისი ბატონობისათვის ინდოეთში, რადგან ავღანისტანი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენს „ინდოეთის გასაღებს". და რომ ინგლისი თავის ამ მოსაზრებაში არ იყო შემცდარი, ამას ამტკიცებს თუგინდ ის ფაქტი, რომ ნაპოლეონ პირველი სწორედ სპარსეთ-ავღანისტანიდან უპირებდა ინგლისს სასიკვდილო ლახვარის ჩაცემას—ინდოეთის წართმევას. ნაპოლეონს რუსეთის მეფე პავლე პირველთან შესაფერი მოლაპარაკება ჰქონდა გამართული ინდოეთზე ლაშქრობის შესახებ. რუსეთში მაშინ შესდგა 30.000-იანი არმია, რომელიც ავღანისტანიდან თავს უნდა დასხმოდა ინდოეთს, მაგრამ პავლეს სიკვდილმა ხელი შეუშალა ამ გეგმის განხორციელებას.

ავღანისტანის ძლიერი სახელმწიფოს შესასუსტებლად ინგლისი მის მეზობლად აწყობს სიკხების სამეფოს (სიკხები ინდოელთა ერთი ტომია), რომლის მეფე რანჯიტ-სინგი, ინგლისელების კარნახითა და დახმარებით იწყებს დაუსრულებელ ომებს ავღანისტანთან.

1823 წ. რანჯიტ-სინგი ამარცხებს ავღანელებს და იპყრობს მდ. ინდის მთელ დაბლობს და კაშმირს, რომლებიც წინად ავღანისტანის ნაწილს შეადგენდა. ავღანისტანის არმიამ უკან დაიხია ხეიბარის უღელტეხილით.

ახალი ტერიტორიების შემოერთებით გაძლიერებული სიკხების სახელმწიფოსა და ინგლისს შორის დაიწყო უთანხმოება. რანჯიტ-სინგი ცდილობდა განთავისუფლებულიყო ინგლისის უღლისაგან. ავღანისტანის ემირმა დოსტ-მოხამედმა იფიქრა, რომ დადგა დრო დაკარგულ ტერიტორიების დასაბრუნებლად და ინგლისს სთხოვა დახმარება რანჯიტ-სინგის წინააღმდეგ. მაგრამ ინგლისელებმა, რომელთა ინტერესს სრულიად არ შეადგენდა ავღანისტანის ხელ-ახლა გაძლიერება, მოსთხოვა ავღანისტანს ხელი აეღო დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ცდაზე. ამ დროს ეკუთვნის რუსეთ-ავღანისტანის დაახლოების პირველი ცდები. რუსეთის იმპერიალიზმი, რომელიც თანდათანობით აფართოებდა თავის ტერიტორიას აზიაში, უკვე უახლოვდებოდა ინდოეთის საზღვრებს და ეძებდა მოკავშირეებს თავისი მტაცებლური განზრახვების განსახორციელებლად. ამ მიზნით 1,837 წ. ქაბულში ჩადის რუსი კაპიტანი ვიტკევიჩი. ინგლისელებმა გადასწყვიტეს მიეღოთ სასწრაფო ზომები, რომ ხელი შეეშალათ რუსეთ-ავღანისტანის კავშირისათვის. დაიწყო მზადება ომისათვის. ინგლის-ინდოეთის მთავრობამ ულტიმატიურად მოსთხოვა დოსტ-მოხამედს გაეძევებია კაპიტანი ვიტკევიჩი. ამავე დროს, ინგლისმა დოსტ მოხამედის წინააღმდეგ პრეტენდენტად ავღანისტანის ტახტზე წამოაყენა იდესღაც ავღანისტანიდან გაძევებული შუჯა-ხანი. 1838 წ. დამდეგს დაიწყო ინგლის-ავღანისტანის პირველი ომი, რომელიც 1839 წ. დასრულდა ინგლისელების მიერ ქაბულის აღებით. დოსტ-მოხამედი გაიქცა ბუხარაში (შემდეგ დანებდა ინგლისელებს) და ავღანისტანის მეფედ გამოცხადებულ იქნა შუჯა-ხანი. 1841 წ. დამლევს ქაბულში იფეთქა აჯანყებამ ინგლისელებისა და შუჯა-ხანის წინააღმდეგ. ინგლისელები იძულებული შეიქნენ დაეტოვებიათ მთელი თავისი არტილერია და სამხედრო მოწყობილობა და უკან დაეხიათ. გზაში მათ თავს დაესხნენ ავღანელები და ინგლისის 16000-იან არმიიდან მხოლოდ ერთი ექიმი გადარჩა ცოცხალი. მაგრამ ძლიერ ძვირად დაუჯდა ავღანელებს ინგლისის უღლისაგან განთავისუფლება. 1842 წ. ავღანისტანში ორი მხრიდან (აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან) შეიჭრა ინგლისელების დამსჯელი ექსპედიცია. ქაბული კვლავ იქნა დაპყრობილი, იგი გაძარცვეს და დაანგრიეს, მაგრამ ინგლისელებს კარგად ახსოვდათ 1841 წ. გაკვეთილი და ამიტომ სახელმწიფოს ხანგრძლივ ოკუპაციაზე ხელი აიღეს.

1878 წ., რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როცა რუსეთის ჯარები სტამბოლს უახლოვდებოდნენ, რუსეთმა იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა ინგლისის გამოსვლისათვის თურქეთის მხარეზე, თურქესტანში მოახდინა სამხედრო დემონსტრაცია, რომლის მიზანი იყო ინდოეთზე თავდასხმის შიში გამოეწვია ინგლისში. ამავე დროს ქაბულში ჩავიდა რუსეთის სამხედრო მისია გენ. სტოლეტოვის მეთაურობით. გენ. სტოლეტოვმა ავღანისტანის მაშინდელ ემირს შირ-ალი-ხანს დიდი სამხედრო დახმარება აღუთქვა და ურჩია არ მიეღო ინგლისის ელჩი. რუსეთის დახმარებით დაიმედებულმა შირ-ალი-ხანმა უარი სთქვა ინგლისის ელჩის მიღებაზე. ამას მოჰყვა ინგლის-ავღანისტანის მეორე ომი, რომლის დროს ავღანელები, რომლებიც ასე მუხანათურად მოატყუა მეფის რუსეთმა, სასტიკად დამარცხდნენ. შირ-ალი-ხანი იძულებული შეიქნა ქაბულიდან გაქცეულიყო. მისმა მემკვიდრემ—იაკუბ-ხანმა დასდო ზავი ინგლისელებთან: უარი სთქვა საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოებაზე და ავღანისტანიდან ინდოეთში მიმავალ ყველა გზების კონტროლი ინგლისს გადასცა. ავღანისტანმა ამის სამაგიეროდ მიიღო „სუბსიდია" 60.000 გირ. სტერ. რაოდენობით წლიურად.



1879 წ. კვლავ იფეთქა აჯანყებამ ქაბულში. ინგლისის მისია ამოჟლიტეს აჯანყებულებმა. იაკუბ-ხანი დამხვეს და იგი იძულებული შეიქნა ინდოეთში გაქცეულიყო. ინგლისის ჯარებმა ვერ მოახერხეს აჯანყებულთა დამარცხება და ამის გამო შეუთანხმდნენ პრეტენდენტს ავღანისტანის ტახტზე—აბდურ-ახმან-ხანს, რომელიც გამოცხადებულ იქნა ავღანისტანის მეფედ. ამ დროიდან ავღანისტანი გადაიქცა ინგლისის ნამდვილ კოლონიად. აბდურახმანი და შემდეგ მისი შვილი ხაბიბულა-ხანი მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ატარებდენ ინგლისთან თანამშრომლობის პოლიტიკას და მიუხედავად მთელ რიგ ხელსაყრელ მომენტებისა აზრადაც არ მოსდიოდათ ინგლისის უღლიდან განთავისუფლება.

ოქტომბრის რევოლიუციამ და მის მიერ წამოსროლილმა ლოზუნგმა ერთა თვითგამორკვევის და თანასწორუფლებიანობის შესახებ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მთელს დამონებულ ავღანისტანში და გააძლიერა დამპყრობლების უღლიდან განთავისუფლების იმედები. განსაკუთრებით ფართე გამოძახილი ჰპოვა ოქტომბრის [illegible] საბჭ. კავშირის მეზობელ ავღანისტანში. 1919 წ. იქ იფეთქა აჯანყებამ. ინგლისის მომხრე ხაბიბულა-ხანი მოკლულ იქნა და მეფედ გამოაცხადეს მისი მესამე შვილი ამმანულა-ხანი. ახალგაზრდა ემირის პირველი ნაბიჯი იყო ავღანისტანის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს დამოუკიდებლობა მაშინვე იცნო საბჭოთა რუსეთმა. ინგლისმა კი, რომელიც ვერ შერიგებოდა თავისი ბატონობის დაკარგვას ავღანისტანში, შეაგროვა სამას-ათასიანი არმია და მიადგა ავღანისტანის საზღვრებს. მაგრამ ავღანელებმა, რომლებსაც ზურგში უკვე აღარ ჰყავდათ იმპერიალისტური რუსეთი, არამედ მეგობრულად განწყობილი საბჭოთა რესპუბლიკა, მიუხედავად თავისი მცირე-რიცხოვანობისა, დაამარცხეს ინგლისელები და ინგლისი, ოქტომბრის რევოლიუციის ზეგავლენით აღმოსავლეთში დაწყებულ ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის შიშით, იძულებული შეიქნა ეცნო ავღანისტანის დამოუკიდებლობა.

ამის შემდეგ ავღანისტანი სწრაფად ადგება პროგრესისა და ეკონომიური წინსვლის გზას.

ტერიტორია. — მოსახლეობა.— კლასები. — ეკონომიკა

ავღანისტანს უჭირავს 558,000 კვ. კილომეტრი, მოსახლეობა უდრის 7—8 მილიონს (ზუსტი სტატისტიკა არ მოიპოვება, რადგან ავღანისტანში თითქმის სამი საუკუნეა აღწერა არ ჩატარებულა). ორ მილიონამდე ავღანელი ცხოვრობს ინდოეთში, იმ ოლქებში, რომლებიც ინგლისმა წაართვა ავღანისტანს 1839—40 და 1879—80 წ. წ. ომის დროს. მთავარი ქალაქებია: ქაბული (სატახტო ქალაქი), გაზნი, ჰერატი, კანდაგარი, მაზარ-ი-შერიფი.

ყველაზე გავლენიანი კლასი ავღანისტანში არიან ე. წ. „სარდარები", ავღანისტანის ცალკე ტომების მთავართა შთამომავლები, რომელთა ხელში თავმოყრილია დიდძალი მიწები. „სარდარები" ამ მიწების დამუშავების დროს სარგებლობდნენ მონების შრომით, სანამ კონსტიტუციით, მონობა გაუქმებული არ იქნა. სარდარები ამჟამად წარმოადგენენ არა მარტო მემამულეთა კლასს, არამედ სავაჭრო კაპიტალსაც რამდენადაც ისინი თანდათანობით მამულებიდან მიღებულ შემოსავალს აბანდებენ სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში.

„სარდარებს" შემდეგ მიდის ეროვნულ უმცირესობათა ხანები და ბეგები, რომლებიც რაიმე პოლიტიკური გავლენით სახელმწიფოში არ სარგებლობენ, მათ იშვიათად ნიშნავენ სახელმწიფო პოსტებზე და ამიტომ, როგორც უკმაყოფილო ელემენტები, მტრულად არიან განწყობილი იმ რეფორმებისადმი, რომლებიც ამჟამად ავღანისტანში ტარდება.

სამღვდელოება, მოკლებული მტკიცე ეკონომიურ ბაზას და შეუკავშირებელი, რაიმე მნიშვნელოვანი გავლენით არ სარგებლობს.

ქალაქის ბურჟუაზია მხოლოდ ახლა ვითარდება, თავის საქმიანობაში დამოკიდებულია „სარდარებისაგან", რომელთა ხელში დიდძალი ფულადი საშუალებებია დაგროვილი და ამიტომ ჯერ საკუთარი „კლასობრივი სახე" არ შეუქმნია.

გლეხობა ავღანისტანის ძირითად ოლქებში დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევა. განაპირა ოლქებში კი სჭარბობს უმიწაწყლო გლეხობა.

სამრეწველო პროლეტარიატი ძლიერ მცირე რიცხოვანია. უხდება მუშაობა საშინელ პირობებში (12 საათის სამუშაო დღე, თვიური შრომის ხელფასი 23—24 მანეთს არ აღემატება, შრომის დაცვა არ არსებობს).

საკმაოდ განვითარებულია ხელოსნობა, სადაც ჯერ კიდევ არის დარჩენილი ამქრული ტრადიციები. სახელოსნოებში სამუშაო დღე საშუალოდ 10 საათზე ნაკლები არ არის, ხელფასი—12—18 მანეთი მუშა-ხელოსნისათვის, 8—9 მანეთი შეგირდებისათვის თვიურად.

ეკონომიურად ავღანისტანი ძლიერ ჩამორჩენილია. მრეწველობის მხოლოდ ჩანასახი არსებობს იქ და ისიც მხოლოდ უმთავრესად თავდაცვისათვის ამოცანებს ემსახურება. ეს არის სამხედრო ქარხანა ქაბულში. დამმუშავებელი მრეწველობა სუსტად არის განვითარებული და კუსტარულ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ავღანისტანი მთა-გორიანი ქვეყანაა, ხვნა-თესვას თითქმის ყველგან მისდევენ, მოსავალი ძლიერ კარგი იცის, მაგრამ მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებს და ავღანისტანი იძულებულია სხვა ქვეყნებიდან შემოზიდოს ხორბლეული. ავღანისტანის ეკონომიური კავშირი სხვა ქვეყნებთან სუსტია: მთელი იმპორტ-ექსპორტი უმთავრესად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან, სპარსეთთან და ინდოეთთან.

უკანასკნელ წლებში ავღანისტანის მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს ვაჭრობა-მრეწველობის გასაფართოებლად. ავღანელებისათვის, რომლებიც ფაბრიკა-ქარხნებს გახსნიან, დაწესებულია მთელი რიგი შეღავათები: ისინი 10 წლის ვადით თავისუფლდებიან ყოველგვარ გადასახადებისაგან და 10 წლის განმავლობაში შეუძლიათ უბაჟოთ შემოიტანონ მათი ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობა, გარდა ამისა, მთავრობა მათ აძლევს სუბსიდიას.

სატელეგრაფო-სატელეფონო კავშირი სუსტად არის განვითარებული, ქაბულში მუშაობს ერთი მძლავრი რადიო-სადგური, რომელიც საბჭოთა კავშირმა აუშენა ავღანისტანს.

მიმოსვლის გზებიც სუსტად არის განვითარებული. რკინისგზები არ მოიპოვება, თუ არ ჩავთვლით ვიწრო-ლიანდაგიან რკინისგზებს, რომელიც გაყვანილ იქნა ქაბულ-დურულამანს შორის 1923 წ. შემდეგ.

ამმანულა - ხანი და მისი რეფორმები

ამმანულა-ხანი დაიბადა 1892 წ. თავის აღმზრდელი—ინდოელ ემიგრანტ მოულევი-ნეჯერ ალისაგან მან შეითვისა ის ნაციონალურ-რევოლიუციონური და კონსტიტუციონური იდეები, რომლებიც მაშინ იყო გავრცელებული აღმოსავლეთში.

ოქტომბრის გადატრიალებამ მძლავრი იმპულსი მისცა ნაციონალური მოძრაობის განვითარებას ავღანისტანში, და მას სათავეში ჩაუდგა ამმანულა-ხანი. ამ მოძრაობის შედეგი იყო 1919 წ. თებერვალში ქაბულში მომხდარი გადატრიალება და ამმანულა-ხანის გამეფება. ინგლისთან მესამე ომის შედეგათ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამმანულა-ხანი შეუდგა ფართე რეფორმების გატარებას. არ დარჩენილა ცხოვრების არც ერთი დარგი, რომელსაც ეს რეფორმები არ შეხებოდეს. ყველა ეს რეფორმები მიზნად ისახავდენ თანამედროვე ავღანისტანის გადაქცევას მოწინავე—პროგრესიულ და ეკონომიურად მძლავრ სახელმწიფოდ. გატარებულია სამოსამართლო რეფორმა (შემოღებულია მართლმსაჯულების თანამედროვე სისტემა), დაწესებულია სავალდებულო სწავლება, განზრახულია უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, მიღებულია ზომები ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად, საძირკველი ჩაეყარა საგამომცემლო და სათეატრო საქმეს, რომელიც წინად არ არსებობდა. საძირკველი ჩაეყარა (1923 წ.) ახალ სატახტო ქალაქს—დარულამანს. განზრახულია მთელ რიგ სარკინიგზო ხაზების გაყვანა და სხვ. 1923 წ. გამოქვეყნდა ავღანისტანის კონსტიტუცია, რომელიც აწესებს სხვადასხვა ტომების და სარწმუნოებათა თანასწორუფლებიანობას, მოქალაქეობრივ უფლებებს ანიჭებს მოსახლეობას და სხვ. ამავე კონსტიტუციით გაუქმებულია მონობა და იძულებითი სამუშაოები.

ყველა ამ რეფორმების განხორციელება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ავღანისტანი განთავისუფლდა ინგლისის მონობიდან. ეს კი მოახერხა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ავღანისტანს აღარ ჰყავდა ზურგში რუსი ჟანდარმი. ამ გარემოებას არ ივიწყებენ ავღანისტანის მოწინავე ელემენტები და ამმანულა-ხანიც.

ინგლისის იმპერიალიზმი, რომელსაც ვერ მოუნელებია მუშათა თავისუფალი რესპუბლიკის არსებობა და აწყობს ანტი-საბჭოთა ბლოკის შექმნის გეგმებს, ამავე დროს მოუთმენლად უცდის, რომ აღადგინოს ავღანისტანში დაკარგული ბატონობა. ამ მიზნით იგი [illegible] აწყობს უკმაყოფილო მთავრების აჯანყებებს ავღანისტანის მთავრობის წინააღმდეგ.

ინგლისის იმპერიალიზმის მუქარის წინაშე საბჭოთა კავშირისა და ავღანისტანის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება და გაღრმავდება.

X.

ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

მიზანშეწონილად უნდა გამოვიყენოთ

გაზაფხულისა და ზაფხულის თვეები სოფლისთვის დროს წარმოადგენს სოფლად კულტურული მუშაობის გაძლიერებისათვის. ზაფხულის თვეებში სოფელს ემატება კულტურული და მომზადებული ძალები, რომელნიც სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოდიან სოფლებში შვებულებების გამო. მასწავლებლობაც ამ ხნის განმავლობაში განთავისუფლებულია სასკოლო მუშაობიდან და მას შეუძლია თავისუფალი დრო მთლიანად სოფლად კულტმუშაობის გაძლიერებას, სხვადასხვა წრეების შექმნას, სალამო-წარმოდგენებისა და სალიტერატურო გასამართლებების მოწყობას, კედლის გაზეთის სისტემატიურად გამოცემას, სამკითხველოებში გაზეთების ხმამაღლა კითხვას და სხვა.

სოფლად კულტმუშაობის გაცხოველებას ხელი უნდა შეუწყოს და უხელმძღვანელოს, როგორც საბჭოებთან არსებულ კულტსექციებმა, ისე პოლიტგანათლების ორგანოებმა.

კულტურული მუშაობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს აგრეთვე კინო. სოფლად კინო-სეანსების დადგმის საქმეს ჯერ კიდევ შემთხვევითი ხასიათი აქვს. ზოგიერთ სამაზრო პოლიტგანთან არსებობს მოძრავი კინოები, რომლებიც დროგამოშვებით სხვადასხვა სოფლებში უჩვენებენ კინო-სურათებს, მაგრამ ეს დამაკმაყოფილებელ მოვლენად ვერ ჩაითვლება. საჭიროა კინომ დაიჭიროს სოფლად კუთვნილი ადგილი და მას გაეცნონ გლეხობის ფართო ფენები. არის ისეთი თემები, რომლის მცხოვრებთ წარმოდგენაც კი არა აქვთ კინოზე. ასეთი მდგომარეობა უნდა აღმოიფხვრას, მაგრამ რა გზით შეიძლება ამის მიღწევა?

დღევანდელ პირობებში შეუძლებელია სამაზრო პოლიტგანებს დავაკისროთ, რომ მათ ყველა თემებში სისტემატიურად დახვდეს კინო-სურათები. ამისთვის მათ საკმაო თანხები არ გააჩნიათ. ამ საქმეში საჭიროა ადგილობრივ ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოჩენა. თემის პოლიტგანმანათლებლმა მუშაკებმა, რომელთაც შესაფერი პირობები მოეპოვებათ კინო-თეატრების მოსაწყობად, უნდა იცადონ კინო-აპარატის შეძენა, და აგრეთვე თემში მომუშავე რომელიმე კულტმუშაკს შეასწავლონ მისი მოხმარება, რაც შეეხება სურათების მიწოდების საქმეს, ამისი ხელმძღვანელობა უსათუოდ უნდა დაეკისროს სამაზრო პოლიტგანებს.

კინო-სურათებით დღეს იმდენად დაინტერესებულია მშრომელი მასები, რომ რამდენადაც მცირე ფასები არ უნდა დავაწესოთ კინო-სურათის ნახვისათვის, ის მაინც დაფარავს გაწეულ ხარჯებს და ამასთან ერთად ხელს შეუწყობს მასების კულტურული დონის ამაღლებასაც. მხოლოდ საჭიროა ყურადღება მიექცეს ერთ გარემოებას, სოფლად უმთავრესად უნდა ვაჩვენოთ ისეთი სურათები, რომელიც იდეოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით იქნება მისაღები. სასურველია აგრეთვე ჩვენი სამრეწველო და სამეურნეო მიღწევების კინო-ლენტზე გადაღება და მისი გაცნობა მშრომელი ხალხისათვის.

სოფლელი.

რატომ არავინ იძლევა პასუხს
(წერილი ზუგდიდიდან)

1925 წელში მუხურის თემის მცხოვრებმა ილარიონ კუხალეიშვილმა გაყიდა სამ დესეტინაზე მეტი მიწა ვითომდა სამოსახლოდ, რომელიც შეიძინა წალენჯიხის თემის მცხოვრებმა ილია მოსიძემ. მიწის ყიდვა დადასტურებული იქნა ზუგდიდის უეზდის სახალხო სასამართლოს მიერ სანოტარო წესით. იყო მეორე შემთხვევა. ქ. ზუგდიდში 1926 წელს ლეო შენგელაიამ 5 ქცევამდე მიწა თავისი ნაკვეთით 3.500 მანეთად მიყიდა ჭილის თემის მცხოვრებს ლადო და მის ძმა არქანიებს. არც ამ ფაქტისთვის მიუქცევია არავის ყურადღება. ეს გარემოება გლეხობაში უკმაყოფილებას იწვევს და მოითხოვენ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას.

დროა ერთხელ და სამუდამოთ აღიკვეთოს სხვადასხვა მახინაციებით მიწების ყიდვა-გაყიდვა და დამნაშავეთ სასტიკი პასუხი მოეთხოვოს.

ლაზგარი.

პირველი დახმარების კურსები დ. ხარაგოულში

შორაპნის წითელი ჯვრის სამაზრო კომიტეტის მიერ დ. ხარაგოულში მოეწყო პირველ დახმარების კურსები. კურსების დაარსების მიზანი იყო შეეტანა მოსახლეობაში პირველ დახმარების ცოდნა უბედურ შემთხვევის დროს, როგორც ყოველდღიურ ოჯახურ ცხოვრებაში, აგრეთვე ომის დროისაც. თუ გავითვალისწინებთ მომავალ ქიმიური ომის საშინელებას, რომელსაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვება არამც თუ მოწინავე პოზიციებზე, არამედ ზურგშიც. — მშვიდობიან მცხოვრებლებში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რათ უჭირავს ცენტრალური ადგილი სამედიცინო-სასანიტარო დარგის მუშაობას საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საერთო საქმიანობაში.

წითელი ჯვრის მუშაობა ამ დარგში ორი მიმართულებით სწარმოებს: მოსამზადებელი მუშაობა მომავალი ომიანობისათვის და სოციალურ სენებთან ბრძოლა მოსახლეობის გაჯანსაღების მიზნით. საზოგადოების მუშაობა ძლიერ ტემპით და სათანადო მიღწევებით მიმდინარეობს, ამის მაჩვენებელია დ. ხარაგოულის სასანიტარო წრე, რომელშიაც საქმისადმი გატაცებით თავი მოიყარა ადგილობრივ მცხოვრებთაგან 38-მა ქალ-ვაჟმა, რომელთაგან 25-მა ქალმა დაამთავრა კურსები.

ყოველივე ეს, რაც საქ. წით. ჯვრის საზოგადოებამ მიზნად დაისახა ფართო მასის გასამხედროებისთვის, სავსებით იყო მოცემული კურსების პროგრამაში, რომელიც, როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულადაც მეცადინეობის დროს წარმატებით იქნა განვლილი ხარაგოულის საავადმყოფოს გამგის ექ. გ. ამაშუკელის ერთგული და დაუღალავი ხელმძღვანელობით.

ა ძ

მოუარეთ სამკითხველოს წიგნებს

მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებებისა სამკითხველოს მუშაობა სოფლად ბევრგან წინ მიდის და უმჯობესდება. მართალია სამკითხველოს ბიუჯეტის საკითხი დღემდე მოუგვარებელია და სიმძლავრით გამოწვეულ ხარჯებთან შეუფარდებელი, მაგრამ ამ მცირე ბიუჯეტითაც სამკითხველოს საშუალება ეძლევა ყოველ წელიწადს რამოდენიმე ათეული წიგნი მაინც შეიძინოს, დღეს ბევრია ისეთი სამკითხველოები, რომელთა წიგნის რაოდენობა რამოდენიმე ასეულს და ათასეულს უდრის, მაგრამ სამწუხაროა ის გარემოება, რომ თითქმის ყველა წიგნები უყდოთ არის, უყდო წიგნები — კი მალე ცვდება და ფუჭდება ხმარებაში.

უნდა ითქვას რომ ამ საკითხს, ე. ი. წიგნების ყდის გაკეთებას ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და. შეიძლება ითქვას სრულიადაც არა. ეს მტკიცდება იქიდან, რომ ბიუჯეტით ასეთი საჭიროებისათვის არავითარი ხარჯები არ არის გათვალისწინებული. შესაძლებელია ზოგიერთებს წიგნების ყდის საკითხი მეხამე ხარისხოვნად მიაჩნიათ, მაგრამ ეს სწორი არ არის.

თუ აღნიშნული საკითხი დროზე არ იქნა მოგვარებული. მცირე ხნის შემდეგ რამოდენიმე ასეული და შეიძლება ათასეული წიგნის ხმარება შეუძლებელი გახდება და ამნაირად ფუჭად ჩაივლის ის შრომა და ხარჯები, რომელიც ამ წიგნების შეძენით იქნა გამოწვეული.

უფრო სწორი იქნება, რომ ის თანხები რომელიც გადადებულია წიგნების შესაძენად ნაწილი მაინც მოხმარდეს ყდის გაკეთებას, თუ სხვა საშუალება არ არსებობს საამისოდ.

ალ. ბედიაშვილი.

გლეხკორთა წერილებიდან

უდიერი გამგე
მუხრანის თემი, ქუთაისის მაზრა

ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას განაგებს ისტატე ბერაია, რომელიც უდიერად ეპყრობა და ცემა-ტყეპით უმასპინძლდება როგორც თავისი ოჯახის მოსამსახურე პატარა გოგოს, ისე ფოსტის კანტორაში საქმეზე მისულ გლეხებსაც. ამის ერთი მაგალითი სხვათა შორის იყო ამ აპრილს, როდესაც ბერაია ღვინით გალეშილი ბრძანდებოდა. მოსთხოვეთ პასუხი მოქ. ბერაიას.

ა. ჯ—ი.

როდის მოგვარდება?
სოფ. ზოსლევი, შორაპნის მაზრა

ჩვენი საექიმო პუნქტის გამგე ექიმი ქალი როდია მარკოვა ვერ უწევს საჭირო დახმარებას გლეხობას. როდესაც მისი აქედან გადაყვანა მოვითხოვეთ, მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მოადგილემ საექიმო პუნქტის დახურვით დაგვემუქრა და მარკოვა ყველა ექიმებზე უკეთესად ჩასთვალა. ჩვენ თვის უმჯობესია ეს ექიმი როგორც „საუკეთესო“ სამაზრო ცენტრში გაიყვანონ და ჩვენს თემში სხვა გამოგვიგზავნონ.

რე.

რელიგიის ნაცვლად—განათლება
ს. ზეგანი, სიღნაღის მაზრა

ჩვენი სოფლის საერთო კრებამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება საეკლესიო დღესასწაულების უარყოფის შესახებ და აქედან გადარჩენილი თანხებით გადასწყვიტა სოფელ ზეგანში აგოს 4წლიანი შრომის სკოლის შენობა.

ნ. გ—ლი.

ყოფილი მიკიტანი—მოსამართლეთ
. ვანის თემი, ქუთაისის მაზრა

ყოფილი მიკიტანი ნოე სანიკიძე ვანის თემში ითვლება მოსამართლეთ. მას კანონმდებლობის არაფერი გაეგება და მოქმედებს თავისი სურვილის თანახმად. ნაცნობ-მეგობრებს ანთავისუფლებს სასჯელისაგან, ხოლო უცნობს სხვაგვარად ეპყრობა. ასეთი მოსამართლე ჩირქს სცხებს საბჭოთა ხელისუფლებას და საჭიროა სანიკიძე მალე განთავისუფლება მოსამართლის თანამდებობიდან.

ლანგირი.

მუშათა ცხოვრება

სწორი ხელმძღვანელობა გაუწიოთ

შრომის ინტენსივობის ზრდაში, სამუშაო პირობების გაუმჯობესებაში და საერთოდ წარმოების აღორძინებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის დაცვის კომისიების წესიერ და ნაყოფიერ მუშაობას. მუშების ჯანმრთელობის დაცვა უმთავრესად შრ. დაცვის კომისიებზეა დამოკიდებული. თუ აღნიშნული კომისია მიზანშეწონილად მუშაობს და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, მუშები უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვით და მათი მდგომარეობაც სათანადო სიმაღლეზე იქნება დაყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უნდა ბევრი ეცადოს ადგილობრივმა პროფორგანომ თუ სხვამ, მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი ჯანმრთელობის დაცვა შეუძლებელი იქნება, რადგან ერთად ერთი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს მუშაობას და ყოველგვარ ზომებს ღებულობს ამა თუ იმ მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაცილებლად და მუშებში შრომის ინტენსივობის ასაწევად, ეს არის შრომის დაცვის კომისია.

ამით ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ თითქოს ადმინისტრაციას, ან პროფორგანოს. არ ჰქონდეს უფლება თვალყური ადევნოს მუშაობის შესრულებას, ან და შრომის დაცვის კომისიის გარდა არავინ არ არის მოვალე დაიცვას შრომის კანონი. პირიქით, ადმინისტრაციაც და ადგილობრივი პროფესიონალური ორგანოც დაინტერესებული არიან სამუშაო პირობების გაუმჯობესებაში, მაგრამ შრომის დაცვის კომისია მთავარი ძარღვია ადმინისტრაციისა და პროფორგანოსი, რომლის საშუალებით და მითითებებითაც უნდა გვარდებოდეს შრომის დაცვის ესა თუ ის საკითხები და უმჯობესდებოდეს სამუშაო პირობები. ფაბკარხადგილკომები, სწორ და მიზანშეწონილ ხელმძღვანელობას უნდა უწევდნენ შრომის დაცვის კომისიებს.

სამწუხაროდ ბევრ წარმოებაში ეს ასე არ არის. ზოგიერთ ადგილობრივი პროფორგანოს სუსტი ხელმძღვანელობის გამო, შრ. დაცვის კომისიების მუშაობას არავითარი ნაყოფი არ უჩანს. ზაფხულის პერიოდი უკვე დაიწყო. დახურულ და დახშულ შენობებში მუშაობა, უვენტილიაციოდ და ჰაერის გაუწმენდავად, შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთ წარმოების შრ. დაცვის კომისიებს ჯერ არც კი დაუთვალიერებიათ სამუშაოები, არ შეუსწავლიათ მუშაობის პირობები და არ მიუციათ წინადადება ადმინისტრაციისათვის ვენტილიაციების მოსაწყობად.

გარდა ამისა შრომის დაცვის კომისიები ხშირად არ უწევენ კონტროლს თავიანთ ნამუშევარს: შეადგენენ ოქმს ამა თუ იმ საკითხის შესახებ, გადასცემენ ადმინისტრაციას და მორჩა. შეასრულა ადმინისტრაციამ თუ არა მათი დადგენილება, ამას არ დაეძებენ. ასეთი მუშაობით რასაკვირველია, რომ შრომის დაცვის კომისია ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას.

ადგილობრივ პროფორგანოს სწორი ხელმძღვანელობა, შრომის დაცვის კომისიას აცილებს თავიდან ასეთ შეცდომებს და მის მუშაობას დააყენებს სათანადო სიმაღლეზე.

პროლეტარი.

ლენინის უბნის მუშებში

13 აპრილს, ამხ. ტანცულაძის თაოსნობით შესდგა ლენინის უბნის ყოფილი ნემეცების ადგილზე ახლად დასახლებული რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 700-მდე კაცი. ყველა მათგანს აღნიშნულ ადგილზე უკავიათ მიწები და გამართული აქვთ პატარა სახლები აღმასკომის ნებადაურთველად. ამ ნიადაგზე მრავალი საჩივარი იყო აღძრული აღმასკომში ნაკვეთი მიწების ძალით დაკავების და მიწების წართმევა-წამორთმევის შესახებ.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების გამგე ამხ. ვ. სახარულიძე, რომელიც ეხება ნაკვეთ მიწების ყიდვა-გაყიდვის და სამოსახლო მიწების ნებადაურთველად დაკავების დაუშვებლობას და აღნიშნავს, რომ მიწების თავისუფლად დაკავება და სახლების ასე აგება, ეწინააღმდეგება ქალაქის აღმასკომის გეგმას. ეს კი ხელს უშლის ქალაქის წესიერად და გეგმიანად გაფართოებას.

ამხ. სახარულიძის სიტყვით აღმასკომის დახმარებით ორორთახიანი სახლის შეძენა შეიძლება შეღავათიან ფასებში, მხოლოდ მტკიცედ უნდა იქნეს დაცული ქალაქის აღმასკომის გეგმა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული მიწების ყიდვა-გაყიდვა. მიწის მყიდველიც და გამყიდველიც სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

ამხ. ვ. სახარულიძის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ორატორები მხარს უჭერდნენ მომხსენებელს და მოითხოვდნენ მიწების მყიდველ-გამყიდველთა პასუხისგებაში მიცემას. დასასრულ კრებამ აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა მიწების დაცვამდე და მუშებზე განაწილება.

ასეთი საშუალებით მოისპობა მიწების ყიდვა-გაყიდვა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი აყალ-მაყალი. იმედია კომისია პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

მიმადური.

დაწინაურებული მუშა

დაწინაურებულ მუშათა არმიას ყოველდღე ახალი ძალები ემატება. მათი საშუალებით, ჩვენი დაწესებულების ხელმძღვანელი აპარატი თანდათან ჯანსაღდება და იწმინდება ბიუროკრატიზმისაგან. ერთი ასეთი დაწინაურებული მუშაკთაგანი არის ამხ. ლ. კუბლაშვილი, რომელიც ამჟამად მუშაობს სავეტერინარო ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში გამგის თანაშემწედ.

ამხ. კუბლაშვილი არის ღარიბი გლეხის შვილი, პირველად მან მუშაობა დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში შავ მუშად, ხოლო შემდეგ გადაყვანილ იქნა მანქანების მეთვალყურედ, 1919 წლიდან ამხ. ლადო მუშაობდა ჯერ მეისრის თანამდებობაზე სხვადასხვა სადგურებზე, ხოლო მას დაწინაურებამდე ასრულებდა მატარებლის რევიზორის მოვალეობას. ამავე დროს ამხ. ლადო აქტიურ მონაწილეობას იღებულობდა პარტიულ და პროფმუშაობაში.

ამხ. კუბლაშვილი

1927 წლის 30 ივნისს, ამხ. კუბლაშვილი დაწინაურდა პარტიამ და პროფკავშირმა გადასცა საქართველოს მიწსახკომის განკარგულებაში. უკანასკნელმა ამხ. ლადო დანიშნა სავეტერინარო ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის გამგის მოადგილის თანამდებობაზე, სადაც ის პირნათლად ასრულებს თავის თანამდებობას და ამართლებს პარტიისა და ხელისუფლების იმედებს.

უნდა ითქვას, რომ ამხ. ლადოს დანიშვნამდე, ლაბორატორიის დაბალ პერსონალს არ ჰქონდა სათანადო ყურადღება მიქცეული, არ იყო დაცული 8 საათის სამუშაო დღე, არ იყო მოწესრიგებული კვირა-უქმე დღეებში მორიგების საქმე და სხ. ამხ. კუბლაშვილმა თავიდანვე მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და მოაწესრიგა არსებული ნაკლი. მომვლელთა დარგშიც ბევრი რამ გააკეთა ამხ. ლადომ. დღეს არც ერთი კაპეიკი არ იხარჯება უნაყოფოდ და მიზანშეუწონლად. წინად კი ეს არ იყო.

საერთოდ ამხ. კუბლაშვილის ენერგიულ მუშაობის წყალობით ბევრი რამ შეიცვალა ლაბორატორიის ცხოვრებაში და დაბალი პერსონალის მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. ლაბორატორიის მუშები მხურვალედ ესალმებიან ამხ. ლადოს და უსურვებენ მას მომავალშიც უფრო მუყაით და ნაყოფიერ მუშაობას.

სიმართლე.

მუშკორთა წერილებიდან

მეცადინეობაში ხელს გვიშლის. სამტრედიის მუსიკალურ წრეში ითვლება ვინმე ალ. კვანტალიანი, რომელიც თავის უხეშო საქციელით და ლოთობით ხელს უშლის წრის დანარჩენ წევრებს მეცადინეობაში. წრის გამგეობამ უნდა გააძევოს ასეთი წევრი წრიდან.

დამსწრე.

როდის შეაკეთებენ (ქუთაისი). ქუთაისის ქუჩებს ვერ ეღირსა საფუძვლიანი შეკეთება. ქუჩები იმდენადაა დაზიანებული, რომ შეუძლებელია გავლა. განსაკუთრებით ჯაფარიძის ქუჩა მიუვალ სოფელს მიაგავს. რას ფიქრობს აღმასკომი, როდის შეაკეთებს ქუჩებს.

ქუთაისელი.

სუსტად მუშაობენ. მაკარინას ქარხნის შრომის შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის წევრები სუსტად მუშაობენ. ქარხანაში საკონფლიქტო საკითხები მოსაგვარებელია მაგრამ შ. ს. კომისიის სუსტი მუშაობის წყალობით საკითხები განუხილველი რჩება.

მზეთავ.

გაიყვანეთ კანალიზაცია. ყოფ. ფერმის ავლაბრის ქუჩაზე არ არის გაყვანილი კანალიზაცია და არც ქვაფენილი დაგებულია. ამიტომ პატარა წვიმის შემდეგ შეუძლებელი ხდება ამ ქუჩაზე გავლა. აღმასკომი, გაიყვანე კანალიზაცია.

ვ. ჯიბლაძე.

სამსახურში მაინც არის (შავი ზღვის რკ. გზა). შავი ზღვის რკ. გზის პირველ უბანში მსახურობს ყოფ. მემამულე, ვინმე ნეს. კობახიძე, რომელიც მოკლებულია საარჩევნო უფლებებს. საკვირველია, ვინ სტოვებს სამსახურში საარჩევნო უფლებებ ჩამორთმეულ კაცს!

თაქარი.

პროფკავშირების მონაწილეობა ხუთწლიან გეგმის შედგენაში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის შედგენაში.

ვინაიდან ხუთწლიანი გეგმის შედგენა მოითხოვს ფრთხილ მიდგომას, როგორც აუცილებელი ახალი ამოცანების შეგროვებაში, ისე თვით გეგმის შედგენის მეთოდებში, საქ. სახგეგმო კომისია ა.-კ. სახგეგმო კომისიის მიერ გადმოგზავნილი მასალები კი არ სწყვეტენ შესაძლებელ გეგმის ყველა მეთოდოლოგიურ საკითხებს, რისაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს რესპუბლიკათა გეგმების მასალების შეუთანხმებლობა, ამიტომ საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო სთხოვოს ა.-კ. პროფ. საბჭოს, რომ მან დასვას საკითხი სათანადო ორგანოებში ა.-კ. სახგეგმო კომისიაში ხუთწლიანი გეგმის მეთოდების დეცენტრალიზაციის და პროგრამის კონკრეტიზაციის მოსახდენად.

რესპუბლიკათა ხუთწლიანი გეგმების შეთანხმების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, განსაკუთრებულ თათბირის, მოწვევა ამიერკავკასიის მასშტაბით იმ ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელნიც ადგენენ ხუთწლიან შრომის გეგმას.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე დასმული იქნება საქ. სახგეგმო კომისიის წარმომადგენლის მოხსენება, საქ. სახ. მეურნეობის ხუთწლიან გეგმის შედგენის და ამ გეგმის შედგენაში საქ. პროფკავშირების (ს. პ. კ. ს. და კავ. ცენ. გ.) მონაწილეობის წესის შესახებ.

გემო-კვების მუშაკთა მეშვიდე ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

დამთავრდა გემო-კვების მუშაკთა კავშირის მეშვიდე ყრილობა. ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს შრომის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. შელიძის მოხსენება შრომის დაცვის დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ და ამხ. ხოხიაშვილის მოხსენება სოციალური დაზღვევის შესახებ.

ამის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუციები მოსმენილ მოხსენებების გარშემო.

ცენტრალური გამგეობის წევრებად აირჩიეს: ამხ. ჯორჯიკია, ბაქრაძე, ხოშტარია, აკუტსიძე, ჩ. ძამაშვილი, ავეტისოვი, აბაშიძე, გაბუნია, ცინცაძე, ნიჟარაძე, შანშიაშვილი, ილიჩ შვეიძე, განაულაძე, რობაქიძე, არონიანი, ხალიშოვა, ვერთაძე, საკარაძე და თამარ ხიდიდი; კანდიდატებათ—8 კაცი.

კავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ხუთარდილ გურული, მდივნად და სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგეთ—ვანო ნოვოჟილოვი და კულტგანყოფილების გამგეთ—ს. მამაცაშვილი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს ამხ. არუთინოვი, ხუტაშვილი, და კოჭხიძე; კანდიდატებად—3 კაცი.

ყრილობამ გემო-კვების მუშაკთა კავშირის საკავშირო მე-7 ყრილობაზე დელეგატებად აირჩია: ამხ. გაბუნია, პილიპივა, კოკურაიძე, გურული და რობაქიძე; კანდიდატად—ამხ. ცინცაძე.

ა. კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა მე-3 ყრილობა

გუშინ. პალატის მუშათა სასახლის მცირე დარბაზში გაიხსნა ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატივის („ზაკკოოპის“-ს) რწმუნებულთა მესამე ყრილობა.

ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევისა და დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობას ა.-კ. მთავრობის სახელით მიესალმა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ამბარცუმიანი და ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს სახელით—ამხ. დავითაძე.

მისალმებების შემდეგ მოსმენილ იქნა ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, ამხ. ა. ბუკრეევის მოხსენება „ზაკკოოპის“ 1926-27 წლის საქმიანობის შესახებ.

ამხ. ა. ბუკრეევის მოხსენება

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა უკანასკნელ სამეურნეო წელში, ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის საქმიანობა ხასიათდებოდა გეგმიან საფუძვლებზე გადასვლით.

შეეხო რა კავშირის ოპერატიულ საქმიანობას, მომხსენებელმა განაცხადა, რომ ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის საერთო ბრუნვა 1926-27 წელში გამოიხატა —57 მილიონ მანეთით. წმინდა მოგება უდრის—109.000 მანეთს. ზედნადები ხარჯები საერთო ბრუნვასთან შედარებით შეადგენს 0,9 პროცენტს.

კავშირის საკუთარი თანხები უდრის 600.000 მანეთს. ნასესხი თანხები გაცილებით მეტია. შეფარდება საკუთარ და ნასესხ თანხებს შორის გამოიხატება 1:8, 7, ე. ი. თვითეულ საკუთარ მანეთზე მოდის 8,7 მანეთი ნასესხი თანხა.

ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯები შემცირებულია 15,6 პროცენტით.

შემდეგ ამხ. ბუკრეევი შეეხო კავშირის საორგანიზაციო საქმიანობას და გადავიდა ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატიული ქსელის მდგომარეობის დახასიათებაზე.

აქ ყურადღებას იქცევს სამომხმარებლო ქსელის საერთო სამეურნეო და ფინანსიური ზრდა-განვითარება.

1927 წლის პირველ ოქტომბრისათვის ა.-კავკასიაში ითვლებოდა 2.604 სავაჭრო ერთეული. წევრთა რიცხვი ამ საზოგადოებებში უდრიდა 656.301-ს.

წევრთა მონაწილეობა კოოპერატიულ საქმიანობაში საპაიო გადასახადის შეტანის მხრივ იძლევა ასეთ სურათს: სამაზრო ქსელში საშუალო საპაიო გადასახადი (უკვე შეტანილი) უდრის 3 მან. 75 კაპ. და მუშათა კოოპერატივებში და სამხედრო და სატრანსპორტო საზოგადოებებში—6 მან. 50 კაპ. საერთო საპაიო თანხა მთელს ქსელში უდრის 2.727.873 მანეთს.—(წინა წელთან შედარებით იგი გადიდებულია 145,8 პროცენტით).

ქსელის სავაჭრო ბრუნვა საანგარიშო პერიოდში განისაზღვრება —190.472.000 მან. საკუთარი თანხები ქსელშიაც მცირეა. იგი უდრის—14.021.500 მანეთს, იმ დროს, როდესაც ნასესხი თანხები უდრის—30.161.300 მანეთს. შეფარდება საკუთარ და ნასესხ თანხათა შორის—1:12-თან.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის მოსკოვის წარმომადგენლობის მუშაობას. აღნიშნა სისუსტე მისი საქმიანობისა და განაცხადა, რომ მიღებულია ზომები წარმომადგენლობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად თავის მხრით გაიღო 150 მანეთი.

„გლარჯა“-ს წევრების კრება

29 აპრილს წითელ თეატრის დარბაზში შესდგა ინვალიდების კოოპერატიული ნადი „გლარჯა“-ს წევრების საერთო კრება. კრებამ განიხილა „გლარჯა“-ს გამგეობის მუშაობა-საქმიანობის ექვსი თვის ანგარიში. „გლარჯა“-ს გამგეობის თავმჯდომარეთ კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. ფილიპე გოგოშიძე, გამგეობის მდივნად—კი ამხ. სევერიანე ჭიჭინაძე.

შაქრის ქარხანა

აგებული იქნება სადგურ გომთან

გორის მაზრიდან თბილისში დაბრუნდა სპეციალური კომისია, რომელიც მივლინებული იყო იქ შაქრის ქარხნის ასაგებ ადგილის ამოსარჩევად. კომისიაში შედიოდნენ შაქრის ტრესტის წარმომადგენელი პროფ. ნესტოროვი, ს. მ. უ. ს. წარმომადგენელი პ. გოთუა, გორის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. 3 ჭურაძე და სპეციალისტი აგრონომები.

კომისიამ დაათვალიერა და შეისწავლა შაქრის ჭარხლის მოსაშენებელი ყველა რაიონები, როგორიცაა ტირიფონის ველი, მუხრანის მამული, გომი - აგარას უბანი და სხვ. ჭარხლის ნიმუშების დათვალიერებისა, სატრანსპორტო საკითხისა და სხვა მასალებთან გაცნობის შემდეგ კომისიამ დაადგინა შაქრის ქარხნის ასაგებ რაიონად დამტკიცდეს გომი-აგარას რაიონი. სადგ. გომის მახლობლად კომისიამ გამოყო 2.600 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც დაწყებული იქნება ქარხნის შენობების აგება.

კომისიამ გარდა ამისა გადაწყვიტა ჭარხლის თესლის მოსაშენებლად ტირიფონის ველზე გამოყოფილ იქნეს 1.200 ჰექტარი მიწა, სადაც მოწყობილი იქნება ჭარხლის თესლის სადგური.

როგორც ქარხნის ასაგები ადგილი, ისე ჭარხლის სათესლე მიწის ნაკვეთი გამომიჯნულია და შემოკავებული.

ამ დღეებში თბილისში მოელიან შაქრის ტრესტის სპეციალისტთა მეორე კომისიას, რომელიც დაათვალიერებს ქარხნის ასაგებ ადგილს და შეკრებს მასალებს ქარხნის საბოლოო პროექტის დასამუშავებლად.

ფასების დაკლება საქონლის საკვებზე

წელს ხანგრძლივმა ზამთარმა გამოიწვია საქონლის საკვების დიდი კრიზისი მთელს საქართველოში. ამით ისარგებლეს კერძო ვაჭრებმა და საქონლის საკვებზე საგრძნობლად აწიეს ფასები.

ფურაჟის გაძვირება ყველაზე უფრო საგრძნობი გახდა თბილისში, სადაც წელს ხანგრძლივი ზამთრის გამო თითქმის სრულებით არ შემოჰქონდათ საქონლის საკვები მახლობელ სოფლებიდან. კერძო ვაჭრებმა კი, რომლებსაც ჰქონდათ ფურაჟის საკმაო მარაგი, ფასები აწიეს ერთი-ორად.

მიაქცია რა ამ გარემოებას ყურადღება, თბილისის აღმასკომთან არსებულ ვაჭრობის მომწესრიგებელმა კომისიამ ფურაჟზე ფასების დაკლებისა და მტკიცე ფასების დაწესების მიზნით მოიწვია ფურაჟით მოვაჭრეთა საერთო კრება, რომელზედაც ფურაჟის ბაზრის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარემ გრ. ლასკურამ.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგ სხდომამ დაადგინა საქონლის საკვებზე დააწესოს ახალი ნიხრი, რომლის მიხედვით დღეიდან პირველი ხარისხის ბზე გაიყიდება 1 მ. 90 კ. ფუთი, მეორე ხარისხის—1 მ. 70 კ., დღემდე იყიდებოდა 3 მან. ფუთი;

ქერი გაიყიდება ფუთი 3 მ., დღემდე ღირდა 3 მ. 50 კაპ.

თივა გაიყიდება პირველი ხარისხის—2 მ. 20 კ., მეორე ხარისხის—2 მ., დღემდე ფუთი თივა იყიდებოდა 3 მ. 20 კ., ზოგ რაიონებში უფრო ძვირადაც.

ამ ნიხრის ცხოვრებაში გატარება დაევალა ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიას.

ნიხრის ცხოვრებაში მტკიცეთ გასატარებლად და ამ საქმეში კომისიისათვის სათანადო დახმარების გასაწევათ კრებამ კომისიას მიამაგრა თავისი 5 წარმომადგენელი.

ნიხრის ვადა განისაზღვრულია ერთი თვით, რის შემდეგ მოხდება მისი ხელ-ახლა გადასინჯვა ფურაჟზე ფასების კიდევ უფრო დასაწევათ.

საქალაქთაშორისო ტელეფ. სადგურის გაფართოება

აპრილის ბოლო რიცხვებამდე თბილისის საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური მოთავსებული იყო ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ბინაზე.

დიდათ აფერხებდა სადგურის ნორმალურ მუშაობას ბინის სივიწროვე და აგრეთვე საჭირო მოწყობილობათა უქონლობა.

სადგურის გამგის ამხ. ვარლამოვის ინიციატივით რუსთაველის პროსპექტზე № 36 უკვე საკუთარი ბინა გაიჩინა სადგურმა. სადგური მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

სადგურს სატელეფონო კავშირი აქვს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყველა მთავარ ქალაქებთან, გარდა ბათუმისა, რომელთანაც კავშირი დამყარებული იქნება ამ ზაფხულში.

გარდა ამისა სადგური დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის უმთავრეს ქალაქებთან: მოსკოვთან, ლენინგრადთან, ხარკოვთან. სადგურს კავშირი აქვს ყველა საკურორტო ქალაქებთან.

სადგურის ყველა ტექნიკური მოწყობილობანი დამზადებულია ლენინგრადის ქარხანა „კრასნაია ზარია“-ში.

ბრძოლა წყალდიდობასთან

მდინარეების ადიდება

წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებულია ცნობები, რომ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ადიდება ემჩნევა მდ. ცხენის წყალს, რიონს, ყვირილას და ინგურს. აღმოსავლეთ საქართველოში ადიდებულია მდ. არაგვი და ალაზანი.

სამტრედიის მახლობლად რიონი ადიდებულია 65 სანტიმეტრით და ცხენის წყალი 2 მეტრით.

მტკვრის დონე

1-ლ და ორ მაისს მტკვრის დონე უცვლელი იყო. 3 მაისს მდინარემ წყალმა დაიკლო 13 სანტიმეტრით. ბორჯომისა და გორის ჰიდრომეტრიული სადგურები იტყობინებიან, რომ წყლის დონეს არ ეტყობა დაკლება.

ზარალი ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქის მაზრიდან წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისია იტყობინება, რომ უკანასკნელი წყალდიდობისაგან გამოწვეული ზარალი უდრის 15.000 მანეთს. მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად დაწყებული სამუშაოები ყველგან დასრულებულია.

ცხენის წყალი გადასცდა ნაპირებს

წყალდიდობასთან მებრძოლმა საგანგებო კომისიამ სენაკის მაზრიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „უკანასკნელ დღეებში მდ. ცხენის წყალი ძლიერ ადიდდა. ბევრგან მდინარე გადასცდა ნაპირებს და გადავიდა სახნავ მიწებზე. დამუშავებული ჯებირები ვერ იცავენ ადგილებს წალეკვისაგან. მდინარე განსაკუთრებით ეძალება მარჯვენა ნაპირს. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება მოსახლეობისა და ნათესების დასაცავად“.

მტკვარმა გაანგრია მიწა მეტეხის ხიდთან

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოში მიღებული ცნობით, ადიდებულმა მტკვარმა გაანგრია გორის მაზრაში ახლად აშენებული მეტეხის ხიდის ნაყარი მიწა მარჯვენა მხარეზე.

ხიდი გამაგრებული იყო დროებითი ფიჩხის ჯებირებით, რომლებიც წყალმა წალეკა.

ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველომ მიიღო სასწრაფო ზომები დაზიანებულ ადგილის გასამაგრებლად და აღსადგენად. ამჟამად სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა.

საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ცნობით, მდ. არაგვი უკანასკნელად საგრძნობლად ადიდდა. ადიდებული მდინარე განსაკუთრებით მიეძალა საქართველოს სამხედრო გზატკეცილს ფასანაურ-მლეთის შუა, თბილისიდან მე-107 კილომეტრზე.

წყალმა ძირი გამოუთხარა ტელეგრაფის ბოძებს, რის გამო საჭირო გახდა მათი გადატანა სხვა ადგილზე.

ზომების მისაღებად ადგილზე გაემგზავრა დისტანციის უფროსი ამხ. ხითარიშვილი და სხვა სპეციალისტები.

სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა გზის გასამაგრებლად.

რომანოზ ფანცხავა (ხომლელი)

(1861—1928)



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 2 მაისს თბილისში გარდაიცვალა რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა, რომელსაც მკითხველი საზოგადოება ხომლელის ფსევდონიმით იცნობდა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში იგი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს ჩაება: თბილისის სასულიერო სემინარიაში რომანოზს თვითგანვითარების წრე ჰქონდა, სადაც კითხულობდნენ არალეგალურ ლიტერატურას, უმთავრესად სოციალისტების ნაწარმოებს (ლასალი, ჩერნიშევსკი და სხვა.) სემინარიის წრეს ჰქონდა აგრეთვე თავისი ხელნაწერი ჟურნალი, რომელსაც ფანცხავა რედაქტორობდა და, რომლის წერილების უმრავლესობა მასვე ეკუთვნოდა.

ამის გამო 1883 წელს რომანოზი დაითხოვეს სემინარიიდან (მეოთხე კლასიდან). 1885 წელს იგი თავისუფალ მსმენელად შევიდა ოდესის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ 1887 წელს ოდესაში დიდი არეულობა მოხდა და ფანცხავას მოუხდა 15 წლის განმავლობაში პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა. მან დასტოვა ოდესა და თავის სოფელ ხომულში (ქუთაისის მაზრა) დასახლდა.

1889 წ. რომანოზი თბილისში გადმოვიდა; აქ იგი რედაქტორობდა ყოველკვირეულ გაზეთს „თეატრს“. ამ გაზეთში თანამშრომლობდნენ აკაკი, ივ. ჯაბადარი, გ. ზდანოვიჩი, ნ. მარი, გ. წერეთელი და სხვ. 1890 წ. განსვენებული „ქართული წიგნების მაღაზიის ამხანაგობის“ ერთ-ერთი მთავარი დამაარსებელი იყო. 1914—1917 წ. წ. ქუთაისში ფანცხავას რედაქტორობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „ცხოვრება“, „განთიადი“ და „თავისუფლება“. შემდეგ წლებში რომანოზი ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა მოთხრობებს და სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეების დახასიათებას, ხოლო უკანასკნელ ხანებში ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ იგი ბეჭდავდა თავის თავგადასავალს, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა.

რომანოზ ფანცხავა სამწერლო ასპარეზზე პირველად გამოვიდა 1881 წელს ქუთაისის გაზეთ „შრომაში“, სადაც მან მოათავსა „ხმა თბილისიდან“. ოდესიდან იგი წერილებს გზავნიდა ივ. მაჩაბლის „დროება“-ში და გაზ. „ივერიაში“. 6 წლის განმავლობაში რ. ფანცხავა ათავსებდა კრიტიკულ წერილებს „კვალში“. 1898 წელს აკაკიმ მიიწვია ის თავის „კრებულში“. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მწერლების კრიტიკული გარჩევა.

დამკრძალავი კომიტეტი

ხომლელის (რომანოზ ფანცხავას) გარდაცვალების გამო, გუშინ, 3 მაისს ხელოვნების სასახლეში შესდგა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომა. გამოყოფილია დამკრძალავი კომიტეტი, რომელშიაც შედიან: გრ. რობაქიძე (თავმჯდომარე), ალ. აბაშელი, დ. არაყიშვილი, ვ. ბარნოვი, ი. გრიშაშვილი, კ. მამაცაშვილი, დ. მეგრელი, შ. თოიძე, პ. ინგოროყვა, დ. კლდიაშვილი, გ. კოტეტიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ბ. ჟღენტი, ვ. რუხაძე, თ. სახოკია, ტ. ტაბიძე, არ. შუმბაძე და ხ. ხუნდაძე.

დაკრძალვას უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს მცირე კომისია, რომელშიაც შედიან: პლ. კეშელავა, ვ. რუხაძე და თ. სახოკია. კომიტეტის დადგენილებით ხომლელის ნეშტის დაკრძალვა მოხდება შაბათს, 5 მაისს.

განსვენებულის დაკრძალვისათვის საჭირო თანხები გაიღო საქ. სახალხო კომისართა საბჭომ.

გრ. ვეშაპელის ნეშტის ჩამოსვენება

სამშაბათს, 1-ლ მაისს, პარიზიდან ბათუმში ჩამოასვენეს გრიგოლ ვეშაპელის ნეშტი.

ნეშტის შესახვედრად თბილისიდან გაგზავნილი იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის კომისია ა. შანშიაშვილის, ტ. ტაბიძის და ი. გრიშაშვილის შემადგენლობით. ნავთსადგურზე ნეშტს დახვდა აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლებისა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ბათუმის მოქალაქენი.

ნეშტი გადმოტანილი იქნა პროფკავშირების ბინაზე, სადაც შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი დიდძალი საზოგადოების თანადასწრებით. სიტყვები წარმოთქვეს წარმომადგენლებმა: გრ. ლაღიძემ, ტ. ტაბიძემ და სხვებმა.

დღეს, დილის 11 საათზე გრიგოლ ვეშაპელის ნეშტს ჩამოასვენებენ თბილისში. სადგურზე დახვდებიან საქართ. მწერალთა ფედერაციის და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სადგურიდან ნეშტს გადაასვენებენ ხელოვნების სასახლეში, სადაც დღეს, საღამოს 7 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

დამკრძალავი კომიტეტის დადგენილებით გრიგოლ ვეშაპელის ნეშტის დაკრძალვა მოხდება შაბათს, 5 მაისს, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში—დიდუბეში.

ხელოვნების სასახლიდან ნეშტს გამოასვენებენ დღეს 4 საათზე.

დღეს, 4 მაისს, დილის 8 საათზე ხელოვნების სასახლეში დანიშნულია დამკრძალავი კომიტეტის და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომა. კომიტეტის წევრების დასწრება აუცილებელია.

ვეშაპელის ნეშტის ჩამოსვენება

ბათუმი, 2 მაისი. 2 მაისს გემ „ფრიჟი“-თ მარსელიდან ბათუმში ჩამოასვენეს პარიზში მოკლული ვეშაპელის ნეშტი.

განსვენებულის მეგობართა თანხლებით ნეშტი გადატანილ იქნა განათლების მუშაკთა სახლში, სადაც გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი. დღეს საღამოთი ნეშტი გაგზავნილ იქნა თბილისში. (ადხ).

მოტო-ველო გადარბენა

თბილისი—დუშეთი—თბილისი

ოთხშაბათს, 2 მაისს, ფიზკულტურის თბილისის საბჭოს თაოსნობით მოეწყო მოტო-ველო გადარბენა მარშრუტით: თბილისი-დუშეთი-თბილისი. გადარბენის დისტანცია აღწევს 110 კილომეტრს.

გადარბენაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სახის 15 მანქანამ; აქედან 12 მანქანა მოტო-ველო საზოგადოებისაა, 3 კი საზოგადოება „დინამო“-სა. ავტო-კლუბს შეჯიბრში მონაწილეობა არ მიუღია.

ზაგრიაშვილი

რომელმაც მიიღო I-ლი ჯილდო. პირველი მოვიდა ფინიშთან; 110 კილომეტრი დაფარა 1 საათსა და 57 წამ. წუთში



გადარბენის მონაწილენი, რომლებმაც მიიღეს ჯილდოები

სტარტი დანიშნული იყო თავისუფლების მოედანზე, გადარბენის დაწყების წინ მოკლე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ლადო სუხიშვილმა.

დილის სრულ 11 საათსა და 51 წუთზე თავისუფლების მოედნიდან დაიძრა პირველი მანქანა, მას მიჰყვა დანარჩენები. მცირე ხნის შემდეგ მანქანები გაშორდნენ ქალაქს.

გადარბენის მონაწილეებს ყველაზე მეტი სიძნელის დაძლევა მოუხდა მცხეთის გზაზე. მაისობის გამო გზაზე მათ შეხვდა მცხეთისაკენ მიმავალი აუარებელი ექსკურსანტები რამაც დააბრკოლა გადარბენა.

მანქანების დაბრუნების მოლოდინში თავისუფლების მოედანზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. პირველად შემოვიდა მანქანა, რომელსაც მართავდა ზარდიაშვილი. გზა თბილისიდან დუშეთამდე და უკან მან გაიარა 1 საათსა და 57 წამ. წუთში. ცოტა ხნის შემდეგ ფინიშთან მოვიდნენ გადარბენის დანარჩენი მონაწილენიც.

საღამოთი დარიგებული იქნა ჯილდოები. პირველი ჯილდო აიღეს ზარდიაშვილმა, საზანოვმა, სუხიშვილმა და ათოევმა. მეორე ჯილდო— მარკევიჩმა და ალექსანდროვმა.

გადარბენის დროს, დუშეთიდან დაბრუნებისას, დაიმსხვრა მანქანა, რომელსაც მართავდა ზაიცევი. უკანასკნელი მძიმედ დაშავდა.

ვ.

აბჰესის ამუშავება

1-ლ მაისს მოხდა აბაშის ჰიდრო-ელსადგურის ნაწილობრივი ამუშავება. ამუშავებულ იქნა ჰიდრო-ელსადგურის პირველი ტურბინა, რომლის ძალოვნება უდრის 850 ცხ. ძალას. ელექტრო ენერგია ეძლევა სოფ. ბანძის, მარტვილის, ქალ. სენაკის და ფოთის მთავარ ქვესადგურებს. ელექტრო ენერგიის გადამცემი ხაზის საერთო სიგრძე უდრის 70 კილომეტრს.

სადგურის ამუშავებამ და სენაკის და სხვა პუნქტებისათვის სინათლის მიწოდებამ ყველგან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. 1-ლ მაისს სენაკში გამართულ მიტინგზე თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა. აბაშის ჰიდრო-ელსადგურის ამუშავების გამო მიტინგზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის დროებითი ექსპლოატაცია გაგრძელდება შემოდგომამდე. ზაფხულის განმავლობაში სადგურზე დაიწყება მეორე ტურბოგენერატორის დადგმა. გარდა ამისა პირველ ტურბოგენერატორის მოსაწყობათ და მის საბოლოო ასამუშავებლად საჭიროა ზოგიერთი წვრილმანი სამუშაოების შესრულება, რასაც შეასრულებს სახელმწიფო ელექტრო-ტრესტი.

შემოდგომაზე მოხდება სადგურის საზეიმო გახსნა და მისი საბოლოო ექსპლოატაციის დაწყება.

სენაკში
(აბჰესის გახსნის გამო)

ვსარგებლობ ორი დღის თავისუფლებით და მინდა გავშორდე ქალაქის სივიწროვეს.

გასაოცრად აშლილი ბუნება ადამიანისა განა ცოტა ადგილას გამოეხმის ჩვენ ქვეყანაში სილამაზის წყურვილის მოსაკლავად? სადაც გაზაფხულზე—როდესაც ფიდაბნელს კი ემჩნევა გამოღვიძება არამც თუ ჩვეულებრივ სიმშვენიერით აქჩრილ მთასა და ბარს.

მაგრამ ეხლა პირველი მაისია. ამ დღეს ხსნიან აბაშის ჰიდრო ელსადგურს. ამაზე კაი არ ჩვენთა ამ დანადგარზე მე აღარ მეგულება. მეტადრე როცა წამეხზებლად ვეუბნება გულითადი ამხანაგი თვით სენაკიდან.

საღამოზე გავეცალეთ თბილისის გალავანს. მეზარება სიზმრები: მოგზაურობა—ეს არის ხანაბაობა. ეხლა კი რა ემჩნევა დაინახავს კაცი ამ მოღრუბლულ ღამეში.

მხოლოდ ერთს ვნატრობთ მე და ჩემი მეგობარი:

— ნეტავ ხვალ წვიმა არ მოვიდეს და ხელი არ შეგვიშალოს თვით სადგურზე წასვლაში.

მაგრამ ჩვენი რწმენით წვიმა არაჩვეთ არ მოვა ხვალ, მიუხედავად იმისა, რომ ცა ძალიან არის დამუქრებული. რაზე ემყარება ეს ჩვენი რწმენა?

— ათი წლის გამოცდილებით წარმოშობილ „ფატალისტობაზე“, პო, ეს ჩვენი ანაერთული „ფატალისტობაც“ რაში მდგომარეობს:

მახსოვს: 1924 წელში ფრანგი ეკონომისტი შარლ ჟიდი ჩვენთან ოქტომბრის დღესასწაულს შესახებ: განსაცვიფრებელი ბედი აქვთ ბოლშევიკებს ამინდშით. ეს უკვე მეშვიდე ოქტომბერია და შეიძლება ხშირად დარი ყოფილა ამ დღეში.

ამის შემდეგ მე დავაკვირდები განა მარტო ოქტომბერს, არამედ სხვა ყველა დღესასწაულებს, და არც ერთხელ არ ყოფილა შეცდომა, რომ ავდარს ხელი შეეშალოს რომელიმე ამათგანისათვის. ეხლაც ასე გვჯერა: ამა თუ ჩვენ მაინც უნდა თავისმა წვიმა იყოს, ხვალ მაინც დარი დადგება და უეჭველად ვნახავთ სადგურს. ის ხომ თითქმის თერმეტი კილომეტრით არის დაშორებული სენაკიდან და ტალახებში რა გაივლის ამოდენა გზის გავლა, თუნდაც ახლად აგებულ ელსადგურის სანახავად?

ჯერ ხაშურშიაც არა ვართ მისული, გვინდა დავანახოთ—არა ხერხდება. კიდევ რამოდენა გზა არის გასავლელი!

ჩვენი მატარებელი ზარმაცად მიჰქანებს დაძაბული ფეშაპით. გორგების მაგარი რითმი კი მეც მიყოლებს თავის ფერხულში და ასე ვართობ უძილობით გატეხილ ღამეს.

რიონს იქით ინათლა. მრავალფერ ნახულ არე-მარე ისევ ხალისით იზიდავს ბუნების სილამაზით დახარებულ თვალს, გაზაფხულით გადაქცეული ნიადაგი შეფოთავს და დრტვინავს. მთების და მოსახლეობის სიმწვანით, აქ ვავებით, აღმოცენებით. აქოთებული მდინარენი ბუნება-ამღვრეული მოარღვეულ არემარეს და სიჩქარეს, მოტრფიალე გულში შვრებენ რაინდულ გამოძახილს თავიანთი გიჟური ტალღებისას.

დილის რვის ნახევარზე სენაკში ვართ. გუშინ აქ დიდი წვიმა ყოფილა. ყველგან წუმპე და ტალახი. დილასაც ღრუბლიანია, მაგრამ არ სწვიმს. არც იწვიმებს, რადგან ასეთია ჩვენი გამოცდილების ყოველ ზეიმის დღეზე.

ერთი საათის შემდეგ გავედით ქალაქში.

ხალხის ხალისიანი განწყობილება ჩანაცვლებულია ჩვეულებრივ ყოველდღიურობას და ზეიმიანობას. უკვე ელექტრონის აბჰესის შუქი. ყველა გრძნობს ნამდვილ დღესასწაულს და სიხარულს ამ მოვლენისას. მე ბევრის სიხარული არ მიგრძნია ქალაქში ისე, როგორც ვგრძნობ აბჰესის სიხარულს სენაკელებში.

პატარა ქალაქია. პატარა მოვლენებით ცხოვრობს და სულდგმულობს იგი. ეხლა კი უცებ შემოიჭრა მათ პროვინციალურ მყუდროებაში თანამედროვე ცივილიზაციის ძახილი და გამარჯვება. ელექტრიფიკაცია—მეტად დამახასიათებელია ახალი ეპოქის მაგისტრალისა. ათასგვარად მოსახმარი ძალა და სინათლე უხვად იღვრება ხალხში და სიხარულს განაცხადებს ყველას გულში.

სენაკელებს მოსურვებოდათ ერთ ზეიმს მეორე ზეიმიც შეეერთებინათ და აბჰესის სადგურის გახსნასთან ერთად იხსნება ქალაქის შუა გულში გაშენებული კოხტა ბაღიც.

არა! აქ საშინაო ზეიმია, რადგან დღეს მაბოზაც არის.

ჩვენი ცდა ეხლა მხოლოდ ის არის, თუ როგორ მოვახერხოთ წასვლა თვით სადგურზე. წვიმა არ მოდის, მაშ წასვლა შეიძლება. რაიდამ უნდა დაგვაბრკოლოს?

შორს რაზე ვირბინოთ? აღმასკომის თავმჯდომარე აგერია ხდებ ამხანაგებთან ერთად ახალი ბაღის წინ. მივუახლოვდით ერთი ამხანაგი, რომელმაც გადასცა ჩვენი ვინაობა და ჩვენი სურვილი. ცივი უარი მივიღეთ.

— სამი მანქანა მარტო. ბევრნი შევიყარეთ და ჩვენც ვერ ვეტევით შიგა.

მაშ დავკმაყოფილდეთ თვით სინათლის მოვლენით სენაკში. მეტი რაღა დაგვრჩენია.

როცა საღამო დაღამდა, მაშინ გამოვედით ქალაქში, ამგვარად ახალი სინათლის შთაბეჭდილება უფრო სრული და ლამაზი იქნებოდა.

აბაშის წყალით გადმოხერხული მარგალიტები უვლია ქუჩებში ჩამწკრივებულან და ბრწყინავენ თვალთამაქცურად.

შუაგული ქალაქი სავსეა ხალხით. რამდენიმე ადგილას ტრიბუნაც არის აშენებული. ბაღი არდიმარდმო გადახლართულია ფერად ცეცხლოვნებით წყებით.

ვუცქერი და ვგრძნობ, რომ ჩვენ ნიადაგს, ჩვენ ქვეყანას შეეძინა ახალი ძარღვი, ახალი თვალი, ახალი ძალა.

რას იფიქრებდნენ წინაპრები თუ აბაშის უსარგებლო წყლიდან ამოვიდოდა ღამის მზე და მანათობელი მთელ ამ მხარისათვის?

დღეს ვხედავ კოლხიდის ლეგენდის ხორცშესხმულობას.

ეს იყო შორით მოსულ არგონავტების მიერ ოქროს ვერძის ძიება ჩვენს ქვეყანაში.

დღეს კი ჩვენვე ვძებნით და ვპოვეთ კიდეც ოქროს ვერძი—ნათლის ვერძი.

სამეგრელოს ხალხმა მე მგონი ყველაზე კარგად ეხლა დაინახა ამ აბჰესის ელექტრონის შუქში საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედება და აღმშენებლობა.

უჩვეულებრივი გაჭირვება თითქოს გამქრალა ხალხის ხსოვნიდან და დღეს სავსებით ეძლევა ელექტრონის სინათლით თრობას და ლტაცებას.

რაკიღა სადგურზე ველარ წავედი მეორე დღეს დილითვე გავშორდი სენაკს. მომინატრა ზღვის ხილვა. და გავწიე ფოთისაკენ. იქაც ხომ შეიტრა ახლად ნაპოვნი ნათლის ვერძი. აბაშის წყლის ტალღები ფოთის მიწყნარებულ ქუჩებზეც დააფრქვევენ ელექტრონის ცილინათლებს.

მთელი დღე აქ გავატარე. ყველაფერი კარგია ამ ერთი დღით: ზღვა, მზე, სითბო, სიმწვანე. მარტო ამოხვიდა ღარიბი მოხუცი, რომ მთელი საათი მეცქირა თევზების თამაშისთვის, ეროვნების ნაკვეთებისთვის რომ სტოლიდნენ ზღვის პირზე. გაზაფხულის ძლევამოსილი მზიანი არც იმათ აცდენს. ვერ ეტყვიან ზღვაში და შემსხვრა მზის ელვარების წუთიერი ნახტომით.

საღამოზე პირი ვქენი თბილისისაკენ. გზაზე შემხვდნენ სენაკელი ამხანაგები. მოსაყვედურეს: რათ წახვედი, მეორე დღეს ბევრი გვებეს სადგურზე წასაყვანლად, მაგრამ... ყველაფერი თავის დროზე უნდა.

ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი განირაღებულ სენაკს.

მშვიდობით ბრწყინვალე ნათლის ვერძვენი.

მაშ იამაყონ ჩვენმა „არგონავტებმა“ ამ ნათლის ვერძის მოპოვებით!

ლელი.

შრომის გმირები

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ს. პ. კ. საბჭოსთან არსებულ შრომის გმირების საქმეებისათვის გამოყოფილ კომისიის დასკვნა ამხ. სერგო მამალაძის, ვასილ დუდუჩავასი, ილია ლაცაბიძისა, ნიკოლოზ ვიგერონისა, მარიამ ვარდოსანიძისა, ლავრენტი კუტრაშვილისა და ივანე პეტროსიანისათვის შრომის გმირების სახელწოდების მინიჭების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გარდა აღნიშნულ ამხანაგებისა, ადგილი ჰქონია ყოფილ მღვდლის ხუნდაძის და ცინის ყოფილ მეკარის რაჟდენის შრომის გმირად წამოყენებას პროფორგანიზაციების მიერ.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო რა მხედველობაში ამხ. მარიამ ვარდოსანიძის, ნიკოლოზ ვიგერონის, ილია ჭანკვეტაძის, სერგო მამალაძის და პეტროსიანის დამსახურება საჭიროდ სცნო მათი წამოყენება შრომის გმირების სახელწოდების მისაღებად.

ამხ. მიხეილ ვარსიმაშვილს, ვასილ დუდუჩავას და ლავასის უარი ეთქვა შრომის გმირებათ წამოყენებაზე, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არ მოუძიებიათ სათანადო დამსახურება.

ამხ. ლ. კუტრაშვილის შრომის გმირად წამოყენების საკითხი დროებით მოხსნილ იქნა, დამატებით მასალების მოგროვებამდე.

ყოფილ მღვდლის ხუნდაძის და ცინის ყოფ. მეკარის რაჟდენის შრომის გმირად წამოყენების გამო კავშირის ც. გამგეობებს მიეთითა ასეთის მომავალში დაუშვებლობაზე.

თბ. აღმასკომის ბიუჯეტი

მე-3 კვარტალისათვის

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა განიხილა, დამატებითი სათანადო განყოფილების მიერ შემუშავებული გეგმა თბ. აღმასკომის შემოსავალ-გასავლის შესახებ მე-3 კვარტალში.

თბ.აღმასკომის შემოსავლის ნაშთი მეორე კვარტალიდან უდრიდა 410.512 მან. საფინანსო განყოფილების გეგმით მესამე კვარტალში შემოსავალი ნავარაუდევია 5.319.000 მანეთის რაოდენობით, რაც ნაშთიანად შეადგენს 5.729.512 მანეთს.

გეგმით გასავალი მესამე კვარტალში ნავარაუდევია 6.173.121 მანეთი. დეფიციტი უდრის 443.609 მანეთს. რაც დაფარული იქნება საბჭოთა აღმშენებლობის ფონდიდან გრძელვადიან სესხის მიღებით, დოტაციით და სხვ.

დამტკიცებულ ბიუჯეტის მიხედვით აღმასკომის წარმოება-დაწესებულებების მუშაობის გასაფართოებლად და მიმდინარე ხარჯების დასაფარავად მესამე კვარტალში მიეცემათ: საგზაო განყოფილებას—253.000 მან, საფინანსო განყოფილებას—389.000 მან. ფინკონტროლს —8.500 მან. ადმინისტრაციულ განყოფილებას—175.000 მან. განათლების განყოფილებას—902.000 მან. ჯანმრთელობის განყოფილებას—519.000 მან. სოციალურ-მზრუნველობის განყოფილებას—91.000 მან. ადგ. მრეწველობას (ვაჭრობის განყ.)—17.000 მან. კომუნალურ მეურნეობას—574.000 მან. უძრავ ქონებათა სამმართველოს—218.000 მან. კეთილმოწყობის განყოფილებას—295.000 მან. წყალსადენის განყ.—310.000 მან. ტრამვაის—950.000 მან. ელექტრო-მილის მომწყობი განყოფილებას—769.000 მან. სასაკლაოს—69.000 მან. და სხვა ხარჯებისათვის—79.000 მან.

შაბათს, 5 მაისს. საღამოს 5 საათზე,
ქუთაისში მუშათა ცენტრალურ კლუბში
„მე-3 ინტერნაციონალში“ გაიხსნება
მუშკორთა, სამხკორთა და ახკორთა
სამაზრო კონფერენცია
დღის წესრიგში:
1. მუშკორთა მოძრაობის მორიგი ამოცანები.
2. გაზეთ „კომუნისტი“-სა და „მუშა“-ს რედაქციების მოხსენებები.
3. პროკურატურა და მუშკორები.
იმავე დღეს მოხდება შეჯიბრი საუკეთესო კედლის გაზეთზე. 2—1

ქრონიკა

როდის ჩამოვა მაქსიმ გორკი?

მაქსიმ გორკის ჩამოსვლა თბილისში მოსალოდნელია აგვისტოში.

პროფ. მესტერევის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო შაქრის ტრესტის შაქრის ჭარხლის საცდელ მეურნეობის ხელმძღვანელი პროფ. მესტერევი.

პროფ. მესტერევი გაემგზავრა გორის მაზრაში შაქრის ჭარხლის პლანტაციების დასათვალიერებლად.

ამხ. ბოროდინის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა „ცენტროსოიუზის" ინსტრუქტორი ამხ. ბოროდინი. მისი ჩამოსვლის მიზანია ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობის გაცნობა და შესწავლა.

ამხ. ბოროდინი ცეკავშირის გამგეობის წევრებთან ერთად შეისწავლის საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მსხვილ კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობას.

მკითხველთა კონფერენცია

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების თაოსნობით მოწვეული მკითხველების სრულიად საქალაქო კონფერენცია 5 მაისის ნაცვლად შესდგება კვირას, 13 მაისს საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში.

კინო-თეატრი ლენინის უბანში

კინო-თეატრის გახსნა ლენინის უბანში, პლეხანოვის სახელობის კლუბის ეზოში გადადებულია 5 მაისისათვის; გახსნა მოხდება საღამოს 5 საათზე.

თბ. ალმასკომში

◆ ნაღვრების საწინააღმდეგო გვირაბის გაყვანა კახეთის ქუჩაზე უკვე დამთავრდა.

◆ „საბჭოთა აღმშენებლობა". გამოვიდა თბ. ალმასკომის ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა".

◆ ბოტანიკურ ბაღში შესასვლელი გვირაბი გაიხსნა პირველ მაისიდან.

◆ ტყის გაშენება. სატყეო სექცია ამჟამად ტყის გაშენებას აწარმოებს ფუნიკულიორის მიდამოებში.

პროფკავშირებში

◆ ა.-კ. პროფკავშირთა ყრილობა გაიხსნება 7 მაისს თბილისში.

◆ მასიური ექსკურსია ბაქოში. ქიმიურ მრეწველობის მუშაკთა კავშირი 15 მაისს აწყობს მასიურ ექსკურსიას ბაქოში.

სახ. უნივერსიტეტში

◆ სახ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტის მდივნად არჩეულია ინჟ. გიორგი წულუკიძე.

◆ ხელფასის მომატება. შაბათს, 5 მაისს, დღის 2 საათზე უნივერსიტეტის კლუბში შესდგება სახ. უნ-ტის პედაგოგიურ პერსონალის საერთო კრება, რომელზედაც ხელფასის ახალ მომატების შესახებ მოხსენებას გააკეთებს პროფ. შ. ნუცუბიძე.

შრომის ბირჟა

◆ უმუშევართა სასადილოში ამჟამად შრომის ბირჟის ხარჯზე სადილები ეძლევა 560 უმუშევარს.

◆ უმუშევართა დაზღვევა. უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში შრომის ბირჟამ დააზღვია 6000 უმუშევარი.

სხვადასხვა

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. რემონტნიდან პუშკინს, ქუთაისიდან—რაზმაძეს, ტურტკულიდან—ოსაძეს, სიღნაღიდან—ჭიჭინაძეს, ზუგდიდიდან—აბესაძეს, ერევნიდან—მასხურიანს.

◆ საქართველოს პროფსაბჭოს პროფბიურო (მუშათა პროფმოძრაობის ისტორიის შემსწავლელი (ვ. კ.) სთხოვს 1905—907 წლების პროფმუშაკს ერმილე ნაფეტვარიძეს შემოიაროს პროფსაბჭოში (ოთახი 12).

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ ტაიროვის მოხსენება. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების თაოსნობით ამ დღეებში პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება დისპუტი თეატრზე. მოხსენებას წაიკითხავს ა. ტაიროვი.

◆ რუსთაველის თეატრში დღეს ქიხარევას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ქალი, რომელმაც მოკლა".

◆ დ. კაკაბაძის სურათების გამოფენა. 2 მაისს „ორიანტის" შენობაში გაიხსნა დ. კაკაბაძის სურათების გამოფენა.

◆ „სიროკკო". 6 მაისს პროფკავშირის წევრებისათვის კამერულ თეატრის მიერ დილით წარმოდგენილი იქნება „სიროკკო".

◆ საზაფხულო კლუბი. 1 მაისს გაიხსნა მუშათა ახალი კლუბის საზაფხულო სეზონი.

◆ კონცერტი. ამ დღეებში კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება რიადნოვის ვოკალურ წრის კონცერტი.

◆ ნეჟდანოვის და გოლოვანოვის გასტროლები დაიწყება 15 მაისიდან ოპერის თეატრში.

სასამართლო

„რაინდები"

ამბავი მოხდა სოფელში (ოზურგეთის მაზრა).

ნოემბრის ღამეა. სოფელს სძინავს. აქა-იქ ფანჯრებიდან მოჩანს მკრთალი სინათლე.

სიკო ბურჭულაძის ოჯახში სულ ყველას სძინავს.

— კარი გააღეთ!—მოისმის ხმა. ვიღაცა კარებზე აკაკუნებს.

— ვინა ხარ? რა გნებავთ?—გამოეღვიძა ბურჭულაძეს.

— ჩვენ „ჩეკისტები" ვართ! უნდა გავჩხრიკოთ თქვენი სახლი. ტანთ ჩაიცვით და დაუყოვნებლივ კარი გააღეთ!

ერთ თვალის დახამხამებაში სულ ყველა ფეხზე წამოიდგა: სიკო, მისი ცოლი ტასო და ქალიშვილი ნინა. სასწრაფოდ ჩაიცვეს ტანისამოსი. სიკომ გააღო კარი.

ოთახში შემოვიდა ბურჭულაძის გარდაცვლილ სიძის ძმა დიომიდე გოლიაძე.

დიომიდეს დანახვა ყველას გაუხარდა. იფიქრეს, რომ „ჩეკისტებმა" მათი მოყვარე კაცი წამოიყვანეს. არ შეშინდებიან, როცა დიომიდეც დაესწრება გაჩხრეკას. მაგრამ მალე ყველას ფერი ეცვალა, როცა დიომიდეს მომარჯვებული რევოლვერი დაუნახეს ხელში.

— მართლა ჩეკისტები არიან დიომიდე? შემოიყვანე სახლში. გაჩხრიკონ ყველაფერი.

— ჩეკისტები კი არა, ყაჩაღები არიან. ნინო უნდა წაიყვანონ. არავინ კრინტი არ დასძრას, თორემ სულ ყველას ამოგჟლეტენ.

— ვაი ჩემს გაჩენას! შეიკივლა დედამ. მერე ვისთვის უნდათ, ჩემი ქალიშვილი?

— ჩემთვის!—დიომიდემ საჩვენებელი თითი მიიდვა გულზე და ამაყად გადახედა ნინოს, რომელიც შიშისაგან ცახცახებდა.

ქალის დედამ შემოიკრა ხელი და კივილით გავიდა ეზოში.

ამ დროს დიომიდეს „რაზმი" შევარდა ოთახში.

— მიშველეთ! მიშველეთ! დავიღუპე,—ცივი ხმით კიოდა ქალის დედა. წამოცვივდნენ მეზობლები.

თავდამსხმელებმა ასტეხეს სროლა. ისვრიდნენ ჰაერში. დიომიდე ამ დროს იმის ცდაში იყო, რომ როგორმე ქალი გამოეთრია გარეთ. მაგრამ ნინო არ დაებნა და ისეთ მაგარ მუშტის სთავაზობდა „საქმროს", რომ უკანასკნელს გაუფუჭდა „ვაჟკაცობა".

ამ დროს მეზობლებმაც მოიტანეს თოფიანი. დიომიდეს „რაზმმა" „სტრატეგიული" მოსაზრებით დასტოვა ბურჭულაძის სახლი, მოკურცხლა და გომის ტყეს შეაფარა თავი.

დარჩა დიომიდე სახამშრალი. ხელისუფლებამ თავდამსხმელები დააპატიმრა.

სასამართლოს წარუდგნენ: დიომიდე გოლიაძე, მისი ძმა დათიკო და კალენიკე ფანჯიშვილი, რომლებიც დიომიდეს ეხმარებოდნენ.

ბრალდებულებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა თითო წლით.

—:—

დაზღვეული მოზვერი

იოსებ თათარიშვილს ჰყავდა ერთი მოზვერი, რომელიც დაზღვეული იყო სახელმწიფო დაზღვევის კანტორის მიერ.

ერთ დღეს იოსების მოზვერი ცოტა უგუნებოდ გახდა. იოსებს თავი არ შეუწუხებია მოზვერის საქმით. აილო მახვილი დანა და ყელი გამოსჭრა მოზვერს.

ხორცი ხორცად გამოიყენა იოსებმა და ტყავი ტყავად. ზოგი გაყიდა, ზოგი ოჯახში მოიხმარა.

მეორე თუ მესამე დღეს იოსებმა ბეითალს დაუძახა.

— დავიღუპე! რა მოზვერი მეზარალა იცი! პირდაპირ ერთ უღელ ხარს მერჩია! ვერც ხორცი და ვერც ტყავი ვერ ვისარგებლე. ხელუხლებლად ჩავმარხე მიწაში. ერთი შენი ლამაზი ხელით ოქმი დამიწერე, იქნება რამე მომცენ ასანაზღაურებლად.

ბეითალმა შეუმოწმებლად დასვა დიაგნოზი, იოსების ნაამბობის მიხედვით და დაადასტურა მოზვერის „ტრაღიკულად დაღუპვა".

ის იყო იოსებს მოზვერის ფასი ხელმეორედ უნდა გაენაღდებია სახელმწიფო დაზღვევის სალაროდან, რომ მოზვერის ხორცის მყიდველებმა გამოააშკარავეს იოსების ოინები.

თათარიშვილი სიყალბის ჩადენისათვის მიცემულ იქნა პასუხისგებაში და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ზერ.

შემთხვევები

მკვლელობა

გუშინწინ, საღამოს მოქ. ცურინოვმა ვერის ბაღის ბუფეტში „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერით მძიმედ დასჭრა კოტე ბაჩაშვილი (მცხ. ორჯონიკიძის ქუჩა № 39). ბაჩაშვილს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში.

საავადმყოფოში მიყვანისას ბაჩაშვილი გარდაიცვალა.

ცურინოვი დაპატიმრებულია.

თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინწინ, დილით იოდით თავი მოიწამლა ელენე მათეს ასულმა თარხნიშვილმა (მცხ. გრიბოედოვის ქ. 13). თარხნიშვილის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

გუშინწინ, ღამით თავის დახრჩობის მიზნით მტკვარში გადავარდა პავლე ვასილისძე პაპოვი, რომელიც დახრჩობას გადაარჩინეს. თავის დახრჩობის განზრახვის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

ოთხშაბათს, 2 მაისს, დილით ქენია ჭელიძემ (მცხ. კარეტის შესახ. № 2) თვითმკვლელობის მიზნით დალია ნიშადურის სპირტი. ჭელიძის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი ირკვევა.

გუშინ, დილით თვითმკვლელობის მიზნით მუხრანის ხიდიდან მტკვარში გადავარდა არაქსი საკის ასული მანუკოვი (მცხ. უსახელო შესახ. № 5) მანუკოვი გაგზავნეს საავადმყოფოში.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია № 117, (მდებარე ჩიტაძის ქუჩა № 2); წაიღეს 350 მანეთის საქონელი,—გაქურდეს ნიკო ოსტიაშვილის ბინა (ბორჯომის ქუჩა № 7); წაიღეს 380 მანეთის საოჯახო ნივთები.

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა ერვანდ სერგოს ძე ოჯაკიანცი და სიმონ ივანესძე გეტმანოვი.

დაჯახება

გუშინწინ, დილით მოქ. ივანე კორნატისძე არჩენს 19 თებერვლის ქუჩაზე დაეჯახა ტრამვაის ვაგონი და მსუბუქად დააშავა.

თავის დაჭრა

გუშინწინ, დილით სერგო კონსტანტინესძე ჭელიძეს (მცხ. კოჩუბეის ქუჩა № 20), უცაბედათ გავარდა „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერი. ჭელიძე მძიმედ დაიჭრა. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

უბედური შემთხვევა

ოთხშაბათს, 2 მაისს, დილით მუხრანის ხიდიდან უცაბედათ მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო ვიღაც უცნობი კაცი, რომლის გვამი ნაპოვნი არ არის.

დაჭრა

გუშინწინ, ღამით ვართან არშაკისძე ამირხანოვმა მშენებელთა კავშირის კლუბში დანით დასჭრა გოგი ზაქარიას ძე პარუნაშვილი (მცხ. ხოჯანოვის შესახ. № 4). ამირხანოვი დააპატიმრეს.

გუშინ, დილით ალექსანდრე მიხეილისძე ივანოვმა (მცხ. სადგურის ქუჩა № 30) დანით დასჭრა თავისი ცოლი—ევდოკია ტარასის ასული ფედოტოვა.

სამშაბათს, 1 მაისს, ღამით ვიღაც ბოროტმოქმედმა შაუმიანის ქუჩაზე მოკვლის განზრახვით რევოლვერის ტყვიით მსუბუქად დასჭრა ელენე ნიკოლოზის ასული ბესხასტნაია.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის დასაპატიმრებლად.

თავდასხმა

სამშაბათს, 1 მაისს, ღამით მოქ. პეტრე ემელიანოვს უნივერსიტეტის ქუჩაზე თავს დაესხა ხანჯლებით და სანადირო თოფით შეიარაღებული სამი უცნობი პირი. თავდამსხმელებმა ემელიანოვს სიკვდილის მუქარით წაართვეს ფული, ტანისამოსი და სხვადასხვა ნივთები.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

„თეატრალური ექსპრესი"

(რეჟისორი ა. ი. ტაიროვის მოხსენება სახელ. ოპერის თეატრში ა. წ. 30 აპრილს)

ორშაბათს, 30 აპრილს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა დისპუტი თემაზე—„თეატრალური ექსპრესი". მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა მოსკოვის სახელმწიფო კამერული თეატრის ხელმძღვანელი ა. ი. ტაიროვი.

თავდაპირველად მომხსენებელმა განმარტა, თუ რატომ ჰქვია მის მოხსენებას „თეატრალური ექსპრესი".

— ჩემი მოხსენება,—განაცხადა ა. ი. ტაიროვმა,—სქემატიური ხასიათის იქნება. მე შევჩერდები, უმთავრესად, კამერული თეატრის განვითარებაზე და თეატრის ამ განვითარებას თვალს გადავავლებ სწრაფად მიმავალ ექსპრესის ვაგონიდან, ე. ი. არ შევჩერდები დეტალებზე და მოვხაზავ მხოლოდ თეატრის განვითარების საერთო კონტურებს.

ამავე თვალსაზრისით იქნება განხილული ჩემ მიერ დასავლეთ ევროპის—ბერლინის, პარიზის, ვენის და რომის თეატრების მდგომარეობაც.

რა არის თეატრი? თეატრი, არისტოტელის განმარტებით, არის მთლიანი მოქმედება. თუ ჩვენ დავეთანხმებით არისტოტელს, ე. ი. თუ ვიტყვით, რომ თეატრი არის მოქმედება, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ თეატრალური მოქმედება, გავლენას უნდა ახდენდეს ადამიანის ემოციონალურ ბუნებაზე. აქედან გამომდინარეობს თეატრის საზოგადოებრივი როლი: მან უნდა აღძრას ადამიანში ინტერესი, აამოძრაოს მისი აზრი და ამით წინ წასწიოს მისი განვითარება.

მეორეს მხრივ არისტოტელის განმარტება თეატრისა (თეატრი—მოქმედება) მოითხოვს მოქმედ პირს. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ თეატრის განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ თეატრში ყოველთვის მთავარი ელემენტი იყო აქტიორი. ეს გარემოება მის წინაშე აყენებს მეტად რთულ ამოცანას: მსახიობი უნდა იყოს შემოქმედიც, მასალაც, ინსტრუმენტიც და თვით მხატვრული ნაწარმოებიც. მსახიობმა უაღრესად უნდა განავითაროს თავისი სხეული, რადგან მისი სხეული არის ის მასალა, რომლის საშუალებითაც იქმნება ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები.

ამიტომ თეატრში მთავარია არა ის, თუ რა უნდა სთქვა, არამედ—როგორ უნდა სთქვა. ამიტომაა, რომ ყველას არ შეუძლია თეატრში მუშაობა, ამიტომ იყო, რომ თვითმოქმედების თეატრმა (მოსკოვის პროლეტკულტი) ბოლოს და ბოლოს ადგილი დაუთმო პროფესიონალურ თეატრს.

გადადის რა კამერულ თეატრის დახასიათებაზე, ა. ი. ტაიროვი ამბობს, რომ კამერული თეატრი აღმოცენდა, როგორც პროტესტი ნატურალიზმის და პირობითი თეატრის წინააღმდეგ. ნატურალისტური თეატრი მოითხოვდა ცხოვრების ფოტოგრაფიული სისწორით ასახვას; ამიტომ ამ თეატრში საუკეთესო მსახიობად ითვლებოდა ის, ვისაც შეეძლო უფრო კარგად მიებაძა ცხოვრებიდან აღებულ ტიპებისათვის.

ამ თეატრის წინ აღმოცდა პირობითი თეატრი (ვ. კომისარჟევსკაიას თეატრი, სადაც ერთ დროს მუშაობდა ვ. ე. მეიერხოლდი), რომელსაც [illegible] მიაჩნდა ის, რაც სრულებით არ ჰგავდა რეალობას. პირობითმა თეატრმა სცენიდან განდევნა ნივთები, რომლებიც მთავარ როლს თამაშობდნენ ნატურალისტურ თეატრში. სამაგიეროდ პირობით თეატრში გაბატონდა მხატვარი-დეკორატორი, რომელმაც მეტად შეზღუდა მსახიობის თავისუფლება სცენაზე.

ორივე ამ თეატრის წინააღმდეგ გაილაშქრა კამერულმა თეატრმა, რომელმაც მიზნად დაისახა სინთეტიური თეატრის შექმნა. კამერულმა თეატრმა მთავარი ყურადღება მიაქცია აქტიორს, რომელსაც დაუბრუნა ნატურალისტური და პირობითი თეატრის მიერ წართმეული თავისუფლება და უფლებები.

მაგრამ ბრძოლის პროცესში კამერული თეატრი გადავარდა მეორე უკიდურესობაში. მან მთელი თავისი ყურადღება მიაქცია თეატრალური მოქმედების ახალ ფორმების ძიებას და დაშორდა ყოველდღიურობას. თეატრში გაბატონდა „წმინდა" ესთეტიზმი, აბსტრაქცია. ამ მდგომარეობიდან თეატრი გამოიყვანა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც იგი დაუბრუნა თემატიკას. რევოლუციის შემდეგ თეატრი დაადგა ე. წ. კონკრეტიულ რეალიზმის გზას, რომელსაც ახორციელებს თავის უკანასკნელ დადგმებში.

თავის მოხსენების მეორე ნაწილში ა. ი. ტაიროვი შეჩერდა დასავლეთ ევროპის თეატრების მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ ეს თეატრები დღეს დაცემის ხანას განიცდიან.

კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ეგუკოვმა, კორსაკოვმა, ლოსიევსკიმ, ნ. შენგელიამ და გრ. რობაქიძემ.

ორატორების უმრავლესობა ეხებოდა ა. ტაიროვის თეორიას და აღნიშნავდა, რომ თეატრის საქმიანობა არ ამართლებს მთლიანად ამ თეორიას. ხაზგასმული იყო აგრეთვე, რომ კამერული თეატრი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა ბურჟუაზიულ ესთეტიზმის ტრადიციებისაგან და მისი თანამედროვეობასთან დაახლოება ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის.

ოპონენტებს პასუხი გასცა ა. ი. ტაიროვმა, რომელმაც თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ კამერულ თეატრს გადაწყვეტილი აქვს ახლო ხანში სავსებით დადგეს საბჭოთა მაყურებლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზაზე.

დისპუტი დასრულდა ღამის 1-ლ საათზე.

სააღმშენებლო მასალის დამზადება

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის გამოკვლევით, საქართველოს მთავარ აღმშენებელი ორგანიზაციებისთვის მიმდინარე საამშენებლო სეზონში საჭიროა შემდეგი მთავარი სააღმშენებლო მასალები: აგური 10.308.000 ცალი, ცემენტი 52.569 კასრი, კირი 153.800 ფუთი, ხარისხოვანი რკინა—337 ტონა, სახურავი რკინა 257 ტონა, მინა 778 ყუთი, ხე-ტყის მასალა 646 ვაგონი. მოხარშული ზეთი—4.939 ფუთი და ფისი 1704 ფუთი.

ამჟამად მშენებელ ორგანიზაციებს შეძენილი აქვთ: აგური—2.718.000 ცალი, ცემენტი 4.358 კასრი. კირი—28,700 ფუთი, ხარისხოვანი რკინა—59,6 ტონა, სახურავი რკინა—35 ტონა, მინა—27 ფუთი, ხე-ტყის მასალა—125 ვაგონი, მოხარშული ზეთი 21 ფუთი და ფისი—115 ფუთი.

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეუდგა აღნიშნულ მთავარ სააღმშენებლო მასალის დანარჩენ საჭირო რაოდენობის შემოზიდვა-გამზადების ღონისძიებას, რათა მასალის ნაკლებობის მიზეზით არ შეფერხდეს აღმშენებლობის საქმე და სააღმშენებლო სეზონი გამოყენებული იქნეს მაქსიმალურად.

შეღავათიანი ბილეთები ექსკურსანტებისათვის

ექსკურსანტებისათვის მიმოსვლის გაადვილების მიზნით, ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს გადასცა 7.000 ბილეთი 50 პროც. ფასდაკლებით. აღნიშნულ ბილეთებით მგზავრობა შესაძლებელია მხოლოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭომ აღნიშნულ ბილეთებიდან საქარ. პროფსაბჭოს მისცა 4.500 ბილეთი, დანარჩენი მიეცა სომხეთის და აზერბეიჯანის პროფსაბჭოებს.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ თავის მხრივ ბილეთები გაანაწილა შემდეგნაირად: აჭარისტანს მიეცა 250 ბილეთი, აფხაზეთს—125, სამხრეთ-ოსეთს—50, ფოთის სამაზრო პროფბიუროს—75, გორის—50, სიღნაღის—30, სენაკის—50, ოზურგეთის—70, ზუგდიდის—50, ბორჯომის—75, ახალციხის—35, ახალქალაქის—25, დუშეთის—25, ბორჩალოს—30, რაჭის—25, ლეჩხუმის—25, ქუთაისის—150, შორაპნის—40 და თელავის სამაზრო პროფბიუროს 50 ბილეთი.

დანარჩენი ბილეთები განაწილებულ იქნა ცალ-ცალკე კავშირებს შორის.

მიწა-ტყის კავშირს მიეცა—100 ბილეთი, მემაღაროეთა კავშირს—125, ხეზე მომუშავეთა—60, მეტყავეთა—100, მელითონეთა 175, მბეჭდავთა—150, გემო-კვების—200, მშენებელთა—125, ფეიქართა—100, ქიმიკოსთა—75, მკერავთა—75, ტრანსპორტზე მომუშავეთა—125, სახალხო შერთების კავშირს—75, ხელოვნების მუშაკთა კავშირს—50. განათლების მუშაკთა—250, საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირს—350 კომუნალურ მეურნეობის—250 და მედსანშრომის მუშაკთა კავშირს—200.

ბილეთებით სარგებლობა უკვე დაიწყო.

რკინის გზებზე

მატარებლების დაგვიანებასთან ბრძოლის კამპანიის შედეგები

მატარებლების დაგვიანებასთან ბრძოლის კამპანია ამ.-კავკ. რკინისგზებზე დამთავრდა.

კამპანიის ჩატარების დროს მიღებულ მასალების ანალიზიდან ირკვევა, რომ მატარებლების დაგვიანებას ა.-კ. რკინისგზებზე იწვევდა სტიქიური მოვლენები და საერთოდ რკინისგზისა და რკინისგზელებისაგან დამოუკიდებელი მიზეზები.

მასალების განხილვამ დაამტკიცა, რომ მატარებლების დაგვიანების შემთხვევების 41,6 პროცენტი მოდის თოვლის სწრაფი დნობით გამოწვეულ გზის წალეკვაზე; დაგვიანებათა 14,8 პროც. გამოწვეულია ძლიერი ქარით, რომელიც ხშირად გრიგალად იქცევა ხოლმე და აფერხებს მატარებლების მიმოსვლას. დაგვიანებათა 13,2 პროცენტი მიეწერება იმ გარემოებას, რომ ა.-კ. რკ. გზები შესდგება ერთი ხაზისაგან და დაგვიანებით მიმავალი მატარებელი გავლენას ახდენს დანარჩენ მატარებლების მოძრაობაზე. მატარებლებზე მოსამსახურე პირების დაუდევრობაზე მოდის დაგვიანებათა 19,7 პროცენტი.

ა.-კ. რკინისგზების გამგეობამ შეისწავლა ყველა მიზეზები, რომლებიც იწვევენ მატარებლების დაგვიანებას და მიიღო გადამჭრელი, ტექნიკურ-ორგანიზაციული და ადმინისტრატიული ზომები მათ დასაძლევად.

ამჟამად პირველ რიგში მთავრდება ელექტრონიული კავშირის დაწესება სადგურთა შორის, რაც ხელს შეუწყობს მატარებლების დაგვიანების საგრძნობლად შემცირებას. ამასთანავე წესდება მატარებლების სვლაზე თვალყურის დევნება, რისთვისაც მატარებლებს გაჰყვებიან ხოლმე მოძრაობის დარგის უფროსი აგენტები.

რაც შეეხება რკინისგზელებს, რომლებიც იწვევენ მატარებლების უსარგებლოდ დაკავებას გზაში, ამ ორი კვირის განმავლობაში უკვე დაისაჯენ ადმინისტრატიულის წესით 93 კაცი, რომელთაგან: 85-ს გამოეცხადა საყვედური, სამი—ჩამოაყენეს დაბალ თანამდებობაზე და ხუთი—დაითხოვეს სამსახურიდან.

ასეთი ზომები მათ მიმართ გამოყენებული იქნება მომავალშიაც.

სადგ. თბილისის საწყობები გაჭედილია საქონლით, შეუძლებელია ვაგონების განტვირთვა

3 მაისისათვის თბილისის სადგურზე თავი მოიყარა 600-დე დატვირთულმა ვაგონმა, რომლებიც მოსულია ამ.-კავკასიის და საქართველოს დაწესებულებების სახელზე. ვაგონების გადმოტვირთვა შეუძლებელია, რადგან სადგურის ყველა საწყობები გაჭედილია მანამდე მოსულ საქონლით, რომელიც აქამდე არ არის გამოსყიდული.

ამის გამო ა.-კ. რკინისგზამ მოიხსნა პასუხისმგებლობა სამი დღის განმავლობაში თბილისში მომავალ ტვირთების თავის დროზე მიღებისათვის.

დაიწვა კინო-ვაგონი, დაშავდა 4 კაცი

ღამით, 1 მაისს, სადგ. ალიამაში მატარებელზე კინო-ვაგონის მიბმის დროს გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლი ჩნდა კინო-ვაგონში ბენზინის აფეთქების გამო.

ვაგონის სამანქანო განყოფილება მთლიანად დაიწვა. ცეცხლის ქრობის დროს საგრძნობლად დაშავდა ვაგონის ოთხი თანამშრომელი. ყველა ისინი გადაგზავნეს საავადმყოფოში.

ცეცხლის მიზეზს იკვლევენ.

ახალი სადგური

თბილის-ავჭალის შორის გაიხსნა ახალი სადგური—„დიდუბე".

ნარევი

თევზები ჰაერიდან

ბოსნიის (ბალკანეთის ნახევარკუნძულზეა), ერთ რაიონში მეტად საინტერესო მოვლენას ჰქონდა ადგილი. შუადღეზე მოვიდა დიდი წვიმა და წვიმის წვეთებთან ერთად მიწაზე ცვივდებოდა მრავალი წვრილი ცოცხალი თევზები (ლიფსიტები).

ზოგიერთი მეცნიერები ამ მოვლენას შემდეგნაირად ხსნიან: ძლიერი გრიგალები ან კუდიანი ქარები დედამიწის ზედაპირიდან ზევით იტაცებენ ცოტათ თუ ბევრათ მსუბუქ საგნებს. თუ კუდიანი ქარი წყლის ზედაპირზე ჩნდება, წყალი იყოფა მილიონ წვეთებად და ჰაერი ამ წვეთებს იტაცებს ზევით. წყლის წვეთებთან ერთად შეიძლება გატაცებულ იქნას მათში მოხვედრილი საგნები.

ლიფსიტები, ჩვეულებრივ, ჯგუნდ-ჯგუნდათ სცურავენ და თუ კუდიან ქარში მოხვდნენ, მბრუნავი ჰაერის სვეტი მათ წყალთან ერთად იტაცებს ატმოსფერის ზედაფენებში. ზევით კი, ისე როგორც დედამიწის ზედაპირის ახლო, არსებობს სხვადასხვა ქარები, რომელთაც ჰაერის დინებას უწოდებენ. რომელიმე დინებით გატაცებული თევზები წყლის წვეთებთან ერთად ცვივდება მიწაზე, შორს სადმე იმ ადგილიდან, საიდანაც ისინი კუდიანმა ქარმა გაიტაცა.

ასეთი საინტერესო მოვლენები ატმოსფერის ზედა-ფენებშიც იქნა შენიშნული. ასე მაგალითად, ცნობილმა მფრინავმა ბრუნსმა ერთხელ დიდ სიმაღლეზე ფრენის დროს შენიშნა [illegible] თავკომბალები და პაწაწინა ბაყაყები, რომლებიც დაბლა ცვივდებოდნენ.

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ პადერბორნში (ინგლისი) დიდი წვიმის დროს მიწაზე ცვივდებოდა ზღვის პატარა ხიჟარები.

რამდენი თმაა ადამიანის თავზე

თეთრი რასის მამაკაცებს თავზე საშუალოდ აქვს 40.000 — 60.000 თმა, ქალებს — 70.000 ფერადკანიანებს უფრო ნაკლები თმა აქვს, ვიდრე თეთრკანიანებს.

ავიაქიმში

საქ. ავიაქიმის საბჭოს პლენუმი

თანახმად საქ. ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებისა, მიმდინარე წლის 20 მაისს მოწვეულ იქნება საქართვ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრებიან ადგილებზე მომუშავე ამხანაგები.

ტირი

ავიაქიმის თბილისის საბჭოს ცნობით, თბილისში არსებობს 19 ტირი; რომელნიც აწარმოებენ მუშაობას ავიაქიმის წევრთა შორის. ზაფხულისათვის განზრახულია ტირების რიცხვის გადიდება და მათი მომარაგება საჭირო იარაღით, მიზნებით და ვაზნებით.

31 აეროპლანი

საბჭ. კავშ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ გადასცა წითელ არმიას 31 აეროპლანი, აგებული ფონდიდან „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს".

მოდელების შეჯიბრი

მოკლე ხანში მოსკოვში შესდგება მოდელების საკავშირო შეჯიბრი, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას რესპუბლიკანური ავიაქიმები.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 4 მაისი

დღეს, 4 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

— მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

— ჯანსახკომის საკურორტო განყოფილების მოხსენება ქართულ ენაზე.

— „სამინაო საკითხი" — მოხსენება ქართულ ენაზე.

— მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—საუბარი ქართულ ენაზე.

— „როგორ დავიცვათ ბაღები მავნებლებისაგან"—მოხსენება რუსულ ენაზე.

— რადიო-მეგობართა საზოგადოების ტეხნიკური კონსულტაცია.

— საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენაზე.

— კონცერტი ან და ტრანსლიაცია.

— ამ. კავ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენების შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

იურიდიული დახმარება

ვასილ ჯიქიას

კითხვა:

1927 წ. 29 ივლისს ბანძის ფ.-ტელ. განყოფილებაში შევიტანე ხუთი მანეთი ქ. ბათომში გადასაგზავნად ჩემი ძმის სახელზე. ეს ფული ჩემ ძმას არ მიუღია. ბანძის ფ.-ტ. განყ. გამგის რჩევით სექტემბრის პირველ რიცხვებში მე შევკრიბე ცნობები ქ. ბათომის ფ.-ტელეგრაფის კანტორაში, მაგრამ ჩემ მიერ გადაგზავნილი ფული (5 მან.) არ აღმოჩნდა.

გთხოვთ გვაცნობოთ—ვის ევალება ჩემი დაკმაყოფილება და რამდენი ხნის განმავლობაში შემიძლია ამ ფულის თხოვნა. გადაგზავნის ქვითარი ხელთ მაქვს.

პასუხი:

უნდა მიმართოთ იმ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას, სადაც შეიტანეთ ფული გასაგზავნათ. უკეთუ თქვენ ამ კანტორისაგან სრულებით არ მიიღებთ პასუხს ან და მიიღებთ უარყოფითი პასუხს, შეგიძლიათ ამ კანტორის მოქმედება გაასაჩივროთ ამიერ-კავკასიის კავშირგაბმულობის გამგეობაში.

ფულის მოთხოვნის ვადა განსაზღვრულია ერთი წლით.

კ. ჯანაშიას

კითხვა:

1925 წ. შემოდგომაზე მომხსნეს მასწავლებლობიდან და იმავე წელს გამიწვიეს წითელ ჯარში, სადაც ვიმსახურე ორი წელიწადი, გასული წლის შემოდგომაზე გავთავისუფლდი სამხედრო ბეგარიდან, რის შემდეგ განათლების განყოფილებას მივმართე თხოვნით, რათა მოეცა ჩემთვის სალიკვიდაციო ფული, მაგრამ განყოფილებამ მიპასუხა, რომ დაგვიანების გამო, სალიკვიდაციოს ვეღარ მიიღებთო.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, კანონიერია თუ არა განისპექციის პასუხი ჩემს თხოვნაზე. თუ არ არის კანონიერი, როგორ მოვიქცე,

პასუხი:

თუ თქვენ, სამსახურიდან მოხსნის დროს კანონით გეკუთვნოდათ სალიკვიდაციო, მიუღებელი სალიკვიდაციოს მიღების უფლება, ახლაც გაქვთ, რადგან თქვენი სამსახურიდან მოხსნის დღიდან ჯერ სამი წელიწადი არ გასულა, ხოლო სალიკვიდაციოს მოთხოვნისათვის არ არის დაწესებული კანონით რაიმე უფრო მოკლე ვადა.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 26

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი მიწის კოდექსისათვის 92^1 მუხლის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77—№-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მიწის კოდექსს დაემატოს 92^1 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 92^1 ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მიწის (მიწის სარგებლობის უფლების) ყიდვა, გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება და საერთოდ გასხვისება აკრძალულია და გამოიწვევს მიწის კოდექსის 25 მუხლში აღნიშნულ შედეგებს; ამასთანავე მიწა (გარიგების ობიექტი- გადაეცემა ქალაქის სადგილ-მამულო ფონდს, ხოლო მიწის გასხვისებით აღებული სასყიდელი გადირიცხება ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შემოსავლად.

ხელს აწ. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს ს სრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი მაგ. დ. აფციაური.

1928 წლ. აპრილის 25.
თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

დღეს, 4 მაისს დილის 9 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ბიურო-კოლეგიების და ფრაქციების წევრთა შეერთებული სხდომა. ბიურო - კოლეგიების და ფრაქციების ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ მაისის 2-ს გარდაიცვალა მხცოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ხომლელი (რომანოზ ფანცხავა)

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, ბინაზე, საშა წულუკიძის (ყ. კრუზენშტერნის) ქუჩა № 8. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2267

მეუღლე ანეტა როსტომის ასული, შვილებით: ტასო, დათიკო, ნინა და რუსუდანათი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 2 მაისს, ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

რომანოზ სპირიდონის-ძე ფანცხავა
(ხომლელი)

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე, საშა წულუკიძის ქ. № 8 (ყოფ. კრუზენშტერნის). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1032

ტასო რომანოზ ფანცხავას ასული და მეუღლე მისი ანდრო სამსონის-ძე დუმბაძე შვილებით მედეია და დევიკოთი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 2 მაისს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

რომანოზ სპირიდონის-ძე ფანცხავა (ხომლელი)

ნ. 1032

ძმა იაკობი და მეუღლე ნინა შვილებით ელენე და არჩილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ ა. წ. 2 მაისს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

რომანოზ სპირიდონის-ძე ფანცხავა (ხომლელი)

ნ. 1032

ძმა ევსევი, ძმისწულები სოსიკო და ალიკო თავიანთი მეუღლით და შვილებით აუწყებენ მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ა. წ. 2 მაისს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

რომანოზ სპირიდონის-ძე ფანცხავა (ხომლელი)

ნ. 2032

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ დღეს, 4 მაისს დილის 11 საათზე თბილისში ჩამოასვენებენ პარიზში ტრაგიკულად გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწის

გრიგოლ ვეშაპელის

ნეშტს, რომელიც გადასვენებული იქნება ხელოვნების სასახლეში, საღამოს 7 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. დაკრძალვა მოხდება დიდუბის პანთეონში შაბათს, 5 მაისს, ხელოვნების სასახლიდან გამოსვენება დღის 4 საათზე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიურო ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ ცნობილ ჟურნალისტის, ტრაგიკულად დაღუპულ

გრიგოლ ვეშაპელის

დაკრძალვა მოხდება პანთეონში 5 მაისს

სამუდამოთ გლოვით მოცულნი უნუგეშო მშობლები გიორგი და ელისაბედ ვეშაპელი შვილებით ნინო, მიხეილ და თინათინ რძლით და შვილისშვილებით აუწყებენ ნათესავთ და საზოგადოებას, რომ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ, ტრაგიკულად დაღუპულ

გრიგოლ ვეშაპელის

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 5 მაისს, დიდუბის პანთეონში.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო სამსონის ასული ვეშაპელისა აუწყებს ნათესავთ და საზოგადოებას, რომ მისთვის დაუვიწყარ ქმრის ტრაგიკულად დაღუპულ

გრიგოლ ვეშაპელის

დაკრძალვა მოხდება დიდუბის პანთეონში შაბათს, 5 მაისს.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება ქალაქის რაიკომის წევრის

ამხ. ზაქარია მიხეილის-ძე მამულაიშვილის

ა. წ. 1-ლ მაისს დღის 12 საათზე გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 4 მაისს დღის 3 საათზე. ნ. 1037

პოლიგრაფიულ ტრესტის ლიტოგრაფიასთან არსებული კომუჯრედი № 6 ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 1-ლ მაისს, დღის 12 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფ. ქვემო-გომში კომუნისტურ პარტიის წევრი

ამხ. ზაქარია მიხეილის-ძე მამულაიშვილი

დაკრძალვა მოხდება 4 მაისს, დღის 3 საათზე სოფ. ქვემო-გომში. ნ. 1033

ზესტაფონის რკინის გზის სკოლის მოწაფეები და მასწავლებლები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე სკოლის მეშვიდე ჯგუფის მოწაფე

დავითი თედაოზის-ძე მუშკუდიანის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. ზესტაფონში 4 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. 2251

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მატრონა ანტონის ასული, შვილები: სიმონ და კოკი, ქსენია ვასაძისა, და შუტუნა სულაქველიძისა, ძმები: სამსონ და ყაისარი ოჯახობით, დები: ცაცო და ფედოსი ფირცხალაიშვილებისა და ნატალია ჩხაიძისა შვილებით, სიძეები: ისაკი ანდრიას-ძე ვასაძე, ალექსანდრე მიხეილის-ძე სულაქველიძე, სიდედრი ციციონო, ცოლისძმები: სერგო და სამსონ გალოგრეები ოჯახობით, აღზრდილი შაშიკო გლახუნის ასული სტურუა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 1 მაისს დღის 12 ს. გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

შალიკო (ნიკოლოზ) ივანეს-ძე ცინცაძე

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 5 მაისს, ქ. ბათომში, სოუქსის სასაფლაოზე. გამოსვენება დღის 4 საათზე, საკუთარი ბინა, აჭარის ქ. № 27. (შ)

დამწუხრებულნი რაჟდენ ცინცაძე, თამარა ბეთანელი-ცინცაძე, პანტელეიმონ ცინცაძე, ქეთო ურუშაძე-ცინცაძისა, მანია ცინცაძე-მესხისა, ნიკა მესხი და სონია ცინცაძე აუწყებენ ნათესავთ, რომ 1 მაისს გარდაიცვალა მათი საყვარელი ბიძა

შალიკო ივანეს-ძე ცინცაძე (შ)

მწუხარებაში მყოფნი მეუღლე მატრონე ანტონის ასული ცინცაძისა, შვილები: კოკი, სიმონი, ქსენია და შუტუნა, რძლები: ნინა ანტონის ასული და თებრონე ბესარიონის ასული ცინცაძენი; სიძენი: ისაკი ვასაძე და ალექსანდრე სულაქველიძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1 მაისს, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

შალვა (შალიკო) ივანეს-ძე ცინცაძე

დაკრძალვა ქალ. ბათომში 5 მაისს, გამოსვენება საკუთარ ბინიდან, აჭარის ქუჩა № 27. 2256

ღრმათ დამწუხრებული სამსონ ივანეს-ძე ცინცაძე მეუღლით ივლიტეთი, შვილი ტასო სამსონის ასული, სიძე იოსებ ლავრენტის-ძე თოხაძე და შვილიშვილები: გივი და რუსუდანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 1 მაისს გარდაიცვალა ქ. ბათომში პირველის საყვარელი ძმა

შალვა (შალიკო) ივანეს-ძე ცინცაძე

დაკრძალვა ქ. ბათომში, შაბათს, 5 მაისს, გამოსვენება აჭარის ქ. № 27. ნ.

ქვემო-ჭალის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, მეგობრებს და კოოპერატივის წევრებს, რომ 29 აპრილს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი იშვიათი თანამშრომელი ბუხჰალტერი

სევერიანე კონსტანტინეს-ძე ქირია

რომლის დაკრძალვა მოხდება ს. დიდინეძში. კვირას, 6 მაისს. 2259

თავზარდაცემულნი ძმა ალექსანდრე, რძალი—შურა, ძმისშვილები: მირა, თამარა, ვენერა, საშურა და ევგენი, გაზრდილი ტერენტი ლატარია, მეუღლე დუნია და შვილები მირიანე, შურა, მანია და გუგულია, ამხანაგები: ტერენტი შამუგია და გენადი ქირია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 29 აპრილს, ქვემო-ჭალაში ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და სამუდამოდ დაუვიწყარი

სევერიანე კონსტანტინეს-ძე ქირია

დაკრძალვა მოხდება ს. დიდინეძში (ზუგდიდის მაზრა), კვირას, 6 მაისს. 2259

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნატალია, შვილები: შუშანა, ნიკოლოზ, მიშა, ლიუბა, ძმა ანტონ თოთიბაძე მეუღლით და შვილებით, სიძე ანდრო ღლონტი, რძლები—თინა და ანიკო, შვილიშვილები: ოთარი, თამარი თეიმურაზ, რევაზი და ტარიელი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

მანასე მაქსიმეს-ძე თოთიბაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 მაისს, ნაშუადღევის 3 ს. ქ. ოზურგეთში. (ნ. ე.)

გულდათუთქულნი მეუღლე ელენე პეტრეს ასული, ქალიშვილი თამარა ქმრით, ძმები: იოსებ და მიხეილი ცოლშვილით, სიძე დავით ყუფარაძე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე
ბოჩაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ანდრეევის ქ. № 39, კვირას, 6 მაისს, დღის 12 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3268

აპოლო
არფასტო
სოლეი
პროლეტარი ავლაბარი
ოდეონი
დარბაზი

სახკინმრეწვის კინოები

მხატვრული სურათი „ბორა"
დადგმა—კ. მარჯანიშვილის. ოპერატორი—ს. ზაბოზლაევი
მთავარ როლებში: ნატა ვაჩნაძე, მერაბიშვილი, იმედაშვილი, იმერელი.
საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება.
ელენეს მოტაცება და ტროიას დაცემა 1 და 2 სერია ერთად
ვილიამ ხარტ სურათში „მომღერალი ჯიმი"
ანონსი: უცხოეთის ორიგინალური კომედია „ორი ქმრის ცოლი" 0—2

ნადი „მარს"-ის სალიკვიდაციო კომისია ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ნადის სალიკვიდაციო ანგარიში დამტკიცებულია და „მარს"-ის ლიკვიდაცია დამთავრებულია. 2254

ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოაღმასრულებელი ე. ა. ღვალაძე

ამით აცხადებს, რომ ა/წ. 9 მაისს დღის 2 საათზე ბაიაზეთის და კერესელიძის ქ. № 6/30 საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ვარლამ გოშაძის საოჯახო ნივთებს, შიფონერკას, ხელით საკერავ მაშინას, და სხვა წვრილმანს, შეფასებულს—175 მან. 12 კ. თანახმად საბ. სას. მიერ ა. წ. 15 თებერვლის თარიღით № 789 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2260

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

კინო „პალასი"
დღეს და ყოველდღე
მხატვრული სურათი
„პორტფელის გამტაცებელნი"
(„დიპლომატიურ კურიერის ჩანთა")
დადგმა რეჟისორ დოვჟენკოს
მთავარ როლებში
ი. პენზო, ს. მინინი, გ. ზაგორსკი
კინოს ფოიეში რადიო-კონცერტები
კინოს ფოიეში რადიო-კონცერტები
1036 პირველი სეანსი იწყება 6 ს. 45 წუთს.

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი
(ყოფილი მიხეილის საავადმყოფო)
კაპიტალური რემონტის გამო დახურულია ოთხი თვით და ამხნის განმავლობაში ავადმყოფების მიღება შეწყვეტილია. 2263

ქ. თბილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

დამატებით განცხადებისა, რომელიც მოთავსებულია გაზ. „კომუნისტ"-ის № 100/2143 ა/წ. 1-ლ მაისს, ამით აცხადებს, რომ ივანე მიხეილის ძე ჭიჭინაძის ქონების საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდვა მოხდება მაგისტრალის ქუჩაზე № 23-ში. 2261

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—76

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აპოფაშვილი
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—9

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს საშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ. მიხეილის)

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

დაიკარგა: მოწმობა (№ 1516), რომ მამა ჩემი არის ჩემს კმაყოფაზე, გაცემული ოზურგეთის აღმასკომიდან გიორგი კონტრიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1034

დაიკარგა: რკინის გზის პირადობის მოწმობა № 9/6 და წლიური ბილეთი № 2586 ნინა ყურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2253

დაიკარგა: გემო-კვების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 2805 ონისიმე ბოგველიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2258

დაიკარგა: სამხედრო საალრიცხვო ბარათი ნოე თოდუას სახელზე ჩ. გ. 2252

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 276 გრიგოლი გოგიბერიძეს სახელზე, ჩ. გ. 2255

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 7921 ქსენია ჯიმშელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2264

დაიკარგა: ინვალიდობის მოწმობა, გაცემული სოცუზრუნველყოფის განყოფილებიდან სერგო ერისთავის სახელზე, ჩ. გ. 2262

დაიკარგა: ცნობა ბინის გაქურდვის შესახებ № 41817, ერასტი ნესტორის-ძე ნეფარიძის სახელზე, ჩ. გ. 2262

დაიკარგა: პროფკავშირის წიგნაკი № 650,761 გაცემული მელითონეთა კავშირის მიერ ბესარიონ ნოსაძე მჭედლის სახელზე, ჩ. გ. 2266

[illegible] სტამბა, კამოს ქ. № 68